# საერთო გაზეთი

№21 (374) • 15 ივნისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.





ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ადგილობრივი, საერთაშორისო ბეჭდური მედიისა და საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებთან

**სოსო მანჯავიძე:**

## „რუსთავი-2“-ს, ამ აპოკალიფსურ ქვეწარმავალს, დროზე უნდა ამოვაგლიჯოთ ეშვები...



# დანაშაული, როგორც ბედისწერა



„ნაცმოძრაობის“ გაშმაგებული სურვილი, დაბრუნდეს ხელისუფლებაში, სწორედ რომ დამნაშავის ფსიქოლოგიური კომპლექსის გამოვლინებაა — დამნაშავე „ნაცმოძრაობას“ სურს დაბრუნდეს დანაშაულის ჩადენის ადგილას ანუ ხელისუფლებაში, რომ დანაშაულის კვალი წაშალოს“.

**არნო ხიდირბეგიშვილი:**

## ღალატის ანატომია



**ლალი მოროშკინა:**

## ტერიტორიების დაბრუნება ახლად დაკარგული მიწებით უნდა დავიწყოთ...





**ანჟელა არუთინიანი:**

ბატონო ელჩო!
მე გახლავართ სააკაშვილის და ნაციონალების ტვინებში დაბადებული ვითომდა ტერაქტის მომწყობი ვოვა არუთინიანის დედა.
გთხოვთ, მიმიღეთ, მომისმინეთ.
მე მოგიყვებით ბოლო პერიოდის ყველაზე დიდ დანაშაულზე, იმაზე, თუ როგორ იხდის სამუდამო სასჯელს უდანაშაულო ადამიანი ტერაქტისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, მეტიც, არც კი უფიქრია ამაზე... თუ ჩემს თხოვნას ყურს არ დაუგდებთ, მთელ მსოფლიოს გავაგებინებ, რომ ამერიკის ელჩი ადამიანის დემოკრატიულ უფლებას – დაამტკიცოს სიმართლე, ხელს უშლის... ბატონო ელჩო, შემხვდით!



**რამაზ გახოკიძე:**

## რისკის ზონა

მითხარი, რითი იკვებები და გეტყვი, რამდენ ხანს იცოცხლებ



## სად მიედინება „შავი ფულის“ შავი მდინარე?

## SOS! თსუ-ში „ხუბუას ეპოქა“ ბრუნდება!

## რუსეთის მეფის მთამომავალი საქართველოს მართლმადიდებლურ ცენტრად გამოცხადებას ითხოვს

# ბიძინა ივანიშვილი:
# მინდა, ჩემი შესაძლებლობები ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლისთვის გამოვიყენო

**14 ივნისს „ტექნოპარკში“ გაიმართა ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ადგილობრივი, საერთაშორისო ბეჭდური მედიისა და საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებთან. ერთი კვირის წინ, 7 ივნისს, ბიძინა ივანიშვილი ტელეკომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.**

### ფიროსმანი მსოფლიო დონის მხატვარია და მსოფლიო ამ სახით უნდა იცნობდეს

„სოტბის აუქციონზე შეძენილი ფიროსმანის ნახატი „შველი წყლის პირას“ ხელოვნების მუზეუმს გადაეცემა. პროცესი, რომ შეიძენ ფიროსმანს, აბრუნებ ქვეყანაში და გადასცემ ერთ მუზეუმს, მის პოპულარობას შესაძლოა, აკნინებს, ვინაიდან ნახატი უნდა იყოს ბაზარზე და უნდა ნახოს მსოფლიომ. მუზეუმებთან აქტიური მუშაობა იქნება საჭირო, რომ ფიროსმანი უფრო ცნობადი გახდეს. ალბათ, უნდა იყოს მსჯელობა იმაზე, რომ ფიროსმანის ნახატების 30 პროცენტი გავუცვალოთ მუზეუმებს და სხვა მხატვრების ნამუშევრები შემოვიტანოთ. საცოდაობაა, ფიროსმანი მარტო საქართველოში იყოს წარმოდგენილი. ის მსოფლიო დონის მხატვარია და მსოფლიო ამ სახით უნდა იცნობდეს. ამაზე საზოგადოება უნდა შეთანხმდეს. ფიროსმანს არ ჰქონდა იმდენი ნახატი,



რამდენიც, მაგალითად, პიკასოს. ნახატების რაოდენობა ამის საშუალებას არ იძლევა, რომ კერძოსაც ბევრი ჰქონდეს, მუზეუმსაც და ა. შ. ამიტომ გადავეცი მუზეუმს, რომ დაიწყოს მსჯელობა, რომ ფიროსმანი უფრო პოპულარული გახდეს მსოფლიოში“.

**შენიშვნა:** ბიძინა ივანიშვილმა შარშან „კრისტის“ აუქციონზე 1,5 მილიონ დოლარად შეიძინა ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“ და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად გადასცა. წელს კი „სოტბის“ აუქციონზე 629 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა ფიროსმანის კიდევ ერთი ნახატი „შველი წყლის პირას“.

### „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ

„ნაციონალურ მოძრაობას“ ისე გამოჰყავს, რომ 2008 წლის ომი დაიწყო რუსეთმა და მოიგო „ნაციონალურმა მოძრაობამ“. წინა ხელისუფლებამ ბევრი გაუაზრებელი შეცდომა დაუშვა, მარტო რუსეთს ნუ დავაბრალებთ. „ნაციონალური მოძრაობის“ სულელური ქმედებები რომ არა, ის რაც მოხდა, არ მოხდებოდა. ახლა მზადდება ფილმი, რას სთხოვენ სააკაშვილს, როგორ ითხოვენ ამერიკელები, რომ გაჩერდეს. ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი ელჩი საქართველოში მაილსი იხსენებს, მუდამ ამას ცდილობდა და ძლივს ვაჩერებდითო. მაგრამ რუსული აგრესიის როლი ამით არ მცირდება. რას გადაწყვეტს პუტინი და როგორ მოიქცევა, ამაზე საუბარი ჩემთვის რთულია, მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია და რა უნდა გავაკეთოთ, ამაზე ნამდვილად უნდა ვისაუბროთ. შეგვიძლია, ქვეყანა გავაერთიანოთ და ეკონომიკა განვავითაროთ. მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია. ჩვენ სწორი სტრატეგია ავირჩიეთ. დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა განვავითაროთ. გაძლიერებულ, გამთლიანებულ სახელმწიფოში ჩვენს ძმებსაც გაუჩნდებათ სურვილი, ჩვენთან ერთად იცხოვრონ. უნდა ველოდოთ მოთმინებით, ჯერ ხალხი დავიბრუნოთ და არა ტერიტორიები. ახლა რუსეთი აგრძელებს პროვოკაციებს, ეს წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა. ახლანდელ ხელისუფლებაზე ამბობენ, უნიათოაო, არადა, თვითონ არიან უნიათოები, ყველა ხედავს, რა დღეში დატოვეს სახელმწიფო“.

### ვინ იქნება პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე?

„დღეს მგონი ცოტა ნაადრევია ამ თემაზე საუბარი. „ქართულ ოცნებაში“ ჯერ მაჟორიტარობის საკითხის განხილვა მიმდინარეობს. სია უნდა განმტკიცდეს., შემდეგ არჩევნებია. ალბათ უფრო გვიანდელ პროცესში გაირკვევა, ვინ იქნება თავმჯდომარე“.

### ელისო კილაძე სიცრუის ეტალონი და სიცრუის გამავრცელებელია

ფარული კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი მიმართავს ელისო კილაძეს: „ეჭვი მაქვს, რომ თქვენი მონაწილეობით გაკეთდა ეს ყველაფერი. როგორც ვიცი, თქვენთან გავრცელდა ეს კადრები. თქვენთვის სიცრუე არის ეტალონი. სიცრუის ეტალონი ხართ და სიცრუის გამავრცელებელი“.

### რას უკავშირდება ეროვნული ვალუტის გამყარება

ნუ მივაწერთ, რომ გიორგი ქადაგიძე წავიდა და ლარი ამიტომ გამყარდა. ლარი, ვფიქრობ, ძალიან კარგად იქცევა იმ ფონზე, რაც რეგიონში ხდება. არ მინდა ბიზნესმენებს შევუქმნა ზედმეტი ოპტიმიზმი, რადგან ეს გამოიწვევს დოლარის გადაყიდვას, რასაც უკუქმედება მოჰყვება. ზედმეტი ოპტიმიზმი არ ივარგებს, რომ უკუშედეგი არ მივიღოთ მომავალში“.

### ქუთაისის სიახლოვეს საუნივერსიტეტო ქალაქი გაშენდება

„ქუთაისთან ახლოს არის უნიკალური ადგილი ტყეში. 200 ათასი ტონა მიწაა შესატანი. მეუბნებიან, როგორ ვქნათო და მე ვპასუხობ, რომ აუცილებლად იქ უნდა გაკეთდეს, ისევე როგორც საზღვარგარეთ არის ტენდენცია, რომ ქალაქგარეთ იყოს საუნივერსიტეტო ქალაქი. ჩემი თანხმობა უნდოდათ და მე გუშინ კიდევ ერთხელ დავუდასტურე. იქნება სახელმწიფო სსიპ, ისევე როგორ სამეცნიერო ცენტრი და მიიღებს დაფინანსებას. თუმცა, სახელმწიფო არ იქნება კერძო მესაკუთრე, იქნება მხოლოდ კერძო დამფინანსებელი“.

### კონსტიტუციაში ქორწინების საკითხის განსაზღვრასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი რეფერენდუმის გამართვას მხარს უჭერს

„მგონი, ღია კარს ვამტვრევთ. ჩემი აზრით, ცოტა ზედმეტი აჟიოტაჟი ავწიეთ. მე ტრადიციულ ოჯახებს ვუჭერ მხარს, მაგრამ ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარს ვუჭერ და ესეც გავითვალისწინოთ“.

### „მარგველაშვილმა ვერ გაუწია სამსახური და ვერ სცა პატივი პრეზიდენტის ინსტიტუტს“

„მე პატივს ვცემ კვირიკაშვილის პოზიციას და ანგრიშს ვუწევ, თუმცა, რაც ადრე მითქვამს, რა თქმა უნდა, ახლაც იგივე პოზიცია მაქვს — მარგველაშვილმა ვერ გაუწია სამსახური და ვერ სცა პატივი პრეზიდენტის ინსტიტუტს. თუ მარგველაშვილზე გაჩნდება პოზიცია ნებისმიერი სხვა ქმედებაზე, სჯობს, მერე წამოვწიოთ. ეს კაცი გადაჭარბებით 10 მილიონ ლარს საზოგადოების ფულს ხარჯავს. თუმცა, ანგარიში გავუწიოთ კვირიკაშვილს და მის პოზიციას. პრეზიდენტის რეზიდენციის თემა ჩემთვის დასრულებული არ არის“.

### „პოლიტიკაში დაბრუნებას გამოვრიცხავ“

კითხვაზე, რატომ იღებს დარტყმას თავის თავზე“ ბიძინა ივანიშვილი პასუხობს:

„ამ ქვეყნის შვილი ვარ და მისი კეთილდღეობა მსურს. არ იფიქროთ, რომ რაიმე პრივილეგია გამაჩნია. მინდა ჩემი ქვეყანა იყოს სტაბილური და დემოკრატიული. მაქვს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რომ გამოვიყენო ყველა შესაძლებლობა, რომ ეს ყველაფერი მოხერხდეს.

ადრე ვთქვი, რომ საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკაში დავბრუნდებოდი, თუმცა ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ ეს დღე აღარ დადგება. მომავალში საერთოდ სიტყვა „ალბათსაც“ გამოვრიცხავ, რადგან არარეალურია, რომ რაიმე მოხდეს ჩვენს ქვეყანაში ისეთი, რომ ჩემი დაბრუნება გახდეს საჭირო“.

### „ხალხს აქვს განცდა, რომ სამართლიანობა არ აღდგა“

„ის, რაც მოხდა საქართველოში, ამ მიმართულებით, საოცრებაა, მაგრამ ხალხს ისევ ის განცდა აქვს, რომ სამართლიანობის აღდგენა არ მოხდა. არადა, პრეზიდენტი დევნაშია, კეზერაშვილი დევნაშია, მერაბიშვილი კი, ციხეში. ჩემი პრემიერობის დროს, დროის 90 პროცენტს ვხარჯავდი იმაში, რომ პარტნიორებისთვის ამეხსნა, რას ხდებოდა საქართველოში. „ნაციონალები“ საზოგადოებაზე მენტალურად ისევ ძალადობდენ და მოსახლეობის უკმაყოფილებაც ამიტომ გამოიხატება. უზნეო ხალხი მორალზე გველაპარაკება და ამიტომ არის აღშფოთებული ხალხი“.

### ოფშორულ ზონასთან დაკავშირებით

„ზოგადად, ოფშორულ ზონებს რაც შეეხება, მე მაქვს და მქონდა კომპანიები, მაგრამ ვერავის ნახავთ — ვერც ერთ ბიზნესმენს, ვისაც ოფშორულ ზონაში არ ჰქონდეს კომპანია. ის ძალიან მოქნილია და ბევრ რამეში გეხმარება.

კითხვები არის იმ პოლიტიკოსების მიმართ, ვინც საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობისას იშოვა ფული, მანამდე რომ არაფერი გააჩნდათ, ისინი არიან სახიფათონი“.

**შეხვედრის დასასრულს, ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტები „საზოგადოება 2030“-ის ორგანიზებულ ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვია, რომლის გამართვაც ზუსტად ერთი კვირის თავზე, 21 ივნისს თბილისში იგეგმება.**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

## ვახტანგ ხარჩილავა:

# დანაშაული, როგორც ბედისწერა

**„ნაცმოძრაობის“ გაშმაგებული სურვილი, დაბრუნდეს ხელისუფლებაში, სწორედ რომ დამნაშავის ფსიქოლოგიური კომპლექსის გამოვლინებაა – დამნაშავე „ნაცმოძრაობას“ სურს დაბრუნდეს დანაშაულის ჩადენის ადგილას ანუ ხელისუფლებაში, რომ დანაშაულის კვალი წაშალოს.**



– ოღონდ კიდევ ერთხელ მოგვეცით ხმა, ოღონდ კიდევ ერთხელ მოგვიყვანეთ ხელისუფლებაში და, დედას ვფიცავართ, ხელმეორედ იმ შეცდომებს არ დავუშვებთ, რაც ამ ცხრა წლის განმავლობაში დავუშვითო, – იხვეწებოდა პატარა ოთო (კახიძე) დეიდა ინგასთან და საქართველოს მოსახლეობას უახლოეს ხანებში ოქროს კოშკების აშენებას პირდებოდა.

სხვათაშორის, მხოლოდ პატარა ოთო კი არ დებს ფიცს დეიდა ინგასთან, სხვა ნაციონალებიც რიგში დგანან და ისინიც ოთოსავით ერთსა და იმავეს იმეორებენ: ვაღიარებთ, რომ შეცდომები დავუშვით, მაგრამ მეტს აღარ ვიზამთო.

„ობიექტური“ ინგა მაშინ იქნებოდა ობიექტური, მისთვის ჩვეული ომახიანობით ერთი რომ დაეცაცხანებინა ამ შუბლის ძარღვგაწყვეტილი ნაციონალებისთვის: – დამეკარგეთ აქედან, რა შეცდომები, რისი შეცდომები, უამრავი უმძიმესი დანაშაული გაქვთ ჩადენილი და ამ დანაშაულებს შეცდომებს ეძახითო?

მართლაცდა, შეცდომა სულ სხვა რამეა, დანაშაული კიდევ სულ სხვაა და „ნაციონალები“, სინდისი რომ ქენჯნიდეთ და გულწრფელად რომ ინანიებდნენ ჩადენილს, შეცდომებზე კი არა დანაშაულებზე უნდა ლაპარაკობდნენ და პატიებას ითხოვდნენ: – კი, ძალიან ბევრი მძიმე დანაშაული ჩავიდინეთ – უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში ვყრიდით, ქონებას ვართმევდით, ვაწამებდით, ვამცირებდით, ქუჩებში ვხოცავდით, მილიონებს ვიპარავდით, საკუთარი ქვეყნის 20% დავკარგეთ, მაგრამ თუ კიდევ აგვირჩევთ, ნახეთ, როგორი ჰუმანურები, როგორი კაცთმოყვარეები, როგორი საყვარლები და მიმტევებლები ვიქნებით, თანაც არ მოვიპარავთ, არ დავჩაგრავთ, არ მოვკლავთ და ციხეებს არ გავავსებთ ჩვენი საყვარელი თანამოქალაქეებითო. აი, ასე და ამგვარი ტექსტით უნდა ლაპარაკობდნენ „ნაციონალები“, სადაც წესი და რიგია, თუმცა მათ ამის გამბედაობა ვინ მისცა?

დავუშვათ და ქართველი ხალხი გაბრიყვდა, გასულელდა და ისევ მოიყვანა ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა“..

მიუხედავად იმისა, რომ გულზე მჯიღს იცემენ და ლამის თვალზე ცრემლმომდგარი იფიცებიან, რომ ძველ „შეცდომებს“ არ გაიმეორებენ, დარწმუნებული ვარ, რომ გაიმეორებენ და იგივე დანაშაულებს ჩაიდენენ, რასაც ცხრა წლის განმავლობაში ჩადიოდნენ.

იძულებული გახდებიან, ასე მოიქცნენ, უნდათ თუ არ უნდათ, სხვა გზა არ ექნებათ, გარდა სისხლისღვრის, ანგარიშსწორების, განადგურების და, იცით, რატომ?

**„ნაციონალები“ ძველი დანაშაულები რომ გადაფარონ, ძველი დანაშაულების კვალი რომ გააქრონ, ის ცხრა შემაძრწუნებელი წელიწადი ისტორიის წიგნიდან როგორმე ამოხიონ, იძულებული გახდებიან, ისევ მოკლან, ისევ ციხეებში შეაბრუნონ თავიანთი ავკაცობის მოწმე უამრავი ადამიანი, გააქრონ დოკუმენტები, გაანადგურონ არქივები, კვლავ დააშინონ და დაიმონონ მოქალაქეები, რომ მათ წინააღმდეგ ხმის ამოღება ვერავინ გაბედოს.**

„ნაციონალებო“, თქვენ თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაულების მძევლები ხართ, სამუდამო მძევლები და მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრება ეს დანაშაულები კვლავ დანაშაულის გზით გატარებთ და ახალ-ახალ ბოროტებას ჩაგადენინებთ.



გუშინ ადამიანებს ხოცავდით და დღეს ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება მოგინდათ? გუშინ თქვენს სამშობლოს ისე ექცეოდით, როგორც ოკუპანტები, როგორც დამპყრობლები და დღეს ქვეყნის მსახურების და პატრიოტების როლი გინდათ მოირგოთ?

არ გამოგივათ ეს, მით უმეტეს, არ გამოგივათ არჩევნების გზით და დემოკრატობანას თამაშით.



ომის გამოცხადებას თუ აპირებთ, საკუთარი ქვეყნისთვის და ომით თუ აპირებთ ამ ქვეყნის ხელახლა დაპყრობას, მაშინ ქართველი ხალხიც ისე მოგექცევათ, როგორც დამპყრობლებს.

როგორც ვთქვი, თქვენ თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაულების (თქვენ რომ მოფერებით „შეცდომებს“ ეძახით...) ტყვეები ხართ და ამ ტყვეობიდან თავს ვერასოდეს დაიხსნით, რამდენიც არ უნდა იფარისევლოთ და რამდენიც არ უნდა გვეპირფეროთ.



კომუნისტური პარტია, თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე ძლიერი პარტია მთელ მსოფლიოში, ნახევარი საუკუნის წინათ ჩადენილმა ცოდვებმა დაანგრია.

რა არ იღონა კომუნისტების ბოლო თაობამ, რა ხერხს არ მიმართა, რომ პარტიული წინაპრების მიერ ჩადენილი ცოდვები ჩამოერეცხა და ახალი ცხოვრება დაეწყო, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა – კომპარტია მაინც იმ ცოდვებმა მოაშთო და დაანგრია და თან ის ადამიანებიც მიიყოლა, რომლებსაც, პერსონალურად, არანაირი კავშირი არ ჰქონდათ თავიანთი პარტიული წინაპრების მიერ დათესილ და საბედისწერო მემკვიდრეობად დატოვებულ ბოროტებასთან.

ეს ლოგიკაა, ეს გარდაუვალი ფინალია და ამ ფინალის შედეგებთან შეგუება თქვენც მოგიწევთ, ნაციონალებო.

როგორც ცნობილია, დამნაშავე აუცილებლად ბრუნდება ხოლმე დანაშაულის ჩადენის ადგილას.



„ნაცმოძრაობის“ გაშმაგებული სურვილი, დაბრუნდეს ხელისუფლებაში, სწორედ რომ დამნაშავის ფსიქოლოგიური კომპლექსის გამოვლინებაა – დამნაშავე „ნაცმოძრაობას“ სურს დაბრუნდეს დანაშაულის ჩადენის ადგილას ანუ ხელისუფლებაში, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, დანაშაულის კვალი წაშალოს.







# რა საერთო აქვთ ვაშაძეს და ბურჭულაძეს, ვაშაძეს და ურთმელიძეს, ვაშაძეს და სააკაშვილს...

ზაფხულის პირობაზე ამინდები საკმაოდ გრილი და წვიმიანია თბილისში, მაგრამ, სამაგიეროდ, პოლიტიკური ამინდი ცხელდება დღითიდღე. კიდევ ერთი პარტია შეემატა ქართულ პოლიტიკას: გიორგი ვაშაძემ 5 ივნისს რუსთაველის გამზირზე პოლიტიკური პლატფორმის „ახალი საქართველოს“ დაფუძნების ღონისძიება გამართა. როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, იქ წარმოდგენილი იყო საქათველოს თითქმის ყველა რეგიონი და სოფელი... ალბათ, ალბათ.... მართალია, სულ 200 კაცამდე იყო შეკრებილი და კარგა გვარიანად რომ დასცხო წვიმამ და კოხმა, ლამის ერთი ქოლგის ქეშ დაეტია მთელი პარტია, მაგრამ ტყუილში მაინც ვერ დავადანაშაულებ, რადგან თუ თითო რეგიონიდან თითო ადამიანს ჩამოიყვანდნენ, ამ შემთხვევაში, შეიძლებოდა მართლა ყოფილიყო ყველა რეგიონი წარმოდგენილი...

რა თქმა უნდა, ახალი პარტიის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა „ნაციონალური პარტიის“ რიგების დატოვება, რომლის შესახებაც ვაშაძემ განცხადება გააკეთა ზუსტად ერთი თვის წინ 5 მაისს (როგორც ჩანს ციფრი „5“ ერთნაირად საკრალულია მოქმედი ნაციონალისთვისაც და ყოფილი ნაციონალისთვისაც).

ნაციონალურ მოძმეთა მოღალატემ განაცხადა: შევარდნაძის თაობის პოლიტიკოსები უნდა წავიდენ პოლიტიკიდან და უნდა დამთავრდეს კაბინეტური მმართველობა, ამ კაბინეტურ მმართველობას კი თავისი სახელები და გვარები აქვსო: გიგა ბოკერია, მიშა მაჭავარიანი, ხათუნა გოგოლიშვილი, გოკა გაბაშვილი და მათ ფასადად ქცეული დავით ბაქრაძე - კაი, კაცო?! რას მეუბნები?! - ასე მარტივადაა საქმე? სულ ესაა რის გამოც წამოხვედი და რის გამოც მხარი უნდა დაგიჭიროთ? რამე ახალი გვითხარი? შევარდნაძის თაობის პოლიტიკოსები არ მინდა და ახლაგაზრდები უნდა მოვიყვანოო.... ნაციონალებში რომ იყავი მაშინ რამე სხვას ამბობდი? მაშინაც შევარდნაძის თაობის პოლიტიკოსებს ებრძოდით ვითომ და ახალგაზრდები მოდიოდით... რძეშეუშრობელი, უცხოეთში სწავლება მიღებული, გაზულუქებული ახალგაზრდები, რომლებსაც უნდა ჩაერეცხათ ძველი და ახალი სიტყვა მოეტანათ და რა მოიტანეთ, ხალხმა ნახა...

გიორგი ვაშაძე, როგორ თავად აღნიშნავს, ის კაცი არ არის რომ ფასადური განახლებით მოვიდეს პარლამენტში, გარანტირებული ადგილით, რასაც ნაციონალური მოძრაობა სთავაზობდა... არა და არა... მას არ სჭირდება უბრალოდ მანდატი და სკამი, მას სულ სხვა რამ სურს, რამე უფრო ამაღლებული, რამე უფრო ფასეული, ვიდრე მანდატი და პარლამენტარის უბრალო სკამი... გარანტირებულ სკამზე უარს ამბობს. თავისი შრომით, საკუთარი ოფლით უნდა მოიპოვოს მანდატი... წამებულამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩებოდა - მხრებზე თაფლის წასმა - რომ არა ერთი მაგრამ...2012 წელს ზუსტად ასე ფასადური სიით არ გახდა განა პარლამენტარი? რომ არა ეს ფასადური პარტიული სია, ისანში მაჟორიტარულ არჩევნებში ხმათა 32.9 %-ით დამარცხებული გიორგი ვაშაძე ხომ აღმოჩნდებოდა პარლამენტის უბრალო სკამის გარეშე?

კარგით რა ბატონო, გიორგი, ლოგიკა სად არის? თუ ახალი პარტია იმისათვის შექმენით, რომ თურმე კაბინეტურად მართული ნაციონალური მოძრაობა ველარ მოახერხებს ქართული ოცნების დამარცხებას, მაშ გარანტირებული სკამი დამარცხებად გაწირულ ნაციონალებში როგორ გქონდათ? ბოლოს და ბოლოს, გვითხარით, ღიად გვითხარით ვისი გამარჯვების გჯერათ და ვის წისქვილზე ასხმათ წყალს?

სააკაშვილმა დამირეკა და ბევრი მესაუბრა, რომ არ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ ვერ დამარწმუნაო, მისასალმებელია, მამაკაცს უნდა ჰქონდეს მყარი პოზიცია... ამ ფიცის გასამყარებლად ნაცინონალებმა სააკაშვილის სახელით მაშინვე გააკეთეს განცხადება, სადაც ითქვა: მიუხედავად ასეთი ხრიკებისა, მიუხედავად ღალატისა, ახალი და საინტერესო ლიდერებით შეივსებიან და მაინც მოიგებენ არჩევნებს - ამ განცხადებამ ვაშაძეს გაუპრავა მოღალატეობა, მაგრამ მეტი სიმყარისთვის (იციან რა, რომ ქართველი ხალხი უკვე კარგა ხანია მიხვდა, რომ ნაციონალებს ძველსაც და ახალსაც, დიადი მიზნების გარდა კიდევ აუცილებლად უნდა ჰქონდეს რამე მერკანტული მიზეზი ახალი პარტიიიის შესაქმნელად) მიანიშნეს ამომრჩეველს, ვაშაძეს არ მოეწონა პარტიული სიის ათეულში რომ არ მოვახედრეთ და მაგიტომ წავიდაო... ეჰ, არადა რამდენი შრომა შეალია ვაშაძემ ნაციონალურ მოძრაობას, რა მსხვერპლი აღარ გაიღო, საკუთარ შვილს სააკაშვილის სახელიც კი დაარქვა...

მოღალატეობის ფიცის მწამს, როგორ არა, მაგრამ კუდი გიჩანთ, კუდი... ჯერ ერთი, თუ ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ვაშაძე, რომ სააკაშვილი საათობით ცდილოდა მის დაყოლიებას არ წახვიდე, არ დამღუპოო,. როგორმე ათეულშიც მოახვედრებდა, ან უკეთ გადაუხდიდა... და მეორე, უფრი დიდი და მნიშვენელოვანი კუდი... ვაშაძემ ახალი პარტიის დაფუძნებისას 6 თანაგუნდელი წარმოგვიდგინა და ყველა ნაცია, ან ნაცებთან „ნაცმაცუნევი“.

ვაშაძე მოკრძალებულია, როცა უთხრეს, დიდი ხანია ნაიონალური მოძრობის აქტიური წევრი ხართო, იუარა, არაო, მე 2012 წელს დავიწყე აქტიური მოღვაწეობა, თორემ მანამდე ჩვეულებრივი საჯარო მოხელე ვიყავიო... (არც ისე ჩვეულებრივია სამოქალაქო რეესტრის უფროსობა, მაგრამ მაინც) სულ თავიდან საჯარო სამსახურში კონკურსით მოვხვდიო და ჩემი პირველი სამუშაო ოთახი სარდაფში იყო, სადაც თაგვები დარბოდნენო...ის სარდაფის თაგვები დღემდე ახსოვს ვაშაძეს, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც კი სამოქალაქო რეესტის უფროსი გახდა, იმ ადამიანთა მდგომარეობა და ხელფასი დაივიწყა, რომლებიც ისევ იმ სარდაფში დარჩნენ თაგვებთან ერთად და „პრემიების შეწერა“ დაიწყო...

ზუსტად 4 წლის წინ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ახლაგარზდული მოძრაობის ლიდერი დავით ფაცაცია წერდა: „დაზუსტებით შემიძლია განვაცხადო გიორგი ვაშაძე „სამოქალაქო რეესტრში“ ყველა თანამშრომლისგან ხელზე ფულს იღებდა, გამოუწერდა თანამშრომლებს პრემიებს, მათ ეს პრემიები ანგარიშიდან უნდა მოეხსნათ და გიორგისთვის მაგიდაზე დაედოთ. ეს კანონი იყო“.



კარგით, რაც იყო, იყო, დავუშვათ დავივიწყეთ გიორგი ვაშაძის წარსული, დავუშვათ დაივიწყეთ მისი და მისი თანაგუნდელების ყოფილი ნაციონალობა, (თუმცა ყოფილი ნაციონალი ისევე არ არსებობს, როგორ ყოფილი კაგებეშნიკი) მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ თქვენი გამოსვლა, ძალიან გავდა პაატას ბურჭულაძისათვის დაწერილ სიტყვას? მართალია, თქვენ უფრო ორატორულად გამოხვედით, უფრო ხმამაღლა და ლამაზად ისაუბრეთ მაგრამ მაინც.... აკი, თქვენც პაატასავით იმაზე არ საუბრობთ, რომ პოლიტიკაში დაბოღმილი და დაპირისპირებული ადამიანები აღარ უნდა მოვიდნენ? (ანუ ძირს კოჰაბიტაცია, გაუმარჯოს სრულ აღრევას) აკი, თქვენც ეთნიკურ უმცირესობაზე არ აკეთებთ აქცენტს? აკი თქვენც და პაატაც ასე აქტიურად არ იცავთ რუსთავი 2-ს ქარის წისქვილებისგან? განა თქვენც და პაატაც ერთადერთ მტრად ბიძინა ივანიშვილს არ მოიხსენიებთ? რატომ დაემსგავსა თქვენი სიტყვა ასე პაატას სიტყვას, ან პაატას სიტყვა რატომ გავდა ასე თქვენსას? რომელმა რომელს მოპარეთ? თუ ორივე სიტყვა ერთი მამის დაწერილია? თუ ორივენი ერთი მამის საყვარელი შვილები ხართ? მე არაფერს გაბრალებთ, მე მხოლოდ ფაქტები მომყავს და მკითხველმა განსაჯოს...

რაც შეეხება რუსთავი 2-ის საქმეს, იმისდა მიუხედავად, რომ ნიკა გვარამიამ და თქვენმა თანამებრძოლმა, გურამ ჩალაგაშვილმა ფეისუქზე გამართული კამათის დროს (კამათის თემა: გადმოდის თუ არა აღდგომის ღამეს წმინდა ცეცხლი და არის თუ არა ეს სასწაული) ჯერ იგინეს, მერე კი სულ გამო.. ლეებული ეძახეს ერთმანეთს, მაინც თქვენც საერთო მამის ინტელექტუალური საკუთრებები ხართ და ვერანაირი შავი კატა თუ სააღდგომო წმინდა ცეცხლის არსებობა-არარსებობა ვერ შეგიშლით ხელს ინტელექტუალურ ძმობაში, ამიტომ თავგამოდებით იცავთ... მე მესმის თქვენი, პოლიტიკური ოჯახი ყველაზე წმინდაა და არ მიკვირს... ღმერთმა დამიფაროს...

მაგრამ, რას ერჩით მოსამართლე ურთმელიძეს ვერ გამიგია? ურთმელიძის დედა მოსამართლემ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა და ამიტომ უფლება არა აქვს მოსამართლედ იმუშაოსო? დაავერბოკებენ ადვილად და იმიტომო? პოლიტიკოსებსაც ხომ ავერბოკებენ? თან ყველაზე ხშირად?... ვინ ვინ და თქვენ ნამდვილად უნდა იცოდეთ რას ნიშნავს ოჯახური უბედურება: თქვენმა დედამ ნანა მოდებაძემ, ჭიათურის №9 სკოლაში რუსულის პედაგოგად მუშაობის დროს, გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლე თემურ მოდებაძე ისე ძლიერ სცემა თავის არეში, რომ ბავშვი დაინვალიდდა. (თემურ მოდებაძე დღესაც ჭიათურაში ცხოვრობს 25-ის მაღაროს ტერიტორიაზე) ნანა მოდებაძეს ამ ფაქტის შემდეგ პედაგოგიური პრაქტიკა აეკრძალა, ციხეშიც ჩასვამდნენ, ალბათ, რომ არა რუბენ ასანიძე, (გიორგი ვაშაძის ბიძა, დეიდას ქმარი) რომელიც იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოს პოლიციის უფროსი გახლდათ - ასე რომ, თქვენ თუ არ შეგიშალათ დედათქვენის დღემდე დაუსჯელმა დანაშაულმა ხელი პოლიტიკურ საქმიანობაში, რაღა ურთმელიძეს უშლის, ვერ გავიგე?!



**თამუნა კუშელავა**
555 46 08 04

# „რუსთავი-2“-ს, ამ აპოკალიფსურ ქვეწარმავალს, დროზე უნდა ამოვაგლიჯოთ ეშვები...



გასულ კვირას ტელეკომპანია „იბერიის“ ღია ეთერში თბილისის საკრებულოს დეპუტატების სოსო მანჯავიძისა და ალეკო ელისაშვილის კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ინციდენტის დეტალებსა და სხვა თემებზე „საერთო გაზეთი“ ბატონ **სოსო მანჯავიძეს** ესაუბრა.

— **ბატონო სოსო, ყველამ ვნახეთ თქვენი ჯერ კამათი, შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება „იბერიის“ ეთერში. ალეკო ელისაშვილმა პარტიის ფულის მითვისება დაგაბრალათ...**

— მოგეხსენებათ, სს საპროცესო კოდექსიდან მუხლი ცილისწამების შესახებ სააკაშვილის პრეზიდენტობისას ამოიღეს, რის გამოც სრულიად არაადექვატური გახდა ადამინისტრაციული სახდელი შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის.

ეს „ნაცმოძრასობის“ პოლიტიკური გუნდისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ადამიანების შეურაცხყოფა-დადანაშაულება, ცილისწამება, რის შემდეგაც არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, შეურაცხყოფილი ადამიანი გამართლდებოდა თუ არა.

ეს არის ინფორმაციული მკვლელობის ჩვეულებრივი ტექნოლოგია, როცა მთელი საინფორმაციო მანქანა კონკრეტულ ადამიანს მიასხამდა ინფორმაციულ შხამს, რითაც, ასე ვთქვათ, მორალურად კლავდა, ხალხის მეხსიერებაში იბეჭდებოდა მისი ე. წ. დანაშაული, რომ, თითქოს, ეს ცილისწამება ნამდვილია და მერე, როცა ეს პირი აქტუალური აღარ ხდებოდა ნაცებისთვის, თავს მიანებებდნენ და დისკრედიტებულს წლების განმავლობაში უნდა ემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა.

რომ იტყვიან, პირველი ნაბიჯები, ამ მხრივ, ნაციონალებმა **ვალერი ასათიანის** ცნობილი ისტორიით გადადგეს, როცა ის რიტუალურ მკვლელობაში დაადანაშაულეს. ეს ცილისწამება იმდენად შემაძრწუნებელი იყო, ვერავინ წარმოიდგინა, რომ ყოველივე ეს, შეიძლებოდა, ტყუილი ყოფილიყო.

ეს საშინელება განახორციელეს „რუსთავი-2“-ს საშუალებით **გოგიჩაიშვილისა** და **ზურიაშვილის** ხელით.

ამ ამბავს შემდეგ ტრაგედია მოჰყვა — ვალერი ასათიანის ვაჟი შოკისგან გარდაიცვალა.

ამ მეთოდებს აგრძელებენ დღემდე და ამის კიდევ ერთი დემონსტრაცია განხორციელდა „იბერიის“ ეთერში ბატონი **ელისაშვილის** მიერ.

ნაციონალების კონტროლირებად ტელევიზიებში ეს ადამიანები, ფაქტობრივად, ცხოვრობენ. რა მნიშვნელობა აქვს, ასეთი ბინძური ცილისმწამებლები „ნაცმოძრაობის“ წევრები იქნებიან თუ არა, მთავარი ის არის, რომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებდნენ ნაციონალები და რაც აწყობს ნაციონალებს.

უნდა ვიცოდეთ, რომ საერთოდაც, „ნაცმოძრაობა“ იზოლირებული პოლიტიკური მოვლენა არაა. ეს გახლავთ იმ მართვის სქემის ნაწილი, რომელიც დამკვიდრდა საქართველოში დააახლოებით 1996 წლიდან. ამ დროიდან დაიწყო ამ არამზადების ხელისუფლებისკენ მსწრაფი მცოცავი აგრესია, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ დამთავრდა...

რაც შეეხება ელისაშვილს, მას ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ ვუწოდე მიშას ახალი განსხეულება. როგორც სააკაშვილი იბრძოდა ადრე კორუფციის წინააღმდეგ, ეკოლოგიის დაცვისთვის და ა. შ. და მერე რომ მთელი საქართველო გაჩეხა, ასე იქცევიან მისი იდეოლოგიური შვილობილები..

— **სოციალურ ქსელში, ელისაშვილის, „კავკასიის“ ეთერში მართლმადიდებელი ახალგაზრდების დაჭერის პროვოცირებაც გაუხსენეს თქვენთან ინციდენტის შემდეგ.**

— როგორც საზოგადოებას, მეც ძალიან მაინტერესებს, რატომ არ საჯაროვდება ეს ამბავი. ხალხს აქვს უფლება, იცოდეს, რა პოზიციაზე იდგა მავანი, როგორ ჩვენებებს აძლევდნენ და ა.შ.

სამწუხაროდ, გვინდა თუ არა, მივეჩვიეთ, ან უნდა მივეჩვიოთ, რომ ვიმყოფებით ე. წ. სამართლებრივ ბოსელში. წარმოიდგინეთ, რაც ელისაშვილმა იმ გადაცემაში თქვა, ეს რომ რომელიმე სხვა ქვეყანაში, რომელიმე ქალაქის რომელიმე დეპუტატს, ქალაქის მთავარი არქიტექტორის შესახებ ეთქვა, აუცილებლად გაირკვეოდა ყველაფერი და ან დაბრალებულს გაუშვებდნენ ციხეში, ან დამბრალებელს.

თუ ისევ ის სიტუაცია შენარჩუნდება ქვეყანაში, რაც არის ახლა, განვითარებაზე საერთოდ აღარაა ლაპარაკი; ჩვენ დავრჩებით იგივე სამართლებრივ უდაბნოში, როგორშიც ვართ.

ელისაშვილთან ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე მე გახლდით პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე. სხდომა, შეიძლება ითქვას, ქართული საზოგადოებისთვის საკვანძო თემას ეხებოდა.

ქალბატონებმა **თამარ კორძაიამ** და **თინა ხიდაშელმა** შეიტანეს კანონ-პროექტი — ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები ცალკე მუხლად გამოყოფილიყო სს საპროცესო კოდექსში.

დევიზის მსგავსი მიდგომა ამ საკითხისადმი კორძაიასა და ხიდაშელის მხრიდან, იყო ასეთი — საქართველოში ქალებს კლავენ და კლავენ იმიტომ, რომ ქალები არიან! აი, ასეთი მიმართულებით მიდიოდა საუბარი. მეორე საკითხად დაისვა სექსუალურ შევიწროებაზე სასჯელის დაკისრება.

ეს არის უდიდესი საფრთხის შემცველი ინიციატივა, რადგან, მაგალითად, ნებისმიერ დროს ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია ნებისმიერი თანამდებობის პირი ან პოლიტიკოსი გამოიყვანოს მწყობრიდან და მისი სრული დისკრედიტაცია გამოიწვიოს. როდესაც ვიკითხე, გვაქვს თუ არა ამის საპირწონე რაიმე, რითაც ცილისწამება თავიდან იქნება აცილებული, რა იქნება კომპენსაცია, თუ არ დამტკიცდა სექსუალური დისკრიმინაცია და ა.შ.-მეთქი, ქალბატონმა კორძაიამ განმიცხადა — მაგისთვის სასამართლოა და იქ აღიდგენენ პატივსა და ღირსებასო. ასეთი ტიპის ცინიზმი მიზანმიმართული ქმედებაა სახელმწიფოს დასანგრევად, საზოგადოების ფრაგმენტაციისა და ატომიზაციისთვის, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ვერ ფორმირდეს.

საბედნიეროდ, უარყოფითი დასკვნა დაიდო პირველ მოსმენაზე. ამჯერად, გაგვიმართლა, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, ასე ვთქვათ, „პარადი“ არ მიჰყავდეთ რესპუბლიკელებს და არასამთავრობოებს.

არასამთავრობო სექტორი, პრეზიდენტი, ამათი მხარდამჭერი, სახალხო დამცველი, პარლამენტში „რესპუბლიკური პარტია“ და „ნაციონალური მოძრაობა“, თავისუფლების ინსტიტუტი, მედია, ერთდროულად ებრძვიან სახელმწიფოს, ქვეყანას, დივერსიული მეთოდებით.

კანონები, რომელთა დამტკიცებასაც ითხოვენ ე. წ. მედასავლეთეები, არ არის ქართული შინაგანი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, არის გარედან თავსმოხვეული, იწვევს და კვლავაც გამოიწვევს მძიმე შედეგებს.

„რუსთავი-2“ არის მთავარი ფლაგმანი გავლენის აგენტურის. აუცილებელია ამ ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა, რაც ნიშნავს, რომ ამ აპოკალიპსურ ქვეწარმავალს ამოვაგლიჯოთ შხამიანი ეშვი და მაშინ ის საშიში კი არა, სასაცილო გახდება.

ხელი არ უნდა აუკანკალდეს არავის. გაუგონარი ინფორმაციული შხამის ნთხევა საქართველოში უნდა შეწყდეს.

— **ტელევიზიაზე ჩამოვარდა საუბარი და, სხვათა შორის, ელისაშვილის ერთი გადაცემა მომაგონდა ახლა. სიუჟეტში ალეკო ელისაშვილი ათვალიერებს ვერის ძველ სასაფლაოს. გვაჩვენებს, რომ სასაფლაოზე, ერთი-ორის გარდა, სულ სომხების საფლავებია და დასძენს, რომ ეს სასაფლაო არმენების დაარსებულია. რას ნიშნავს ეს, სიმართლეს თვალს უსწორებს თუ სხვა მხრით უკაკუნებს?**

— თითქოს თბილისი ვიღაცებმა ააშენეს და ა. შ. ეს არის სრული სისულელე. თბილისი იყო საქართველოს სამეფოს დედაქალაქი. ჯერ კიდევ ხოხბამდე, ფარსმან ქველის დროინდელი I-ის აბანოებია ჩვენს ქალაქში აღმოჩენილი. ჩვ. წ. აღ-მდე VII-X ს-ის არტეფაქტებიც აღმოჩინეს თბილისსა და მის შემოგარენში.

გამოსაკვლევია, სხვათა შორის, რატომ აკეთებენ ასეთ გადაცემებს და საერთოდ, გასარკვევია, ვინ არიან ისინი, ასეთი გადაცემების შემოქმედნი. ან რედაქტორი არ ჰყავს ამ გადაცემას, ან რა ხდება, საერთოდ?!

კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმები და ბევრი ახალი კანონია მისაღები ქვეყნის სუვერენიტეტის ასამაღლებლად, რომ გავუძლოთ გლობალიზაციის უარყოფითი ასპექტების შემოტევებს.

როგორც ცნობილია, მდინარეს აქვს თვითგანწმენდის უნარი. ასეა გენეტიკაშიც. ეროვნული გენეტიკური მდინარე იწმინდება დროის განმავლობაში. ეს მუდმივი პროცესია. თითოეულ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს ეს და უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენით არც დაწყებულა და არც დამთავრდება. ჩვენ წარმოვადგენთ მრავალსაუკუნოვან ერთიან დიდ ორგანიზმს, რომელიც ფასეულია კაცობრიობისთვის. დიდი ქართული კულტურა თავის პოლიტიკურ გამოხატულებას ელოდება, რომ განსხეულდეს და გამოვლინდეს რეალობაში.

ტყუილად კი არ იგზავნება მილიონობით თანხა არასამთავრობოებისთვის, რომლებიც სოკოებივით მრავლდება. იმიტომაცაა ასეთი შემოტევა, რომ ჩვენს ცნობიერებას, ჯერჯერობით, ძვრა ვერ უყვეს. უძლიერესი შეტევები განხორციელდა ყველა მიმართულებით, არავის ეგონოს, სიტყვა შეტევა აბსტრაქციული ტერმინი, ასეა სინამდვილეში. უბრალოდ, ხანდახან, სრულად ვერ ვხედავთ სურათს, რაც ჩვენს გარშემოა და ამიტომაც, ზოგჯერ, ბრძოლები ჩვენს წინააღმდეგ ზღაპრულ ბუტაფორიებად გვეჩვენება. ამიტომაცაა ჩვენი ტრადიციების დაცვა აუცილებელი, ამიტომაცაა საჭირო ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლა არა იარაღით, არამედ გაცნობიერებულად, უხილავი და დამანგრეველი ძალების წინააღმდეგ.




**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ღალატის ანატომია



2011 წლის 4 ოქტომბრიდან, მილიარდერისა და ფილანტროპის **ბიძინა ივანიშვილის** ქართულ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მე, ქართული საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** მთავარი რედაქტორი **არნო ხიდირბეგიშვილი,** პუბლიკაციების სერიაში არაერთხელ ვამბობდი და ვასაბუთებდი – რატომ არ უნდა ენდოს ივანიშვილი მის გარშემო მჭიდროდ შემოჯარულ ხარბ დეზინფორმატორებსა და დილეტანტებს – გამყიდველ **ექსპერტებს, ჟურნალისტებსა** და **პოლიტიკოსებს.** მე კონკრეტულად ვასახელებდი მათ გვარებს, მომყავდა მათი მაკომპრომეტირებელი მრავალრიცხოვანი ფაქტები და ვაფრთხილებდი, რომ ისინი – უწესო და უმადური ადამიანები, საქართველოსა და ივანიშვილის ფარული მტრები არიან,



ამიტომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში უღალატებენ.

სამწუხაროდ, მაშინ ივანიშვილმა ჩემი გაგონება არ ისურვა და მერე ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ვვარაუდობდი.

ასე იყო მედიდური თავცარიელი მარჩიელების შემთხვევაში, რომლებსაც მე **პროქტოპოლიტოლოგებს** ვეძახი – უნარისთვის, ნებისმიერ მმართველს ულოკონ უკანალი და მათ საამებლად იდიოტური პროგნოზები აკეთონ უკანალით, უკანა რიცხვით. ბატონმა ბიძინამ ჩემი რჩევა არ შეისმინა – წყალობით აავსო ცისკარიშვილის „ექსპერტთა კლუბი“ და სხვა პროვინციელი რუსოფობები, რომლებიც დღეს ალასანიას, ბურჭულაძისა და „ნაცმოძრაობის“ სხვა სატელიტ პარტიებში მიმოიფანტნენ და იქიდან ბილწსიტყვაობენ ივანიშვილის მისამართით.

ასევე იყო **ტელეწამყვანების** შემთხვევაშიც, რომლებსაც თავი დიდ ჟურნალისტებად წარმოუდგენიათ, სინამდვილეში კი პათოლოგიური ბრიყვები და თავიანთ რესპონდენტებზე – პროქტოპოლიტოლოგებზე – უარესი უწიგნურები არიან, იმიტომ რომ ყველანი სააკაშვილის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან წარმოიშვნენ. ბიძინა გრიგოლის ძემ არ დამიჯერა – მათ ყურადღება და სიკეთეები არ მოაკლო, დღეს კი ისინი „რუსთავი 2“-ის ირგვლივ დაირაზმნენ და ივანიშვილს ლაფს ასხამენ, როგორც მოსალოდნელიც იყო. იმიტომ, რომ ყველა ჟურნალისტი, ვინც ჯალათ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს „ათეთრებს“, **ჟურ-ნაცისტი** და **დურ-ნალისტია!**

2012 წლის 1 ოქტომბრიდან, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს ვთხოვდი, ქართველი ხალხისთვის დაებრუნებინა **„საზოგადოებრივი მაუწყებელი“,** რომელიც ხალხის ფულით – ქართველი გადასახადის გადამხდელების ფულით არსებობს. ვაფრთხილებდი, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ სააკაშვილის თანამებრძოლის – თამარ კინწურაშვილის ხელით დაკომპლექტებული, „ნაცმოძრაობის“ გველების ბუდეა, რისთვისაც ამ ტელეკომპანიას ხალხმა „რუსთავი 1“ შეარქვა.

გავიდა 4 წელი, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხს არ დაუბრუნა სახელმწი-



ფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ერთადერთი სახელმწიფო ტელევიზია, რომელიც დღემდე „ნაცმოძრაობის“ რუპორად რჩება.

ამაში თავად ივანიშვილიც დარწმუნდა, რომელიც „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ 2016 წლის 2 ივნისს სტუდიაში სიცრუით შეიტყუა – ვითომდა, თანამემამულეებისადმი მისი ა.წ. 30 მაისის მიმართვის თეზისების განსახილველად. მაგრამ ამის ნაცვლად სტუდიაში დაახვედრეს უზრდელი გაუნათლებელი გოგო, გვარად „ასათიანი“ – აშშ-ის კონგრესის მიერ დაფინანსებული და აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს (CIA) მიერ კონტროლირებადი **„რადიო თავისუფლების“** ჟურნალისტი.

ეს უზრდელი გოგო, რომელიც ივანიშვილის მიმართ „ნაცმოძრაობის“ ბრალდებების აბსურდულ, ვითომ და ივანიშვილის პრესსამსახურთან შეთანხმებულ ნაკრებს შპარგალკიდან კითხულობდა და ბატონ ბიძინას სიტყვას აწყვეტინებდა – ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ბოსების დაკვეთა შეესრულებინა და ივანიშვილისთვის ობსტრუქცია მოეწყო. მაგრამ ივანიშვილის თავშეკავებისა და ლოგიკის წყალობით, რომელმაც ის ღვიძლი შვილივით შეიბრალა, ყველაფერი სამარცხვინოდ დასრულდა როგორც **დურნალისტის**, ისე მისი დამსაქმებლებისთვის – „რადიო თავისუფლების“ (CIA-ს) და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ („ნაცმოძრაობის“) – ამ თავისმომჭრელ ერთობლივ პროექტის ორგანიზატორებს.

და განა ასევე არ მოხდა ქართველი ხალხისათვის საძულველი **პოლიტიკოსებისა** და **პარტიების** შემთხვევაშიც, რომლებიც ივანიშვილმა პოლიტიკური მორგიდან გამოათრია და ისტორიის სანაგვიდან დაიბრუნა?! ივანიშვილს ვემუდარებოდი, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა ისინი კოალიციიდან და არ დაენიშნა მაღალ სამთავრობო და საპარლამენტო თანამდებობებზე, იმიტომ, რომ ეს მტრები არა მარტო „ქართული ოცნების“ რეიტინგს აგდებენ, არამედ მომენტს ელოდებიან, რომ მას ზურგში დანა ჩასცენ!

მე არც „ფილოსოფოსი“ **მარგველაშვილის** შემთხვევაში შევმცდარვარ, რომელიც დღემდე წინდების ქსოვითა და სოფლურ იდილიაში ბოკერიასთან ერთად ღვინის წრუპვით იქნებოდა გართული, ივანიშვილს დუშეთიდან რომ არ წამოეყვანა. მან ის დაბანა და გაათბო, გაკრიჭა, ჩააცვა და დაახურა, ჯიბის ფული აჩუქა და... საქართველოს პრეზიდენტად დანიშნა! მადლობის ნიშნად კი სააკაშვილის ავლაბრის სასახლეში მოკალათებულა „კარალეევა მარგომ“ ინაუგურაციის მეორე დღესვე ივანიშვილს ყურმილი დაუკიდა და პარლამენტის ყველა კანონპროექტს ვეტოს ადებს.

აღარაფერს ვამბობ საერთაშორისო დამნაშავის, ქურდისა და თაღლითის **სააკაშვილის** მადლიერებაზე, რომელიც ივანიშვილმა საქართველოდან გაუშვა და რომელსაც პრეზიდენტობის დროს გამუდმებით ეხმარებოდა ასობით მილიონი დოლარით – სხვადასხვა პროექტისთვის, რომლებითაც სააკაშვილი მთელ მსოფლიოში იწონებდა თავს!



... გავიდა 4 წელი. ისევ მოახლოვდა საპარლამენტო, კვალდაკვალ კი – საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები. ცილისწამებით შებღალულ „ქართულ ოცნებას“ ისევ კოჰაბიტაციის შედეგად მომაგრებული „ნაციონალური მოძრაობა“ უპირისპირდება. ივანიშვილი ისევ გამყიდველი ინტრიგანების, დილეტანტებისა და ბრიყვების ბლოკადაშია, რომელთაგან ზოგიერთი უეჭველად „მეორე წრეზე წავა“ და ხელისუფლების სათავეში დარჩება, ხოლო პროფესიონალებსა და საქართველოს პატრიოტებს ისევ განზე დატოვებენ, ბატონი ბიძინა ხომ მათთვის უწინდებურად მიუწვდომელია...

P.S. პოლიტიკაში შეცდომა ერთხელ ხდება, ხოლო როცა შეცდომა ბევრია – ეს უკვე კონტრპროდუქტიული ტენდენცია გახლავთ. მაშ, **რატომ არ სურს კრეატიული ანალიტიკური აზროვნებით გამორჩეულ ივანიშვილს შეცდომების გაანალიზება, დასკვნების გამოტანა და რაიმეს შეცვლა?! ნუთუ ფსიქოანალიზით გატაცებულ პრაგმატულ მილიარდერს არ ენანება თავისი შრომით ნაშოვი და ფუჭად გაფლანგული ფული?!** უბრალოდ, ქარისთვის რომ გაეტანებინა, კიდევ არაუშავს, რადგან **თავისი ფულით ივანიშვილმა მხოლოდ მტრები შეიძინა – მეგობრები უსასყიდლოდ ერგო!** თითქმის ყველამ, ვინც მან წყალობით აავსო და ვისაც ეყრდნობოდა, უღალატა, ხოლო წესიერ ადამიანებს, რომლებიც უანგაროდ უჭერენ მხარს, უწინდებურად თავს არიდებს... წესიერ ადამიანებს ხომ არ აქვთ ლობი, სამაგიეროდ აქვთ მრწამსი, რომელსაც არ ჰყიდიან – სამშობლოს საკეთილდღეოდ უსასყიდლოდ უზიარებენ! **იქნებ, სწორედ ეს აფრთხობს ივანიშვილს, რომელიც თავისი რთული ცხოვრების მანძილზე საჩუქრებს მიჩვეული არ არის, შავ უმადურობას კი მიეჩვია?!**

შედეგად კი ისევ გამოდის, რომ **ივანიშვილი თავისიანია უცხოებს შორის, უცხო – თავისიანებს შორის...**

P.P.S. იცით, ვინ აღმოჩნდა ის სასაცილო გოგონა გვარად „ასათიანი“ **„რადიო თავისუფლებიდან“** ?! იმ სასაცილო 5 წლის გოგონას ქალიშვილი, რომელიც 1965 წლის ზაფხულში მოსკოვის „ერმიტაჟის“ ბაღში დირიჟორმა სკამზე დააყენა და მან კომპოზიტორ პევზნერის მიერ საგანგებოდ მისთვის დაწერილი **„ნარინჯისფერი სიმღერა“** იმღერა! ის ამ სიმღერას დღემდე მღერის წლების განმავლობაში უცვლელი ბავშვური ხმით, იმიტომ რომ **ირმა სოხაძე** – იმ უმადური გამყიდველი ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელიც მოსკოვის წყალობით გახდა პოპულარული და რომელიც დღეს ლანძღავს რუსეთს და ხოტბას ასხამს ამერიკას! მოსკოვურ დახვედრებსა და ჰონორარებს მიჩვეულნი, ისინი ბრაზობენ რუსეთზე იმის გამო, რომ მათ უკვე აღარ იწვევენ, და ვერც კი ხვდებიან, რა სასაცილოები არიან...

მოსკოვში ბოლო კონცერტი სოხაძემ 2008 წელს მაისში იმღერა, ხოლო საქართველოში ის, ძირითადად, კორპორაციულ წვეულებებზე მღერის – „ნარინჯისფერ სიმღერას“ და საბჭოთა კავშირის დროინდელ სხვა სიმღერებს, რომლებიც მას ყველაზე უკეთ გამოსდის. სამაგიეროდ, ქართულმა ტელეარხებმა სისტემატურად დაიწყეს **ირმა სოხაძის** მიწვევა პოლიტიკურ თოქ-შოუებში, სადაც ის ისევ ისეთი ბავშვური ხმით, რომელიც ძალიან ჰგავს მისი ქალიშვილის – „რადიო თავისუფლების“ **დურნალისტის** ხმას, პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, რომ საქართველოსა და ქართველებისთვის ერთადერთი მზე **ნატო** ყოფილა!

**არნო ხიდირბეგიშვილი**

# ლალი მოროშკინა: ტერიტორიების დაბრუნება ახლად დაკარგული მიწებით უნდა დავიწყოთ და ის, რაც ბოლოს დაიკარგა, პირველი უნდა დაბრუნდეს



**6 ივნისს „ქართული ოცნებიდან“ გასულმა დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა ახალი პოლიტიკურ პარტიის შექმნის შესახებ გააკეთა განცხადება. პარტიას, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ ერქმევა. „საერთო გაზეთის“ სტუმარია პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრი ლალი მოროშკინა.**

– ბოლო დღეებია, მოსახლეობიდან არ წყდება ზარები, მოლოცვები და იმედიანი სიტყვები. ასეთ ფონზე, ნამდვილად მოულოდნელი იყო ლევან ბერძენიშვილის განცხადება, რადგან პარტიის წევრი ქალბატონები სულ ცოტა, მილოცვას ველოდით. როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში შურის და ღვარძლის მომენტი კიდევ დიდხანს იქნება. ალბათ, ბატონ ლევანს რაღაც პირადული ხასიათის წყენა რეალობის აღქმას უკარგავს, თორემ მშვენივრად უნდა ესმოდეს, რომ პარტიას, სადაც ასეთი სახეები არიან გაერთიანებული, არჩევნებში ძალიან დიდი პროცენტის აღების შანსი აქვს.

– **ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ შეძლებთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას და საუბრის დაწყებას საქართველოს 2008 წლამდელი სტატუს-კვოს აღდგენაზე. იქნებ გვითხრათ, ამის გაკეთებას როგორ აპირებთ?**

– მიმაჩნია, რომ ტერიტორიების დაბრუნება ახლად დაკარგული მიწებით უნდა დავიწყოთ და ის, რაც ბოლოს დაიკარგა, პირველი უნდა დაბრუნდეს. ალბათ, არავინ აპირებს თავის გასულელებას და იმის თქმას, რომ დაკარგულ ტერიტორიებთან რუსეთი არაფერ შუაშია. შესაბამისად, არავის ექნება ილუზია, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია რუსეთის გარეშე მოხდეს. მიმაჩნია, რომ ჩვენ თუ არ დავიწყეთ ამაზე საუბარი და თუ არ მოვითხოვეთ, არავინ არაფერს მოგვცემს. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, შემოგვიბრუნდეს რუსეთის ფედერაცია და გვითხრას, იქნებ ვაპირებდით დაბრუნებას, ვინმე რომ დაგველაპარაკებოდაო. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ფანდია და არაფერია გასაკვირი. მე ახლახან დავბრუნდი რუსეთიდან, სადაც ძალიან მაღალი დონის პოლიტიკოსებთან მქონდა შეხვედრა და მაქვს იმის საფუძველი, რომ მჯეროდეს, რომ როგორც კი ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა სამთავრობო დონეზე დასტაბილურდება, მაშინვე დაიწყება დიალოგი იმ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე, რომლებიც სააკაშვილის ნამუსზეა. ჩვენ ვნახეთ, რომ რუსეთი არ დათანხმდა ოსეთის თხოვნას კონფედერაციის სახით მიერთებაზე და პოზიცია შეაცვლევინა. ჩვენ ვნახეთ, რომ რუსეთმა, რომელსაც შეეძლო აეყვავებინა სოხუმი, იგივე მდგომარეობაში დატოვა სოხუმიც და ცხინვალიც, როგორიც ჩაიბარა და ამ დროს, 30 კილომეტრში ააყვავა და მსოფლიო დონის ოლიმპიურ ქალაქად აქცია სოჭი. ამ და სხვა ფაქტორების გამო, ვვარაუდობ, რომ როგორც კი რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებები დაიწყება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შანსი გაჩნდება. ამას ვისმენ ძალიან ბევრი ადამიანისგან, რომლებიც რუსეთში პოლიტიკას ქმნიან. ალბათ გესმით, საქართველოს მოქალაქისთვის რუსეთში წიგნის გამოცემა უპრეცენდენტო შემთხვევაა და ეს მოვახერხე. ბოლო ქართველი მწერალი, რომლის წიგნი რუსეთში გამოიცა, ნოდარ დუმბაძე იყო და ახალი სეზონი მე გავხსენი. ეს ყველაფერი მაძლევს უფლებას, ვთქვა, რომ რეალურად, შესაძლებელია ბევრი პრობლემა მშვიდობიანად და მოლაპარაკების გზით გადაწყდეს. ამას ვამბობ როგორც ყოფილი მინისტრის მოადგილე კონფლიქტების დარგში და შერეული საკონტროლო კომისიის წევრი. მოგეხსენებათ, რომ ეს იყო საქართველოს, ოსეთის, რუსეთის და ეუთოს მონაწილეობით შექმნილი ოთხმხრივი კომისია, სადაც ნებისმიერი თემა მხარეებს შორის თანხმდებოდა და გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობდა. სამწუხაროდ, სააკაშვილმა ეს კომისიაც გაანადგურა და ის ურთიერთობებიც, რომელიც უკვე არსებობდა. ჩვენს ევროკავშირთან ერთად, ქურთაში გავხსენით ფანტასტიური სასტუმრო, სადაც სამშობიაროც იყო განთავსებული და ოსი და ქართველი ქალბატონები მშობიარობდნენ. მოგვიანებით, სააკაშვილმა ყველა გამოყარა და სასტუმრო სანაკოევის რეზიდენციად აქცია. სხვა საკითხია, ამით რა მოიგო ქვეყანამ. მე ძალიან კარგად ვიცი დიპლომატიური მოლაპარაკებების ფასი, რადგან ვიყავი ადამიანი, რომელსაც გამოჰყავდა ქართველი პატიმრები ცხინვალის ციხიდან და ოსი პატიმრები ქართული ციხეებიდან. შემდეგ ხდებოდა მათი გაცვლა. ასე მოხდა ქართული ციხეებიდან ცხინვალი პოლიციის უფროსის და ოსი ქალბატონების გამოყვანა და ქართველ პატიმრებზე გაცვლა. სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია არ გავიხსენო სულ ბოლო ფაქტი, როდესაც რუსებმა ციხეებიდან შვიდი ქართველი მზვერავი გამოუშვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთისმხრიდან არსებობს მოლაპარაკების დაწყების მზადყოფნა.




– **ასეთ მზადყოფნას და სურვილს ჩვენი მხრიდან თუ ხედავთ?**

– ხელისუფლებას ფსევდოლიბერალური ფრთის ყვირილი აშინებს, რომელიც ჩემთვის, უფრო ფაშისტურ ფრთას წარმოადგენს, ამიტომ რუსულ მხარესთან მოლაპარაკების დასაწყებად ვაჟკაცობა არ ეყო. პარლამენტიც ისე ამთავრებს თავის მოღვაწეობას, რომ ამ კუთხით არანაირი მიღწევა არ ჰქონია. არა მგონია, რომ თამაზ მეჭიაურს, სანდრო ბრეგაძეს, ია მეტრეველს და სხვებს ვინმემ არაეროვნულობა დასწამოს. პირადად მე ჩემი ქვეყანაა მიყვარს და აქედან არასოდეს არ არსად წავალ. ახლაც, იმიტომ შევწყვიტე ჩემი ტურნე რუსეთსა და უკრაინაში, რომ მივხვდი, რომ აქ უფრო საჭირო ვარ. ძალიან მარტივად შემიძლია დავიხურო ქუდი და დავბრუნდე იქ, სადაც ვიყავი ანუ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში, მაგრამ ვხვდები, რომ ბევრი რამ გასაკეთებელი და ღიად დასაფიქსირებელია. როცა რაღაცას ვამბობ, ამის თქმის საფუძველი მაქვს. თუ რაიმე ისე არ გამომივიდა, როგორც ვპირდებოდი, ყოველთვის მზად ვარ, რომ ვაღიარო და მოვიბოდიშო, მაგრამ ეს არ მოხდება. არ მახსოვს პატიმრების თემიდან დაწყებული და კონფლიქტური ზონებით დამთავრებული, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიმეყვანა და ამის მომსწრე ხალხიცაა არქივიც და მემატიანეც.

– **მოდით, ისევ რუსეთთან მოლაპარაკებების თემას დავუბრუნდეთ. ასეთი მცდელობები თქვენამდე ნინო ბურჯანაძესაც ჰქონდა, მაგრამ აქედან ბევრი არაფერი გამოვიდა. ექსპერტები და პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ რუსეთთან დიალოგის დასაწყებად და ამისთვის ნიადაგის შესამზადებლად, საჭიროა ახალი ძალები და სახეები. როგორ ფიქრობთ, ნამდვილად ასეა თუ არა და შეძლებთ თუ არა იმას, რაც ბურჯანაძემ ვერ შეძლო?**

– როგორც ვთქვი, რუსეთში ძალიან მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან და პოლიტოლოგებთან მქონდა შეხვედრები. აქედან გამომდინარე, ვეთანხმები თქვენს სიტყვებს, რომ რუსეთში ცდილობენ, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ახალი მოთამაშეები შემოიყვანონ. ქალბატონი ნინოს პერსონის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ ახალ მოთამაშეებზე მოთხოვნა გაჩნდა. ალბათ გახსოვს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, რუსეთმა ელჩად ჩხიკვიშვილი გამოგვიგზავნა. სავარაუდოდ, მიაჩნდათ, რომ ქართული მენტალიტეტის ადამიანი უფრო მოახერხებდა პრობლემების მოგვარებას და ალბათ, იმავე მიზეზის გამო, ამ ეტაპზე, რუსეთში დიდი დოზით ვარ წარმოდგენილი. ჩემთვის, როგორც ნახევრად რუსული და ნახევრად ქართული გენეტიკის მატარებელი ადამიანისთვის, ამ ორ ქვეყანას შორის შექმნილი პრობლემა იმდენად ორგანული და მტკივნეულია, რომ წესით, არავის უნდა გაუჩნდეს კითხვა, რატომ მე. იმიტომ, რომ მე ორ ქვეყანას შორის ვარ გაყოფილი, იმიტომ, რომ მახსოვს რუსეთში მცხოვრები მილიონ 200 000 ქართველი და იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ პრობლემის მოგვარება.

– **თქვენი აზრით, როგორ მოხდა, რომ ხალხს, ვისაც სამართლიანობის აღდგენის და მკვლელების დასჯის მოლოდინი ჰქონდა, იმედები გაუცრუვდათ? რატომ აღმოჩნდა გურამ გირგვლიანი პაატა ბურჭულაძის გუნდშია და ია მეტრეველი თქვენთან?**

– რა თქმა უნდა, ღვაწლი, რომელიც „ქართულმა ოცნებას“ და პირადად, ბატონ ბიძინას ქვეყნის მიმართ მიუძღვის, დასაფასებელია. ამ შემთხვევაში მე სუბიექტური ვარ და ობიექტური ვერ ვიქნები, რადგან ამ ადამიანის მადლობელი ვიქნები ცხოვრების მაბძილზე, იმიტომ, რომ მე და ჩემი შვილები და ალბათ კიდევ უამრავი ადამიანი გისოსების მიღმა არ ვართ. საშინლად უმადური და არაადამიანი უნდა იყო, რომ ეს ვერ დაინახო, მაგრამ რაც შეეხება დანარჩენს, ის რაც პროკურატურას, პარლამენტს და სხვა უწყებებს არ აღმოაჩნდათ, პროფესიონალიზმია. მეტსაც გეტყვით, მე ვცდილობ დავუკავშირდე თეა სირაძეს. ვცდილობ, თავდებში დავუდგე, რომ ახალგაზრდა, მრავალშვილიანი დედა რამდენიმე მამაკაცის ცემის გამო, ციხეში არ ამოიხრჩოს და ესეც კი არ მოხდა და რაზეა საუბარი? მოდით პირდაპირ ვთქვათ, რომ ვერ შეძლეს. დღეს იარო ამომრჩეველთან და თქვა, რომ ბოდიში იმ ოთხ წელში ვერ შევძელი და შემდეგი ოთხი წელი მომეცითო, არადამაჯერებლად ჟღერს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში პრობლემები ელის.

ნელი თორდია
571 35 36 88

# ტერაქტი თუ სააკაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი, რომლის გამოც ვოვა არუთინიანს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



*„მე მყავს დედა – ანჟელა არუთინიანი. ის ჩემი ოჯახის ერთადერთი წევრია. ის 73 წლის არის და ჩემს გარეშე ძალიან უჭირს. პატივცემულებო, აი უკვე 9 წელია, რაც მე ქალაქ თბილისის #7 ციხეში ვიმყოფები. ბევრჯერ სხვადასხვა ადამიანისთვის მითხოვია, რომ დროებით მაინც, სანამ ჩემი 73 წლის დედა ცოცხალია, ისეთ ციხეში გადამიყვანონ, სადაც მე მასთან სატელეფონო საუბრები და შეხვედრის მეტი საშუალება მექნება. შევძლებ მუშაობას და სწავლას, რომ მას დავეხმარო. მე ამას შევძლებ ციხიდანაც. მთავარია, ცოტა მეტი*



*საშუალება მომცენ. მე ამ თხოვნით უამრავ თანამდებობის პირს მივმართე, მაგრამ სასურველი შედეგი არ დადგა. პატივცემულებო, დრო მიდის. დედაჩემი სულ უფრო ბერდება. უმორჩილესად გთხოვთ, ჩემი ხმა მიაწვდინოთ იმ თანამდებობის პირებს, რომელთაც საქართველოში საშუალება აქვთ, ჩემი მდგომარეობა შეცვალონ. მომცენ მე, უვადო პატიმარს, დედაჩემთან მეტი კონტაქტის, სატელეფონო საუბრების და შეხვედრების უფლება. თქვენ რომ იცოდეთ, პატივცემულებო, როგორ მინდა დედაჩემს მოვეფერო. ნუთუ ეს ცუდი რამაა. რატომ არ მაძლევენ ამის საშუალებას? ჩემს თხოვნას რეაგირების გარეშე ნუ მიატოვებთ. მიაწოდეთ ხმა ჩემი ქვეყნის ხელისუფლებას. მათ ვთხოვ, რომ დედაჩემი შეიცოდონ და სანამ ის ცოცხალია, შევძლო მას მოვეფერო, ვაკოცო და ხშირად ველაპარაკო“,* – ეს წერილი რამდენიმე დღის წინ 2006 წელს აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტისას, მასზე განხორციელებულ ტერაქტში ბრალდებულმა ვოვა არუთინიანმა გამოაგზავნა სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებიდან.

**არუთინიანი 11 წელიწადია, ყველაზე იზოლირებული, მძიმე პირობების საპყრობილეში სამარტოო საკანში ზის ტერაქტისთვის, რომელიც არ შედგა, ვითომ წითელ ცხვირსახოცში გახვეული ხელყუმბარის გასროლისთვის, რომელიც არ აფეთქდა...**

**სააკაშვილის და ნაცხროვის მმართველობის დროს სასჯელები როგორ რიგდებოდა, კარგად ვიცით. სპექტაკლების დადგმაშიც მარჯვეები იყვნენ და მიცვალებულებისთვის იარაღის ჩადებაშიც, „მოდელირებული ქრონიკაც“ კოშმარივით გვახსოვს და ნათელაშვილის ოფისის სიახლოვეს მომხდარი აფეთქებაც, რომელსაც იქვე, მეზობელი ქალბატონის სიცოცხლე შეეწირა და შემდეგ სპეცოპერაცია „კოჭორია“ და დაჭერილი „დამნაშავე“ თვალებგაფართოებული ტერორისტი მეგრელები სამეგრელოს მიყრუებული სოფლიდან...**

**ასეთ საქმეებზე პრიორიტეტები არ არსებობს, ამიტომ ყველა საქმე ხელახლა უნდა იქნას გამოძიებული და შესაბამისად, გადაკვალიფიცირებული, რადგან არ შეიძლება ქვეყანაში იყოს სიმშვიდე, შეიქმნას სახელმწიფო, ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით, თუკი სახელმწიფოში ერთი ადამიანი მაინც უდანაშაულოდ იტანჯება რეაქტიული პარანოით შეპყრობილი ავანტიურისტი სააკაშვილის ზღვარგადასული ამბიციების გამო.**

**გასულ კვირას ქალბატონმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა.**

**რედაქციის შენობის წინ საშინელ წვიმაში შენობის ქონგურს შეფარებული უპრეტენზიო გამომეტყველების ქალბატონმა თავი ანჟელა არუთინიანად გამაცნო. და საუბარი 11 წლის წინანდელი ამბით დაიწყო ისე, თითქოს ყველაფერი გუშინ ყოფილიყო...**

– დაჭერისას ისე სცემეს ვოვას, ფეხზე ვერ დგებოდა და საკაცით წაიყვანეს საავადმყოფოში იმ ვითომ ტერაქტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. 7 საათი ოპერაციას უკეთებდნენ.ა ძლივს გადარჩა, ალბათ, იმიტომ რომ, არ ეწეოდა, არ სვამდა. მარცხენა მკლავი თაბაშირში ჰქონდა, მერე ტელევიზორში ვნახე მეზობელთან, რადგან ტელევიზორი არ მქონდა და არც ახლა მაქვს. როგორც შემდეგ გავიგე, ფილტვიც ჰქონია ჩემს შვილს სერიოზულად დაზიანებული.

ჩვენ მეექვსე სართულზე ვცხოვრობთ. თურმე, ვოვა, მესამე თუ მეოთხე სართულზე დაუჭერიათ.

მე არაფერი ვიცოდი.

მერე ჩემთან ამოვიდნენ პოლიციელები და დაიწყეს ბინის ჩხრეკა.

ბევრი პოლიციელი ირეოდა, ისე ცუდად გავხდი, აზრი წამერთვა. ხან კორვალოლს, ხან ვალერიანს მასმევდნენ. გაშეშებული ვიჯექი. მითხრეს, „პადვლის“ გასაღები მოგვეციო. ე. ი. ისიც იცოდნენ, „პადვალი“ რომ გვქონდა. მე მივეცი გასაღები. რას ვიფქრებდი, რა უნდოდათ. იმის თავი არ მქონდა, ქვევით, „პადვალში“ ჩავყოლოდიო. რომც წავსულიყავი, ვინ იცის, ბინაში რას ჩადებდნენ. ბინაშიც რომ ჩაედოთ რამე, ისე ვიყავი გაოგნებული, ამასაც ვერ გავიგებდი. რომ ჩხრეკდნენ, ახლოსაც არ გავკარებივარ, დივანზე ვიჯექი უაზროდ. წნევამაც ამიწია და არაფერზე არ მქონდა რეაქცია. ერთი კვირა თუ 10 დღე გასაღები მათ ჰქონდათ. მერე ჩემი ფანჯრიდან ვხედავდი, „პადვლის“ შესასვლელთან „გრუზავიკები“ რომ მოდიოდნენ და ჩერდებოდნენ. რა ხდებოდა, არ ვიცი. ზაფხული იყო, ივლისის თვე, კარგად დაცხა იმ ხანებში. „პალატკები“ გაშალეს „პადვლის“ სიახლოვეს და იქ მოძრაობდნენ, ვითომ იცავდნენ რაღაცას.

– **რა იპოვეს სარდაფში, თქვენ არ იცით?**

– მეც ეს მაინტერესებს. რატომ არ წამიყვანეს და არ მაჩვენეს, რა იყო „პადვალში“?

– **თქვენი შვილი ტერორისტად არის აღიარებული. იარაღს ეძებდნენ, ალბათ.**

– გასაგებია, მაგრამ რატომ არსად არ არის დაფიქსირებული, რომ ჩემმა შვილმა ისროლა ხელყუმბარა. იმ დღეს იქ იმდენი პროფესიონალი სპეციალისტი იქნებოდა, კამერები და ათასი რამ,. როგორ ვერ შეამჩნევდნენ ამ ამბავს. სანამ იმ ადგილას მივიდოდა ჩემი შვილი, მანამდე პოლიციის კორდონები გაიარა და როგორ გამოეპარათ, თუ ასე იყო საქმე, გასაკვირი არ არის?

– **მაგრამ, ოფიციალური ინფორმაციით, თქვენმა ვაჟმა ავტომატით პოლიციელი მოკლა.**

– ის პოლიციელი, როგორც ამბობენ, ვოვას უთვალთვალებდა, მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა, ისიც რომ გამოვრიცხოთ, რომ ჩემს შვილს ავტომატი საერთოდ არ ჰქონია, ჭრილობა გაიხსენონ, რომელიც გარდაცვლილ პოლიციელს ჰქონდა, უკანიდან ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. თუ ვოვას დასაჭერად მოსდევდა, უკნიდან როგორ ესროლა ჩემმა შვილმა??

– **იცოდით, თქვენი შვილი აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრაზე რომ აპირებდა წასვლას?**

– იმ დილით ჩვეულებრივად წაველი დეზერტირების ბაზარში, ცელოფნის პარკებს ვყიდი. რომ მოვედი, ხუთი საათი იქნებოდა. ვოვამ მითხრა: დედა, მე ბუშთან შეხვედრის მიტინგზე ვიყავიო. რაიმე რომ დაეშავებინა, საერთოდ რომ იყო იქ წასული, იმასაც არ მეტყოდა.

არ ვიცი, ნახეთ თუ არა, ერთ გაზეთში სააკაშვილის დაცვის უფროსის მოადგილე წერს – არუთინიანის მიერ „ლიმონკის“ სროლის ფაქტი არ დაფიქსირებულაო.



## ანჟელა არუთინიანი:

ბატონო ელჩო!

მე გახლავართ სააკაშვილის და ნაციონალების ტვინებში დაბადებული ვითომდა ტერაქტის მომწყობი ვოვა არუთინიანის დედა.

გთხოვთ, მიმიღეთ, მომისმინეთ.

მე მოგიყვებით ბოლო პერიოდის ყველაზე დიდ დანაშაულზე, იმაზე, თუ როგორ იხდის სამუდამო სასჯელს უდანაშაულო ადამიანი ტერაქტისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, მეტიც, არც კი უფიქრია ამაზე... თუ ჩემს თხოვნას ყურს არ დაუგდებთ, მთელ მსოფლიოს გავაგებინებ, რომ ამერიკის ელჩი ადამიანის დემოკრატიულ უფლებას – დაამტკიცოს სიმართლე, ხელს უშლის...

ბატონო ელჩო, შემხვდით!

ჩემს გვერდით იდგა პოლონელი ჟურნალისტი, რომელიც ფოტოებს იღებდა, ერთ ფოტოზე ვოვა არუთინიანი იყოო. ეს გახდა შემდეგ ჩემი ბიჭის დადანაშაულების საფუძველი.

არავის დაუნახავს, რომ ვოვამ ყუმბარა ისროლა. ხელისუფლებამ შემდეგ იმ პოლონელი ჟურნალისტის მიერ გადაღებული ფოტო გაავრცელა და ვიღაც ქალმა ვითომ იცნო, რომ ვოვამ ისროლა ხელყუმბარა.

იმ ქალის ნათქვამით დაიჭირეს ჩემი შვილი და ქალბატონს 150 000 ლარი გადაუხადეს.

— **იცით, ვინ არის ის ქალბატონი?**

— ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი.

ყუმბარა ისროლა ვოვამო, მერე აღმოჩნდა, რომ ის ხელყუმბარა ყოფილა სასწავლო დანიშნულების. ეს უკვე 2010 წელს დაიწერა გაზეთში და რაც მნიშვნელოვანია, ყუმბარა სიძველისგან მწყობრიდან ყოფილა გამოსული შემთხვევის მომენტში და ძალიანაც რომ მოენდომებინა ვინმეს, არ აფეთქდებოდა თურმე და არც აფეთქდა სინამდვილეში.

რას გვერჩოდნენ?! 8 წლის იყო ვოვა, მამამისი რომ მოკვდა. წვალებით გავზარდე. სამსახურში დამყავდა, პატარა იყო და სახლში მარტო ვერ ვტოვებდი. სამი წელი ასე ვატარე სამსახურში, მერე თვითონ მითხრა: დიდი ვარ უკვე და დავრჩები სახლში.

მისგან არასდროს გამიგონია

მინდა მივმართო საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას.

არ გაწიროთ ჩემი შვილი საბოლოოდ, ეს იქნება დიდი დანაშაული და ყველაზე დიდი უსამართლობა საქართველოში.

სანამ მე ცოცხალი ვარ, გადახედეთ მის საქმეს, სამართლიანად თუ განიხილავთ, დარწმუნდებით, რომ ვოვა უდანაშაულოა. მხოლოდ ის მყავს ამქვეყნად. მე რომ მოვკვდე, მის გარდა არავინ იცის, სად უნდა დამასაფლავონ.

უმორჩილესად გთხოვთ, ადამიანებმა არ ვიცით, როდის მოვკვდებით. მე რომ უცაბედად მოვკვდე, იმ დღეს მაინც გამოუშვით ჩემი შვილი, საფლავზე რომ გამაცილოს.

გთხოვთ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს — შემხვდით, მიმიღეთ! არ გაინტერესებთ, რა უნდა გითხრათ?

— **რის თქმას აპირებთ, ჩვენ ვერ გაგვიმხელთ?**

— არა. ხელისუფლების წარმომადგენელს უნდა ვუთხრა.

თქვენთან კი ერთი სათხოვარი მაქვს.

— **ბრძანეთ.**

— თუ ამ ინტერვიუს დაბეჭდავთ, დაწერეთ, რომ მე ვთხოვ შეხვედრას ამერიკის ელჩს საქართველოში ბატონ იან კელის.

ბატონო ელჩო!

მე გახლავართ სააკაშვილის და ნაციონალების ტვინებში დაბადებული ვითომდა ტერაქტის მომწყობი ვოვა არუთინიანის დედა.


ვოვა არუთინიანის მიერ ციხეში დამზადებული სუვენირი

ეთქვა: ეს მიყიდე, ის მიყიდე, ძალიან მორიდებული ბავშვი იყო, ასეა ახლაც. ერთხელაც არ მეტყვის, თუ რაიმე უნდა, პირიქით, მე ვეხვეწები: ციხეში ხარ, მითხარი, რა გინდა, რა მოგიტანო. არაფერს არ მპასუხობს. აი, ასეთია, ასეთი მორიდებული.

მე პოლიტიკა არ მაინტერესებს. ჩემს შვილს არ ჩაუდენია დანაშაული, რის გამოც სამუდამოდ ციხეში უნდა იყოს. 11 წელია, სულ მარტო ჰყავთ საკანში, რას ელიან — უნდათ, რომ გააგიჟონ?!

ჩემი შვილი პოლიტპატიმარია. სააკაშვილმა ჩასვა ციხეში საკუთარი მიზნებისთვის.

გთხოვთ, მიმიღეთ, მომისმინეთ.

მე მოგიყვებით ბოლო პერიოდის ყველაზე დიდ დანაშაულზე, იმაზე, თუ როგორ იხდის სამუდამო სასჯელს უდანაშაულო ადამიანი ტერაქტისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, მეტიც, არც კი უფიქრია ამაზე... თუ ჩემს თხოვნას ყურს არ დაუგდებთ, მთელ მსოფლიოს გავაგებინებ, რომ ამერიკის ელჩი ადამიანის დემოკრატიულ უფლებას — დაამტკიცოს სიმართლე, ხელს უშლის...

ბატონო ელჩო, შემხვდით!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



**გადაცემა:**
**„დღის ამბები“ 19.00**
**წამყვანი: ინგა გრიგოლია**
**სტუმარი: ეკა ბესელია**

მინდა, გულწრფელად ვისაუბრო იმ საკითხებზე, რომლებსაც შეიძლება ჩემი პროფესიული არეალი გაწვდეს და მიწვდეს. ეს არის ადამიანის უფლებების სფერო, მე ყველა თემაზე, ბუნებრივია, ვერ გესაუბრებით, მაგრამ იმდენად დიდია უფლებრივი სპექტრი და ჩამონათვალი, რომ შეგვიძლია ბევრ საკითხს შევეხოთ.

ძალიან გულწრფელად შემიძლია გითხრათ ის, რის თქმასაც ვაპირებთ ჩვენ, ასევე გულწრფელად, როდესაც მოსახლეობას შევხვდებით და თითოეული პოლიტიკოსის და შესაბამისად პოლიტიკური ნდობა განისაზღვრება იმით, რას ვპირდებოდით ჩვენს ამომრჩეველს, რა შევძელით, რომ ამ ოთხის წლის განმავლობაში გაგვეკეთებინა და რაც ვერ გავაკეთეთ, რატომ ვერ გავაკეთეთ.

აი, იმ მოცემულობიდან, რომელშიც ჩვენ ჩავიბარეთ ხელისუფლება, დღეს რა მოცემულობაც არის წინასაარჩევნოდ, შემიძლია ვთქვა და ამას, ალბათ, ყველა ჩვენი ოპონენტი აღიარებს, რომ ყველაზე დიდი პროგრესი ჩვენ გვაქვს მაინც ადამიანის უფლებების კუთხით. მე ვერ დამისახელებს ვერავინ ვერც ერთ სფეროს, სადაც ჩვენ არ გვაქვს დადებითი ტენდენცია, სადაც არ შემოვიტანეთ უფრო მეტი სიკეთე, მეტი პოზიტივი და არ შევცალეთ რეალობა

მოდი, დავიწყოთ კონკრეტული თემებით. ყველა თემაზე შემიძლია გავაკეთო შედარებითი ანალიზი: რა გვქონდა და იმაზე უკეთესი ვითარება გვაქვს დღეს, ოთხი წლის შემდეგ, თუ ვართ უარეს მდგომარეობაში. მე შემიძლია გითხრათ, რომ რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, დაწყებული პოლიტიკური სტრატეგიიდან, დამთავრებული კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებებით და უკვე პრაქტიკაში აი, ამ ახალი სტანდარტების დანერგვით, ჩვენ გვაქვს სრულიად სხვა რეალობა, ჩვენ გვაქვს სრულიად ახალი ეტაპი, ამ მხრივ და მართლაც, დღეს სათითაოდ ვითვლით, სად არის სერიოზული პრობლემები უფლებების კუთხით და თითოეული ცალკეული შემთხვევა შეგვიძლია, აი, ასე დღის განმავლობაში ან კვირის განმავლობაში შევკრიბოთ და ამაზე ვიმსჯელოთ, მაშინ, როდესაც, ზუსტად ოთხი წლის წინ შეუძლებელი იყო დათვლა, იმდენი ადამიანის უფლება ირღვეოდა და ირღვეოდა ყველაზე მძიმე ფორმებით. მე ვსაუბრობ წამების, არაადამიანური მოპყრობის, სიცოცხლის ხელყოფის, ძალადობრივი დანაშაულებების ფაქტებზე ყველა სფეროში. დღეს თქვენ რომ აიღოთ ნებისმიერი სფერო: ეს იქნება წინასწარი დაკავების საკნები, ეს იქნება საპატიმრო ადგილები, ეს იქნება პატიმრობის გამოყენების სტანდარტები, რაოდენობა, ჰუმანურობა, ლიბერალური კანონები, მართლმსაჯულების კუთხით ცვლილებები, წინასწარი პატიმრობის გამოყენების თვალსაზრისით, წამების კუთხით, არც ერთი ფაქტი არც გვქონია წამების, არც ერთი ფაქტი, როცა ადრე ყოველდღე გვქონდა წამების მაგალითი. კანონმდებლობის კუთხით, შემიძლია გითხრათ, ბევრად უკეთესი მდგომარეობაა აქაც: დაწყებული დაცვის კუთხის გაძლიერებიდან, დამთავრებული ლიბერალური ჰუმანური მიდგომით სასჯელის შემსუბუქებით. რაც შეეხება, სოციალური კუთხით, რომელიც ასევე არის უფლებრივი სფერო, საქართველოს რა ნიშნებიც ჰქონდა, ყველა პარამეტრში, ეს არის ეკონომიკური პარამეტრები, სოციალური პარამეტრები, თავისუფლების ხარისხი, ანგარიშვალდებულება, გამჭირვალობა და ასე შემდეგ. ყველა პარამეტრში საქართველოს ამ ოთხის წლის განმავლობაში აქვს პროგრესი.

მე არ ვამბობ, რომ დღეს ხალხს არ შია და დღეს ხალხს პრობლემა არა აქვს. არის თუ არა საკმარისი ის, რომ ჩვენ გავაორმაგეთ სოციალური დახმარების ყველა პაკეტი, ყველა: მე ვგულისხმობ სოციალურ დახმარებებს, ვგულისხმობ, დევნილთა შემწეობებს, ვგულისხმობ, შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, ვგულისხმობ სოციალური ხმარდაჭერის პაკეტებს, ჯანდაცვის კუთხით, სკოლაში ბავშვებისთვის, დიდებისთვის... ყველა სფეროს შევეხეთ, ყველაფერი გაორმაგდა, მაგრამ ეს არის თუ არა საკმარისი, თუ ასე დავსვამთ კითხვას, გულწრფელად გიპასუხებთ, რომ არ არის საკმარისი. არის თუ არა მზარდი ტენდენცია, შეიცვალა თუ არა ვითარება უარესობიდან უკეთესობისკენ - კი, ყველაფერში შეიცვალა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არ არის საკმარისი.

ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, რასაც მივაღწიეთ ეს საკმარისი არის თუ არა, ვთანხმდებით ყველანი, რომ არ არის საკმარისი და საჭიროა ყველა მიმართულებით სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა. თუ ვლაპარაკობთ უფლებრივი კუთხით ჩვენი მოქალაქეებისთვის რა შეიცვალა, შეიცავალა ის, რომ დღეს თუ ვინმეს ბიზნესის კეთება უნდა, არავინ წილში არ უჯდება, არავინ არ ატერორებს, არავინ უვარდება ოჯახებში, რეკეტი არ არის და არ არის სამთავრობო ორგანიზებული დაჯგუფება. თუ ვამბობთ, რა შეიცვალა ადამიანისთვის, რომელსაც თავისუფლებას უზღუდავენ, დიახ, აქ მართლაც შედარებაც რომ არ შეიძლება, ისეთი პროგრესი გვაქვს.

ჩვენ ყველა მიმართულებით დავიწყეთ უსერიოზულეს და უმძიმეს თემებთან შეჭიდება და როგორი განცდა მაქვს, იცით? ერთი სახლია, ჰო, ქვეყანა, ჩვენი სამშობლო არის ერთი სახლი, ამ სახლის აშენება, მახსოვს სააკაშვილის პერიოდიდან და თქვენ ჩემზე უკეთესად გახსოვთ, სულ სახურავიდან იწყებოდა, ფასადების ჩვენება ხდებოდა და ფასადის შიგნით კი არაფერი იყო. ჩვენ მშენებლობა დავიწყეთ საძირკვლიდან...

# დამოუკიდებლობის ტრაგედია

## ქართველი ოკუპანტები საქართველოს წინააღმდეგ

**დასაწყისი „სგ“ #19-20**

ვაგრძელებთ წერილების ციკლს, თუ როგორ აჩანაგებდნენ ქვეყანას ხელისუფლებაში მოსული პერსონები და მათი მრავალრიცხოვანი გუნდი. ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები ამ მხრივაც გამორჩეულები იყვნენ, ფინანსურ მაქინაციებს რომ თავი დავანებოთ, საკანონმდებლო დონეზე ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დაესუსტებინათ, საგამოძიებო, სამართალდამცავი და უშიშროების სტრუქტურები. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძის განცხადებით, იმ პერიოდში, როცა მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ სს-ის საპრო-



ცესო კოდექსში სპეციალურად შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც მოკვლევის პროცედურის ვადა, რომელსაც ოპერატიული სამსახურები აწარმოებდნენ ხუთ საათამდე შემცირდა.

**დავით გაგნიძე**: „ეკონომიკურ დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულად იყო, რადგან ჩხრეკის და სხვა სათანადო პროცედურების გარდა, დამატებით უამრავი დოკუმენტაციაც უნდა გადაგვემოწმებინა, რასაც იურიდიულად გაფორმებაც უნდოდა. მაშინ არ იყო ერთიანი კომპიუტერული სისტემა, ყველა ოქმი ცალცალკე დგებოდა. გარდა ამისა, უნდა მოგეწვია ექიმი, რომ მომხდარიყო წარდგენილი პირის სამედიცინო შემოწმება, მისთვის უნდა გაგეცნო საკუთარი უფლებები, მოგეწვია ადვოკატი, იქნებოდა ეს სახაზინო თუ პირის სურვილით აყვანილი. როდესაც ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, შევიმუშავეთ შესაბამისი ოქმების ფორმები, რომელიც იბეჭდებოდა და მრავლდებოდა, რომ ზედმეტი დრო აღარ დაგვეკარგა. ერთი სიტყვით, უმცირესი დეტალიც არ უნდა დაგვერღვია, თორემ მერე დიდი „დემოკრატი“ და „უფლებადამცველი“ სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად აურზაურს ატეხავდა, კახა თარგამაძის პოლიცია ადამიანის უფლებებს არღვევსო. ამ ყველაფრიდან აშკარად ჩანს, როგორ ებრძოდნენ ეს ე.წ. რეფორმატორები სამართალდამცავ სტრუქტურებს, რითაც ქვეყანა დესტაბილიზაციისკენ მიყავდათ, თქვენ გგონიათ, არ იცოდნენ, რომ ასეთ შეზღუდულ დროში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო სრულყოფილი მოკვლევის ჩატარება, მაგრამ შეგნებულად აკეთებდნენ, რადგან ასე აწყობდათ. მიხეილ სააკაშვილი როცა თვითონ მობრძანდა ხელისუფლების სათავეში, რადიკალურად შეცვალა სს-ის საპროცესო კანონმდებლობა და ჩოხა-ახალუხივით მორარგო თავის სამართალდამცავ სტრუქტურებს. არათუ მოქმედი, არამედ ყოფილი სამართალდამცავიც (მასაც შეუძლიათ კოლეგიალობაში დასდონ ბრალი) არ შეიძლება კონკრეტულ საქმეში მოწმედ გამოვიდეს, რადგან იგი დაინტერესებულ პირად ითვლება, სააკაშვილის კანონებით კი სამართალდაცავს მოწმის სტატუსი მიანიჭეს, უფრო მეტიც ერთი პოლიციელის ფარატინა ჩვენების საფუძველზე, ხალხს მრავალი წლით უშვებდნენ გისოსებს მიღმა. ამ კუთხით განსაკუთრებული „პრივილეგიით“ სააკაშვილის „საამაყო“ პატრული სარგებლობდა, ქუჩიდან მოკრეფილ, უცოდინარ, გამოუცდელი პატრულების პატაკის საფუძველზე, ხშირ შემთხვევაში უდანაშაულო ხალხს, ციხეში ამწყვდევდნენ. პოლიციაში კანტიკუნტად შემორჩენილი გამოცდილი პოლიციელები გაოგნებული ვიყავით ამ გაუგონარი უსამართლობის შემხედვარე, მაგრამ ჩვენი აზრი არავის აინტერესებდა. ადამიანის უფლებათა დაცვის და დემოკრატიის ლოზუნგით მოსული ხელისუფლება, თვითონ თელავდა ფეხქვეშ პიროვნების უფლებას და თავისუფლებას. მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში საუკეთესო ქართული ოპერატიული სკოლა, ნაციონალებმა მიწასთან გაასწორეს. მუდმივად ადამიანის უფლებების დაცვაზე მოტლიკინე სააკაშვილი, როგორც ჩანს პოლიციის ძველ კადრებს ადამიანებად არ გვთვლიდა, რადგან ისე წავიდა თანამდებობიდან, რომ შსს-ს თითქმის მთელ შემადგენლობას 2003 წლის ნოემბრის ხელფასი მიღებული არ ჰქონდა. რამდენი ჯალათი და მათი თანამზრახველია საქართველოში ვინ მოთვლის, ისინი ყველგან იყვნენ და ვფიქრობ, დღესაც არიან, თანამდებობრივი იერარქია იქნება თუ ბიზნესი. ამ სიონობოლშევიკური სისტემის შვილებს, საქართველოს ღალატის იდეა აერთიანებთ, ეს არის უმთავრესად გაუნათლებელი, ყველაფრის მკადრებელი ადამიანების კასტა, რომელთაც უპრეცედენტო ზიზღი აქვთ საკუთარი ერის მიმართ. ახლაც წაგებულ „ომში“ იმედი აქვთ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან და საბოლოოდ დაასამარებენ ქვეყანას. ნაცმოძრაობას და მათთან დაახლოებულ გარკვეულ წრეს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფება, მყარად ჩამოყალიბებული პირთა ჯგუფი, რომელიც დანაშაულობების ჩადენის მიზნით, სხვა ქვეყნის ზეგავლენითაა ჩამოყალიბებული და მხარდაჭერილი. ამგვარ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს გააჩნიათ წინასწარგანზრახული გეგმა, როგორ განახორციელონ კრიმინალური მიზნები, წარმატების შემთხვევაში მათი საბოლოო მიზანი ხელისუფლების მიტაცებაა. დაჯგუფების წევრები თავიდან ვერც გრძნობენ მათი „მოღვაწეობა“ დაჯგუფების ფარგლებს რომ სცილდება და საზოგადოებად ყალიბდება, შედეგად ეს დაჯგუფება რამდენიმე ლიდერზე ხდება დამოკიდებული, პირთა ჯგუფზეა ორიენტირებული და მნიშვნელობა აღარ აქვს რომელი რგოლი გამოაკლდება, მისი შეცვლა თავისუფლად შეიძლება. ხომ ხედავთ, რომ ნაცმოძრაობას მარტო ერთი ლიდერი, სააკაშვილი აღარ მართავს, ასე რომ არც მისი ჩამოცილებაა პრობლემა, პარტია მაინც „უკვდავი“ იქნება“





დავით გაგნიძე

რესპოდენტის განცხადებით, საქართველო, რომელიც კომუნისტების პერიოდშიც და მთელს პოსკომუნისტურ სივრცეშიც ყველაზე მდიდარი ქვეყანა იყო, „ქართველმა ოკუპანტებმა“ შეგნებულად გააღატაკეს.

**დავით გაგნიძე**: „იმ პერიოდში ღვინოში შაქრიან წყალს რომ ურევდნენ და „გადაჭარბებით“ ასრულებდნენ გეგმებს, ედუარდ შევარდნაძემ მეღვინეებს თათბირი ჩაუტარა, ფული ძალიან ნუ გაგათავხედებთო. მას ამ თათბირზე თურმე ისიც უთქვამს, ინფორმაცია მომაწოდეს, რომ ერთ-ერთმა მეღვინემ ცოლი გადამყიდველთან მიიყვანა, რომელმაც „დუბლიონკაში“ რომ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული ოფიციალური თანხა იყო. ამ ფულს სახელმწიფოუკან ვერ იღებდა, რაც დამანგრევლად მოქმედებდა ქვეყანაზე. სწორედ 80-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო საბჭოთა კავშირში ინფლაცია, რამაც ეს უზარმაზარი ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა. ფულს კი იმიტომ ვერ იღებდნენ, რომ ბიუროკრატიული ბარიერების გამო, ხალხს შემნახველ სალაროებში ფული აღარ შეჰქონდა, უცებ რომ დაგჭირებოდა მსხვილი თანხის გამოტანა, ლამის ერთი კვირა უნდა გეცადა, ახლა ამდენი ფული არ გვაქვს, დაგველოდეთ და



5.000 მანეთი მოსთხოვა, მაშინ ეს ძალზე სერიოზული თანხა იყო, ამ ფასად ავტომანქანას შეიძენდი. მეღვინემ სიძვირის მომიზეზებით ცოლს უარი უთხრა, თუმცა მერე მობრუნდა და საყვარელს უყიდა, 1000 მანეთიც დაამატა, რომ გადამყიდველს „საიდუმლო“ შეენახაო. აი, ამ სიმდიდრის პატრონები იყვნენ მეღვინეები. ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ თათბირზე შევარდნაძეს ისიც ჰქონდა ნათქვამი, მოსახლეობაში 25 მილიარდი მანეთია დალექილი, ვაჭრობა კი ამ ფულს ვერ იღებსო, ეს ის პერიოდია, როცა ერთი აშშ დოლარი 67 კაპიკი ღირდა. აი, ამ ოდენობის ფულს ფლობდა საქართველოს მოსახლეობა და მერე რა დღეში ჩააგდეს. ეს კანონიერი ფული იყო, ხალხი ყურძენს, ციტრუსს, სხვა დასახელების ხილს და ბოსტნეულს აბარებდა სახელმწიფოს, ასე მოვიგროვებთო. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში კი ენდო მოსახლეობა ბანკებს, რამაც მასობრივ გაღატაკებამდე მიიყვანა. ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში თავისი წილი პასუხისმგებლობა რომ ეგრძნო, სავალალო მდგომარეობამდე არ მივიდოდით. მოსახლეობიდან ფულის ამოღების სერიოზული საშუალება ვაჭრობაა, ანუ სავაჭრო ობიექტებში ისეთი საქონელი უნდა შეეტანათ, რომ ხალხს მისი შეძენის სურვილი გასჩენოდა. შევარდნაძის ცეკას პირველი მდივნობისას კი, მაღაზიები ან გამოცარიელებული იყო, ანდა სამამულო წარმოების ისეთი უხარისხო საქონელი იყიდებოდა, ახლოს ვერ გაეკარებოდი. თუ რაიმე ხარისხიანი იყო, ისიც უცხოური წარმოების და „დახლსქვემოდან“ იყიდებოდა. ფულის ამოღების გარკვეული წილი საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოდის,



ეს არის აბანო, საპარიკმახერო, ქიმწმენდა, სამკერვალო, დედაქალაქისა და სხვა დიდი ქალაქების გარდა, ეს სფერო ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა. ხელისუფლება ფულის ამოღების მიზნით მოსახლეობას ხომ არ დააყაჩაღებდა (კომუნისტების პერიოდში ამას „შავი სამყარო“, ე.წ. „კანონიერი ქურდები“ აკეთებდნენ), ამიტომ ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა იყო ბანკებში ბიუროკრატიული ბარიერების მოშლასთან ერთად, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მოწესრიგებაზეც ეზრუნა. შევარდნაძე გიჟს ჰგავდა, რადგან ხსენებული 25 მილიარდის 10%-იც კი ვერ ამოიღეს.

როგორც გითხარით, თუ ფულის დიდი მასა მოსახლეობაში დარჩა, ინფლაციური პროცესები დაიწყება და რატომ – სახელმწიფომ ხელფასები და პენსიები ხომ უნდა გასცეს, მით უმეტეს, კომუნისტური მმართველობისას კერძო სტრუქტურები არ არსებობდა და ხელფასებს სახელმწიფო იხდიდა. როცა დიდი ოდენობით ფულის მასა მოსახლეობაშია დარჩენილი, ანუ „დაძინებულია“, ბუნებრივად იქმნება ფულადი კუპიურების დეფიციტი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო იძულებულია ფულის ახალი კუპიურები გამოუშვას, რასაც ხალხში დარჩენილი ფულიც ემატება, კუპიურების ზედმეტობა კი ინფლაციას იწვევს. 80-იან წლებში მხოლოდ ერთ წელს შევიდა ხალხში ეს 25 მილიარდი მანეთი და 22,5 მილიარდი იქვე დარჩა, სხვა წლებშიც ხომ შედიოდა მოსახლეობაში დიდი ოდენობით ფინანსები, რომლის უდიდესი ნაწილიც ისევ ხალხში რჩებოდა, ანუ ინფლაციას სისტემატური ხასიათი მიეცა. მაშინდელმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად ჭკუა იხმარა და მოსახლეობიდან ფულის ამოღების მიზნით, კახეთის სავაჭრო ქსელში ხარისხიანი იმპორტული საქონელი შეიტანეს, მაშინ კახეთში ვმუშაობდი და თვითონ ვარ ამის შემსწრე, მაღაზიებში ისეთი საქონელი იყიდებოდა ადრე რომ არავის უნახავს, მაგრამ თანხები მაინც ვერ ამოქაჩეს. კახეთი ყურძნის მწარმოებელი მხარეა, თუ არ ვცდები, მაშინ ყოველწლიურად 600.000 ტონა ყურძენი იკრიფებოდა და ცხადია, მოსახლეობის შემოსავალიც დიდი იყო. ამ კუთხით მთავარი მაინც ანაბრები იყო, მაგრამ ბიუროკრატიული ბარიერის გამო ხალხს ფული არ შეჰქონდა შემნახველ სალაროში. დასავლეთის ქვეყნებში ესპრობლემა მაშინაც მოწესრიგებული იყო, რადგან ფულის მასა ხალხში არ ტრიალებს, ყველა საკრედიტო ბარათით სარგებლობს, იმიტომაც არის ეს ქვეყნები ინფლაციისგან მეტნაკლებად დაცული. 50-იანი წლების დასაწყისში სტალინმა მეცნიერ-ეკონომისტებთან შეხვედრისას ასეთი რამ თქვა, სოციალიზმს არ აქვს იმის საშუალება, რომ ხელფასები გაზარდოს, სამაგიეროდ შეუძლია ფასები შეამციროს, რაც



საბოლოო ჯამში ხალხისთვის ერთი და იგივეაო. ეს კაცი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მოსახლეობაში ზედმეტი ფული არ დარჩენილიყო, რაც ინფლაციურ პროცესებს გამოიწვევდა“.

დავით გაგნიძის ეს ინტერვიუ, რომლის ამონარიდებსაც ახლა გთავაზობთ, იმ პერიოდში გამოქვეყნდა, სანამ ქვეყანას ლარის ინფლაცია წალეკავდა. რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში უკვე მიმდინარეობდა ფარული ინფლაციური პროცესები, რასაც თუ ჭკვიანური პოლიტიკა არ გატარდებოდა, მძიმე შედეგი მოყვებოდა. სამწუხაროდ პროფესიონალი პოლიციელის (პროფესიით ეკონომისტის) პროგნოზი გამართლდა. რა არგუმენტებზე დაყრდნობით გააკეთა ეს პროგნოზი მას მოვუსმინოთ.

**დავით გაგნიძე:** „დღეს ბაზარსა თუ მაღაზიებში ხურდა ძალიან ჭირს, ბრუნვაში სულ ახალი კუპიურებია, თანაც ათლარიანები და ზემოთ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ინფლაციური პროცესები მიმდინარეობს. ძალიან გთხოვთ, ეს აუცილებლად დაწეროთ, თითოეულ კუპიურას, მნიშვნელობა არ აქვს, 100-იანი იქნება, 200-ლარიანი თუ სხვა, თავისი დახურდავების კუპიურა უნდა მოყვეს, რომ ხალხმა ადვილად დაახურდაოს. როცა ხურდა მარტო ბაზარსა და მაღაზიებში კი არა, უკვე ბანკებშიც ჭირს, ეს ნიშნავს, რომ მაღალმაჩვენებლიანი დამატებითი კუპიურები გამოდის, რომლებსაც დამხურდავებელი არ მოყვება, ე.ი. ქვეყანაში ინფლაციური პროცესია, რომელიც პირდაპირ არ ჩანს, ანუ ფარული ინფლაციური პროცესები მიმდინარეობს. ქვეყანაში ემისია ყოველთვის ტარდება, რათა მოსახლეობაში მღელვარება არ გამოიწვიოს, საჯარო მოხელეთა ხელფასები, პენსიები და დახმარებები ხომ უნდა გასცენ, სახელმწიფოს ძირითადად ეს თანხები აქვს გასაცემი. მაგალითისთვის პურს ავიღებ, ერთი ცალი პური 70, მაქსიმუმ 75 თეთრი უნდა ღირდეს, თუ მეტი ეღირება, ძალაუნებურად ინფლაციური პროცესები წავა და შეიძლება 80-90 თეთრზე მეტიც ღირდეს. საბჭოთა კავშირი იმიტომ დაინგრა, რომ 80-იანი წლების ბოლოს ყველა უბედურებასთან ერთად, ფასებიც აღარ რეგულირდებოდა. საქართველოში უფრო შორს წავიდნენ, ჯერ პრივატიზაციის პროცესი არ იყო ჩატარებული, რომ ფასები გაათავისუფლეს. პრივატიზაცია მანამდე რომ ჩატარებულიყო, მოსახლეობისგან ფულს მასიურად ამოიღებდნენ და ის თავის მსყიდველობით უნარს შეინარჩუნებდა. კომუნისტების დროს პური 30 კაპიკი ღირდა, მერე ფასი ლამის გაათმაგდა, ვინც მეტს გადაიხდიდა, პურსაც იმას მისცემდნენ, გაიხსენეთ რიგები მაღაზიებთან და პურის ქარხნებთან, სწორედ ამ დროს დაიწყო ინფლაცია. კომუნისტების დროს „ჟიგული“ (ვაზ-2101) 5500 მანეთი ღირდა, 1992 წელს კი კაცმა ჩემს თვალწინ სამ დაკლულ ქათამში 7500 რუბლი გადაიხადა. ახლაც იგივე ხდება, თუ 3-4 წლის წინ ოთხსულიან ოჯახს დღეში ათი ლარი ყოფნიდა, დღეს ეს თანხა ერთ სადილს არ ეყოფა, ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ეს სააკაშვილის ხელისუფლების დამსახურება იყო, უბრალოდ ინფლაციურ პროცესებზე ვამახვილებ ყურადღებას. ამას ჰქვია ჩუმი, ფარული ემისია, დამატებითი კუპიურების გამოშვება, რაც ანგრევს ქვეყანას.

რაც შეეხება იმ საკითხს, დღესაც თუ არის დალექილი მოსახლეობაში ფულის დიდი მასა, რა თქმა უნდა არის, ოღონდ ცალკეული პიროვნებების, ვიწრო წრის ხელშია. უბედურება ის არის, რომ ეს ზედმეტად გამო-



სული კუპიურების დიდი წილი ისევ ამ წრის, იმ ხალხის ხელში იყრის თავს, რომელმაც თავის დროზე უკანონოდ დააგროვა ქონება, ეს ანგრევს ქვეყანას. მათ რომ ქველმოქმედება გასწიონ, ასე კი არ მოხდება. შევარდნაძის მმართველობისას, ოპერატიული ინფორმაცია მივიღეთ, რომ ამერიკელებმა მას შესთავაზეს 300 პიროვნება ექციათ მსხვილ ბიზნესმენად, ძირითადად, მათ ხელში მოექციათ საქართველოში არსებული ფულადი მასა, მერე ეს ხალხი ქველმოქმედებას გასწევს, ეკონომიკას განავითარებს და მოსახლეობას ფეხზე დააყენებსო. შევარდნაძემ დაუჯერა ამერიკელებს, მისცა ამ ხალხს არსებული ქონება პრივატიზაციის ეგიდით, ბანკებისა და სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების სახით, მაგრამ მათ ყველაფერი სახლში წაიღეს. იმ ხალხის გაწეული ქველმოქმედებ თუ გინახავთ, რომელთაც შევარდნაძემ ხალხის კუთვნილი ქონება უბოძა და მათი ანაბრებიც ზედ დაურთო, ვგულისხმობ ვანო ჩხარტიშვილს, ზაზა სიორიძეს, მამუკა ხაზარაძეს, მის მძახალ ახვლედიანებს და სხვებსაც, რომელთა გვარებიც ახლა არ მახსენდება, ან თვითონ ედუარდ შევარდნაძის ქველმოქმედებაზე გსმენიათ? ტელევიზიით აჩვენეს, პრეზიდენტ შევარდნაძესთან ქალი მივიდა, პურის ფული არ მაქვს და დამეხმარეთო, ამან კიდევ, არც მე მაქვს და როგორ დაგეხმაროო. შევარდნაძეს თუ არ ჰქონდა, აბა ვის ჰქონდა? ყველაფერი სახლში წაიღეს და ახლა კაცი არ არის პასუხის მომთხოვნი, ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე რომ გახდნენ მილიარდერები თუ არა, მილიონერები მაინც. გაიხსენეთ უშუქობის პერიოდი, ხალხს მასობრივი ფსიქოზი და დეპრესია რომ დამართეს, ეს ყველაფერი ხომ ხელოვნურად ხდებოდა? ქართული ჰესებისა და თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას თურქეთში გაცილებით იაფად ყიდდნენ, საქართველოს მოსახლეობას კი წყვდიადში ამყოფებდნენ, თურქეთიდან მყარი ვალუ-

ტა შემოდის, ჩვენი მოსახლეობისგან კი დენის ღირებულებას ვერ ვიღებთო, გამრიცხველიანების არ ქონას იმიზეზებდნენ. ამერიკული კომპანია შემოიყვანეს და დედაქალაქი მთლიანად გაამრიცხველიანეს, მაგრამ ხალხს დენს მაინც არ აძლევდნენ, თურმე წყალსაცავებიდან წყალს ღვრიდნენ, რომ მოსახლეობა წყვდიდში ემყოფებინათ. კაცი არ არის იმის დამთვლელი რამდენი ჰესია საქართველოში და მათგან რამდენი მუშაობს. ვიღაცეებს მუქთად რომ გადასცეს ელექტროსადგურები, მილიონობით ინვესტიცია უნდა შემოიტანონო, ვინმემ რაიმე გააკეთა? ამდენი ჰესი იყო, დამატებით კიდევ შენდებაო, ამას დაუმატეთ გარდაბნის თბოელექტროსადგური და თურმე დენი კიდევ არ გვყოფნის. საქართველოში მეტროსა და რკინიგზის მეტი თითქმის არაფერი მუშაობს და სად მიდის დანარჩენი ელექტროენერგია? „ანტირუსმა“ სააკაშვილმა ენგურჰესი ხონჩით მიართვა რუსებს, რომელიც აფხაზეთის გარდა კრასნოდარის მხარესაც ამარაგებს ელექტროენერგიით. მესმის, რომ ჩვენი ჰესები სეზონურია, ზამთარში წყლის მარაგი კლებულობს, მაგრამ ეს არ ამართლებდა ელექტრო „მამებს“, თავისუფლად შეეძლოთ ზაფხულში თვითონ მიეწოდებინათ თუნდაც რუსეთისთვის ელექტროენერგია, ზამთრის პერიოდში კი იქიდან მიეღოთ, მაგრამ ამას არ აკეთებდნენ, რადგან ხალხი მათთვის არაფერს ნიშნავდა. ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ ფაქტობრივად დღესაც ის ხალხი განკარგავს საქართველოს ენერგორესურსებს და სამომხმარებლო ტარიფებს თავიანთი ხუშტურების მიხედვით ადგენს.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რუსეთის მეფის შთამომავალი საქართველოს მართლმადიდებლურ ცენტრად გამოცხადებას ითხოვს



***გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის ხელმძღვანელი, ბატონი ბესო მიქავა.***

**— ბატონო ბესო, ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის სამეფო კარის რიურიკების შთამომავალი. რა კავშირები გაქვთ მასთან?**

— გიორგი რომანოვი მას შემდეგ დამიკავშირდა, რაც ინტერნეტში ჩემს მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსანი წმინდა გიორგის ხატი ნახეს. ხატზე გამოსახულია, როგორ გმირავს წმინდა გიორგი არა დრაკონს, არამედ მელას, მზაკვრობის სიმბოლოს.

დღეს ჩვენი მტერი არის არა დრაკონი, ანუ უხეში ძალა, რომელიც, ისედაც ცხადია, რომ ბოროტებაა, არამედ მზაკვრული, ფარისევლური სახით მოსული ძალა. მელა არის მზაკვრობის სიმბოლო, რომელიც მოდის დემოკრატიის სახელით და სიყვარულით.

საფრთხე და საშიშროება ჩვენს წინაღმდეგ, რუსეთის წინააღმდეგ და, საერთოდ, კაცობრიობის წინააღმდეგ მოდის, ვითომდა, სიყვარულის სახელით.

როგორც, მაგალითად, მამათმავლები, რომლებიც ამბობენ, რომ ერთმანეთის სიყვარულით არიან სვსე, სინამდვილეში, მათი მისწრაფებები არის ბოროტება, ეს არ არის სიყვარული და არც შეიძლება იყოს.

**— ისინი ამბობენ: თქვენ არ იცით, ვერ გრძნობთ, არადა, ეს სიყვარულიაო.**

— ეს არის ღვთის გმობა.

**— რატომ, ღმერთი ხომ სიყვარულს ქადაგებს? მას არასდროს დაუყვია კლასიფიკაციებად სიყვარული.**

— ღმერთმა როცა შექმნა სამყარო ერთ დღეს, მეორე დღეს და ა.შ. ბიბლიაში მითითებულია, რომ მოეწონა. ე. ი. გრძნობიერ საწყისებზეა ყველაფერი აგებული და დაფუძნებული. გრძნობა, რომელიც სიკეთის ნაყოფს, ანუ მომავალს არ იძლევა, არის ფუჭი. ასე რომ არ იყოს, ღმერთი ადამს ქალს კი არ შეუქმნიდა, არამედ მეორე ადამს შექმნიდა. სამყაროში კი ისეთი არსებებიც არიან, რომლებიც თვითგამრავლებით გამოირჩევიან. ადამიანსაც ასე გააჩენდა, ქალისა და მამაკაცისგან ნაშობი მომავალი თაობა რომ არ ნდომოდა ღმერთს. კაცისა და კაცის, ან ქალისა და ქალის ურთიერთობას სიყვარული ვერ დაერქმევა. ეს არის არაფრისმომცემი ურთიერთობა და სიბილწე.

**— ხატზე გამოსახულ მელას მივუბრუნდეთ.**

— უკეთ რომ აგიხსნათ, გეტყვით, რომ რუსულ „მამაო ჩვენოში“ წერია «спаси нас от лукавого» — გვიხსენ ჩვენ არა ბოროტისაგან, არამედ მზაკვარისაგან. მზაკვარი არსით მეტია, ამიტომ მზაკვარზეა მეტი ყურადღება გამახვილებული.

ეს ხატი რომ შევქმენი და ინტერნეტით გავავრცელე, რუსულად და ინგლისურად ახსნაც დავურთე.

იმ ხანებში დამიკავშირდა რუსი ხატმწერი **სვეტლანა როგალი**, რომელმაც ბრმამ დაიწყო ხატწერა და თვალი შემდეგ აეხილა. მან მთხოვა, მიმეცა ნება ამ ხატის ასლი დაეხატა.

ვისაუბრეთ ინტერნეტით. მერე კიდევ სხვა ჯგუფიც დამიკავშირდა. ასე მოვიდა ჩემამდე **გიორგი რომანოვი**. გადავწყვიტეთ შეხვედრა. მე დავპატიჟე ისინი საქართველოში. ჩამოსვლა დაგეგმეს, მაგრამ მანამდე წერილი გამოაგზავნეს პატრიარქის სახელზე. ძლივძლივობით გადავეცი ეს წერილი პატრიარქს და როგორც იქნა, შედგა შეხვედრა რუს სტუმრებსა და პატრიარქს შორის პატრიარქის აღსაყდრების დღეს. გიორგი რომანოვი გამოვიდა სიტყვით და ილაპარაკა არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, არამედ საქართველოს როლზე საქრისტიანო სამყაროში. მან გადმოგვცა წერილი, სადაც აღნიშნული იყო რუსეთის იმპერიის ბოდიში იმ ქმედებებზე, რაც რუსეთმა ჩაიდინა ჩვენს მიმართ.

შემდეგ ჩამოსვლაზე მან შემოგვთავაზა, საქართველო გამხდარიყო მართლმადიდებლობის ცენტრი მსოფლიოში და არა იერუსალიმი, რადგან, ბოლო ჟამს, როგორც წინასწარმეტყველებიც ამბობენ, იერუსალიმი დაკარგავს იმ მადლს, რაც მას ჰქონდა, პირიქით, ის სიბინძურის ბუდე გახდებაო. ცნობილია, რომ ბოროტი იმ ადგილებს და იმ სიწმინდეებს ებრძვის და ბილწავს, სადაც მაცხოვარს გაუვლია.

მოკლედ, რუსეთის დელეგაციამ გიორგი რომანოვის ხელმძღვანელობით აღიარა, რომ თუ არ გადარჩება საქართველო, ვერ გადარჩება რუსეთიც.

**გიორგი რომანოვი** მცხეთაში წავიყვანე **მამა გაბრიელის** საფლავთან და იქ მრავალი ისეთი სასწაული მოხდა, არავინ რომ არ ელოდა.

**— კერძოდ?!**

— ისეთ ქალბატონს შევხვდით, რომლისთვისაც მამა გაბრიელს სიცოცხლეში უთქვამს — შენ შეხვდები ადამიანს, რომელიც რუსეთის მეფის შთამომავალი იქნებაო და ა.შ. არ ვილაპარაკებ ახლა სხვა ღვთიურ მინიშნებებზე.

**— ზემოთ თქვით, მართლმადიდებლობის ცენტრად აღიარება მოინდომა რუსმა სტუმარმაო. საქართველოში ოფიციალურ რელიგიად მართლმადიდებლობა ჯერ გამოცხდებული არაა.**

— მთელი მზაკვრობა სწორედ მაგაშია. ვინც მართლმადიდებლობის გამოცხადებას ოფიციალურ რელიგიად ითხოვს, ის არის უვიცი.

IV ს-ში მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ საქართველო მართლმადიდებლურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და ეს „ბრძანება“ არავის შეუცვლია.

მართალია, რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, ის დღემდე იმკის ამ ცოდვის შედეგებს, თუმცა რუსეთში იყო ნეტარი დედა მატრონას და სხვა წმინდანთა გამოცხადებები იმის გამო, რომ მათ ივერიას, დედაღვთისას წილხვედრს, გააუქმეს ავტოკეფალია...

მკითხველს კარგად ეხსომება, შემდეგ, 1943 წელს რუსეთის პატრიარქის ხელახალი კურთხევა მცხეთაში, საქართველოში, როგორც ავტოკეფალურ ეკლესიაში, რადგან საქართველოს პატრიარქმა კირიონმა 1917 წელს საქართველოს ეკლესია დამოუკიდებლად გამოაცხადა.

თავის მიმართვაში, რომელიც გიორგი რომანოვმა პატრიარქს მიართვა, წერია ისიც, რომ საქართველოს, რადგან ღვთისმშობლის ქვეყანაა, უნდა დაუბრუნდეს ყველა ის ტერიტორია, რაც რუსეთმა წაართვა: ეს ნიშნავს, ღვთისმშობელს რაიმე წაართვაო, — თქვა გიორგი რომანოვმა. მან, ასევე, იმედი გამოთქვა, როცა იქნება, საქართველო მართლმადიდებლობის ცენტრი გახდება და ეს დიდ შვებას მისცემს სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებსაცო. ღმერთმა ისმინოს!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



### ჟენევის დისკუსიებზე ძირითადი ყურადღება გიგა ოთხოზორიას მკვლელობას დაეთმობა – დავით დონდუა

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუას განცხადებით, ჟენევის დისკუსიების 36 რაუნდში ძირითადი ყურადღება გიგა ოთხოზორიას მკვლელობასა და ხელოვნური ბარიერების შექმნის საკითხებს დაეთმობა.**

**ამის შესახებ დონდუამ ჟურნალისტებს განუცხადა.**

**„ამ კონკრეტულ რაუნდზე, ბუნებრივია, ძირითადი ყურადღება დაეთმობა ხურჩაში მომხდარ მკვლელობას და ქართული მხარე გამოხატავს თავის შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ, ჩვენი ინფორმაციით, არაფერი არ მიმდინარეობს დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან იმისათვის, რომ ბრალდებული იქნას დაკავებული. დღის წესრიგში დადგება ასევე საოკუპაციო ხაზზე ხელოვნური ბარიერების შექმნის საკითხი“, - განაცხადა დონდუამ.**

### თეა წულუკიანმა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გააშიშვლა – ზაქარია ქუცნაშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, იუსტიციის მინისტრმა წარმოაჩინა, თუ როგორი პერიოდულობით იხილავდა საკონსტიტუციო სასამართლო ე.წ მგრძნობიარე საქმეებს.**

**ამის შესახებ ქუცნაშვილმა ჟურნალისტებთან თეა წულუკიანის მიერ 13 ივნისს გაკეთებული განცხადების კომენტირებისას განაცხადა.**

**მისი თქმით, რიგით მოქალაქეებს წლობით უწევთ ლოდინი საკუთარი სარჩელების განხილვაზე, მაშინ, როდესაც იგივე რუსთავი 2-ის სარჩელები საკონსტიტუციო სასამართლოში ერთი კვირის ვადაში განიხილება.**

### ბიძინა ივანიშვილი – „ტაბულას“: თქვენ ციხეების ინდუსტრიის დაბრუნება გინდათ

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ტელეკომპანია „ტაბულა“ ვერ მოესწრება „ქართული ოცნების“ წასვლას და ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას.**

**ამის შესახებ ივანიშვილმა ტექნოპარკში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე „ტაბულას“ ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.**

**ჟურნალისტმა ივანიშვილს ამერიკელი კონგრესმენის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირება სთხოვა, რომელმაც ივანიშვილის ანგარიშების დაყადაღება მოითხოვა.**

**„თქვენ და კილაძეს გინდათ, რომ ციხეების ინდუსტრია დაბრუნდეს. ტყუილად გაქვთ იმედი. ვერ მოესწრებით ჩვენს წასვლას და ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას“, - განაცხადა ივანიშვილმა.**

# SOS! თსუ-ში „ხუბუას ეპოქა" ბრუნდება!

## ახლა სახლში ჯდომის დრო არაა! – რატომ ითხოვს თსუ-ს პროფესორი უნივერსიტეტში საზოგადოებრივი კოლეგიის შექმნას?

**განათლების მინისტრისა და რექტორის შეცვლის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვნებები არ ცხრება. „აუდიტორია „115" განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს უმაღლესი განათლების კანონში განსახორციელებელი ცვლილებებისა და რეფორმის დაჩქარებას თხოვს, ვინაიდან საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის დასრულებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. თსუ პროფესორების ნაწილი სტუდენტების მოთხოვნებს ეთანხმება და მიიჩნევს, რომ კანონში ცვლილებების შეტანისა და უმაღლესი განათლების სისტემის ძირეული რეფორმირების გარეშე განხორციელებული საკადრო ცვლილებები შედეგის მომტანი ვერ იქნება. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე და მათ მოსალოდნელ შედეგებზე „საერთო გაზეთს" ერთ-ერთი პროფესორი ესაუბრა, რომელმაც გარკვეული მოსაზრებების გამო, გაზეთში ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.**

– როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოდროინდელ საკადრო ცვლილებებს სასურველი შედეგი არ მოუტანია და ვერც მოიტანდა, რადგან პრობლემის გადაჭრას მეორეხარისხოვანი საკითხების მოგვარებით ვცდილობთ. პირველი რიგის ამოცანაა, სახლებიდან გამოვიდნენ და უნივერსიტეტში მობრძანდნენ მაღალი კომპეტენციის მქონე, ღირსეული ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებასთან საუბრის და საზოგადოებრივი აზრის შექმნის მოქალაქეობრივი უფლება აქვთ. სწორედ ასეთი ადამიანებისგან უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი კოლეგია, რომელიც უმაღლესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტს შეიმუშავებს და რეფორმაზე იმუშავებს. ყველასთან ბოდიში, მაგრამ ეს საკითხები მხოლოდ „აუდიტორია115" და თვითმმართველობის გადასაწყვეტი არ არის. ცვლილებები პეტრეს, პავლეს და ივანეს ინტერესებზე კი არა, კვალიფიციური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომლის უკან თანამედროვე, საერთაშორისო, საბაზრო მოთხოვნის შესაბამისი ცოდნა იქნება.

**– ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარისხიან ცოდნას ვერ გასცემს?**

–მე გავეცანი 2013 წლის კვლევას, რომელშიც ასახულია, როგორ აფინანსებენ ევროპული ქვეყნები სახელმწიფო უნივერსიტეტებს. მაგალითად, ბრიტანეთის ან გერმანიის სახელმწიფოში, სადაც ბლოკ-გრანტებისა და მუხლობრივი დაფინანსების სისტემა მოქმედებს, მთლიანი შიგა პროდუქტიდან 65% განათლებაში მიდის. ჩვენთან ეს ციფრი 1%-მდეც კი ვერ ავიდა. ის ქვეყნები ფაქტობრივად, ევოლუციის გზით განვითარდა, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსთა სამინისტროს და მთავრობის ეკონომიკური გუნდს წარუდგენს კარგად დასაბუთებულ მოთხოვნას მაგალითად, 3 მილიარდ ევროზე. მთავრობის ეკონომიკური გუნდი მოთხოვნას შეისწავლის და თანხას პირდაპირ რიცხავს. ამის შემდეგ, უნივერსიტეტის კანცლერი და მისი აპარატი სამეცნიერო საზოგადოებასთან ჩართულობით განსაზღვრავს ბიუჯეტიდან მოსული ფული სწორად როგორ გადაანაწილოს კვლევებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში (და არა ხელფასებში, მიმდინარე ხარჯებსა და წვრილმან სამეურნეო და ლოჯისტიკურ საკითხებში). მთელი რესურსი სამეცნიერო კვლევებისა და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისკენ მიემართება, რომ შემდეგ იმ კვლევებმა და პროგრამებმა უნივერსიტეტისთვის კაპიტალი მოიტანოს. აი, ასეთი უწყვეტი ჯაჭვის რეჟიმში მუშაობენ ევროპაში, საითკენაც დეკლარირების დონეზე მივდივართ, მაგრამ რეალურად ამისათვის არაფერი კეთდება.

**– 2005 წელს, ბოლონიის დეკლარაციაზე ხელისმოწერით, საქართველო უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი გახდა. ეს არაფერს ნიშნავს?**

– ბოლონიის პროცესის მიზანი ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთიანი, მინიმალური კვალიფიკაციის სტანდარტის შექმნა იყო. მინიმალური სტანდარტის პირობებში შესაძლებელია ევროპულ განათლებასთან ადაპტაცია და საჭიროების მიხედვით, კვალიფიკაციის ამაღლება. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ მინიმალური კვალიფიკაციის სტანდარტებსაც ვერ ვაკმაყოფილებთ და გლობალური საგანმანათლებლო პოლიტიკიდან ამოვარდნილი ვართ. ჩვენ არც ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში ვჯდებით, არც რუსულში და არც სამხრეთ კავკასიურში. მეტიც, პლანეტის მასშტაბით, არ არსებობს განათლების მოდელი, რომელშიც ჩვენ მოვიზრებით. სომხეთის და აზერბაიჯანის განათლების სისტემა გაცილებით მოწესრიგებულია, რადგან ყველაფერს თავისი სახელი ქვია და ყველა თავის საქმეს აკეთებს. ბაქოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს დასაქმების მეტი შანსი აქვს, ვიდრე ჩვენსას. დიახ, ჩვენ მივუერთდით ბოლონიის პროცესის საკვალიფიკაციო ჩარჩოს, მაგრამ რომელი ჩვენი ბაკალავრი ან მაგისტრი შეძლებს გერმანულ, ბრიტანულ ან თუნდაც ამერიკულ ბაზარზე სპეციალისტის ადგილის მოპოვებას? ვერც ერთი, რადგან იურიდიულად, საბუთების შეტანის უფლებაც არ ექნება.საერთოდ, რომელ ბოლონიაზე ვსაუბრობთ, როცა მათემატიკის საატესტატო გამოცდაზე 5000 მოსწავლე გვეჭრება? მოსწავლეები ელემენტალურ ტესტებს ვერ ხსნიან ანუ მოდის თაობა, რომელიც ლოგიკისგან და აზროვნებისგან შორსაა და ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის მიღებასაც ვერ ახერხებს. ჩვენი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არის უწყება, სადაც კადრები ცოდნით, კვალიფიკაციითა და გამოცდილებით კი არა, ნეპოტისტური გათვლებით და დროშების ტრიალით ინიშნებიან. კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო რომ ნახოთ, გაოცდებით, როგორ შეიძლება ამ დოკუმენტზე ხელმომწერი განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკას ქმნიდეს. ასეთი დამოკიდებულება თუ არ დასრულდა, ჩვენ საბოლოოდ გავხდებით და ისედაც ვართ მომსახურე ერი და ის ევროპული ქვეყნები, საითკენაც ვითომ მივდივართ, გვეტყვიან, თქვენ ვინ მოგცათ განათლების უფლება, ეს არ არის თქვენი საქმეო. აი, აქეთ მიჰყავთ ყველაფერი ჩინოვნიკებს, რომლებსაც მხოლოდ მაღალი ხელფასები, პირადი კეთილდღეობა და უცხოეთში გადაფრენა-გადმოფრენა აინტერესებთ.

განათლება სწორედ ის დარგია, რომელიც ამ ინდუსტრიაში ჩართულ პერსონალს ერთი საათით შესვენებასაც კი არ აპატიებს. ერთი საათი კი არა, ჩვენ ყველაფრიდან ამოვარდნილები ვართ და არც არაფერი გვეშველება, სანამ უდიდეს ყურადღებას არ დავუთმობთ იმას თუ რას, რა პროგრამით და რა სახელმძღვანელოთი ვასწავლით. ბაკალავრის დიპლომი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესატყვისი უნდა იყოს და არა იმის, რომ თუ მთლად უვიცი არ არის, მიეცი დიპლომი და გაუშვიო. სამწუხაროდ, დღეს უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი საკითხი აწუხებთ– როგორმე შეინარჩუნონ ეს მოცემულობა და მიიღონ მისგან გამომდინარე დივიდენდები. საბედნიეროდ, ყველას არ ეხება, მაგრამ პროფესორთა უმეტესობა ასე აზროვნებს: მოდი, თავს არ ავიტკივებ, წავუკითხავ ამ სულელურ სილაბუსს და ისწავლის თუ არ ისწავლის, მთავარია მინიმალური 58 ქულა მიიღოს და დიპლომი მისცენ. ფაქტობრივად, დღეს უნივერსიტეტი მისი დიდი დამფუძნებლების და სახელოვანი მეცნიერების სახელს ამოფარებული სასწავლებელია, რომლის მომავალი ჩემთვის ძალიან ბუნდოვანია.უმაღლესი განათლების კანონში წერია, რომ უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, სადაც სწავლება და სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობს, თუმცა ჩვენთან ამჟამად არც ერთი ხდება და არც მეორე. ლადო პაპავას წასვლამ უარესად დაამძიმა მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ბატონი ლადო ათი წლის მანძილზე დაგროვილ პრობლემებს სამ წელიწადში თავს ვერ გაართმევდა, მაგრამ ამისკენ სვლა დაიწყო და საზოგადოებას შეახსენა, რომ უნივერსიტეტი არ არის ცარიელი შენობა. პირველ კორპუსში დააბრუნა ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, ნიკო მუსხელიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ილია ვეკუა. დადგა სიმონ კლდიაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლები. დააფინანსა მთარგმნელობითი პროექტები. ის, რომ დღეს სტუდენტს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე აქვს წვდომა, მისი დამსახურებაა. პაპავას დროს, უნივერსიტეტში ცხოვრება დუღდა. იყო კონფერენციები, შემოქმედებითი, ლიტერატურული, და კულტურული ღონისძიებები. ყოველ დღე გამოფენები ეწყობოდა და ახლა საგამოფენო დარბაზი ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს. მოახლოვებული კანცლერის არჩევნები უნივერსიტეტის მომავალს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის. წარმოდგენილ კანდიდატთა შორის, უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახურის უფროსი შოთა ჭანუყვაძე-კვიტაშვილის მიერ ჯანდაცვის სამინისტროდან მოყვანილი კადრია, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არჩილ კუკულავა კი ნიკა გვარამიას უახლოესი მეგობარი. კუკულავა თუ უნივერსიტეტის კანცლერი გახდა, ჩათვალეთ, რომ რაც ხუბუას დროს ხდებოდა, იგივე და უარესი გაგრძელდება.

**ნელი თორდია**
571 35 36 88





# რისკის ზონა

## მითხარი, რითი იკვებები და გეტყვი, რამდენ ხანს იცოცხლებ

**რამაზ გახოკიძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი. არჩეულია აშშ-ს ფარმაკოგნოზიის საზოგადოების ნამდვილ წევრად (1987), თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის წევრად (1987), იტალიის გარემოს დაცვის სამეცნიერო კომიტეტის წევრად (1989), ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის წევრად (1990), საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად (1996). არჩეულია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრად, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, მრავალი დარგობრივი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრად; მინიჭებული აქვს სხვადასხვა მაღალი პრემიები – საქართველოს სახელმწიფო პრემია, მელიქიშვილის პრემია, საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია და სხვა. მას ეკუთვნის 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქიმიის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, მეცნიერების ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს პოპულარული და პუბლიცისტური სტატიები. შექმნილი აქვს 100-მდე მუსიკალური ნაწარმოები. საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ იგი შეყვანილია „XX საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა“ სიაში. კემბრიჯის ბიოგრაფიულმა საერთაშორისო ცენტრმა იგი დაასახელა საუკუნის უდიდეს მოაზროვნეთა სიაში. არის ამერიკის ღირსების ორდენის და საქართველოს ღირსების ორდენის ორგზის კავალერი. ჰყავს მეუღლე – რუსუდან გოგლიძე, სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.**

**მრავალწლიანი ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე პროფესორმა რამაზ გახოკიძემ ცოცხალი უჯრედის მართვის გზების შესწავლის საფუძვლებზე გამოავლინა ახალი თაობის რეგულატორები – ბიოენერგოაქტივატორები, რომლებიც ბიოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის უხვი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა.**



ბატონ რამაზს „საერთო გაზეთი“ ამჯერად, საკვები პროდუქტებით გამოწვეულ საფრთხეებზე ესაუბრა:

– რასაც ხშირად საკვებს ვეძახით, ბუნებასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. არადა, დღეს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ ასეთი საკვებით იკვებება. შედეგიც აშკარაა. ბევრი ადამიანი იმ დაავადებებით იღუპება, რომელთა თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია. ჩვენ კი ამ დროს, კვების პროდუქტებით, ყოველდღიურად ვიწამლავთ თავს. საყურადღებოა, რომ ადამიანი ყოველწლიურად საკვებთან ერთად 3 კილოგრამ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას – პესტიციდებს, საღებავებს, ემულგატორებს, კონსერვანტებს, გემოსა და სუნის გამაძლიერებლებს იღებს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ კანადაში ვაშლს სეზონის განმავლობაში სხვადასხვა ქიმიკატებით 70-ჯერ წამლავენ. ამის შედეგი კი ისაა, რომ მისი ჭამა არცერთ ჭიას არ შეუძლია, ჩვენ კი ვჭამთ. მარტო ბრიტანეთს თუ ავიღებთ, იქ, „ფასტ-ფუდისა“ და სხვა მაწყინარი საკვების მოხმარების შედეგად ყოველწლიურად, დაახლოებით, 40 ათასი ადამიანი კვდება. როგორც დიდი




ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და სამედიცინო დახმარების ხარისხის ნაციონალური ინსტიტუტი აღნიშნავს, სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს გულსისხლძარღვთა დაავადებები წარმოადგენს. ყოველწლიურად ამ დაავადებებისგან დაახლოებით, 150 ათასი ბრიტანელი იღუპება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აქედან, სიკვდილიანობის 40 ათასი შემთხვევის აცილება საკვების ხარისხის გაუმჯობესებითაა შესაძლებელი.

რძისა და რძის პროდუქტების თითქმის 80% ბუნებრივი კარაქის იაფ შემცვლელს – პალმის ზეთს შეიცავს, რასაც მწარმოებლებისთვის დიდი მოგება მოაქვს. აღსანიშნავია, რომ იგი ჩვენს ორგანიზმში არ იშლება და მოსახლეობის ჯანმრთელობის მორიგ გამანადგურებელს წარმოადგენს. ქოლესტერინზე ბევრად საშიშია ტრანს-ცხიმები, ანუ ჰიდროგენიზირებული ცხიმები. საწყის პროდუქტად რაფინირებულ მცენარეულ ზეთს იღებენ, რომელშიც ნიკელის კატალიზატორის თანდასწრებით წყალბადს ატარებენ. მიღებულ მასას საღებავებს, არომატიზატორებს, კონსერვანტებს უმატებენ და „დიეტური პროდუქტი“ მარგარინი მზადაა. ასეთი პროდუქტი სულაც არ არის უვნებელი. ტრანს-ცხიმები ტოქსიკურია, მათ გააჩნიათ ორგანიზმში დაგროვების უნარი. მისმა უზომო ხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს სტრესი, ათეროსკლეროზი, კიბო, სიმსუქნე, დიაბეტი, მამაკაცთა უნაყოფობა (ჰიდროგენიზირებული ცხიმები ორგანიზმში ტესტოსტერონის გამომუშავების შემცირებას იწვევს). იგი სისხლში ქოლესტერინის დონის მატებას იწვევს, რაც ინფარქტებისა და ინსულტების რისკს ზრდის. მარგარინი ანტიოქსიდანტებს – ბუტილოქსიტოლუოლს და ბუტილოქსიანიზოლს შეიცავს, რომელსაც კანცეროგენული – კიბოსწარმომქმნელი თვისება ახასიათებს. მარგარინში შემავალი ემულგატორები შლის სისხლის წითელ ბურთულებს. ყოველდღიურად 40 გრამ მარგარინს თუ მივიღებთ, ინფარქტის რისკი 50%-ით გაიზრდება, ხოლო მკერდის კიბო ქალებში 40%-ით უფრო ხშირია. მარგარინის მოყვარულ მეძუძურ დედებს რძის ხარისხი უუარესდებათ, უჩნდებათ მცირეწონიანი ბავშვები დიაბეტის გაზრდილი რისკით. ნატურალური პროდუქტისგან სუროგატის გამოსარჩევად შეიძლება შემდეგი მარტივი ხერხის გამოყენება: მარგარინი ლუმინესცენტური ნათურის მინათებით მოცისფრო ელფერს იღებს, ხოლო კარაქი – ყვითელს.

**– ბატონო რამაზ, საუბარში ახსენეთ, რომ ადამიანი საკვები პროდუქტებიდან სტეროიდულ ჰორმონებსაც იღებს. ეს რამდენად საშიშია ჯანმრთელობისთვის?**

– დიახ, სტეროიდულ ჰორმონებს ფართოდ იყენებენ საქონლის კუნთოვანი მასის გასადიდებლად და, შესაბამისად, ხორცი იაფი ჯდება. სტეროიდული ჰორმონები ჯანმრთელობისთვის ყველაზე მეტად საშიშია, რადგან




ისინი ცხოველთა ორგანიზმში არ იშლება და უძლებს დუღილსა და ხანგრძლივ შენახვას. ასე, ჰორმონები გროვდება ორგანიზმში და შემდგომ ნივთიერებათა ცვლას არღვევს. მამალი ორი-სამი კვირა იმ მარცვლით რომ ვკვებოთ რომელსაც ქალის სასქესო ჰორმონები აქვს დამატებული, ქათმად გადაიქცევა. მართალია, კვერცხს ვერ დადებს, მაგრამ ბიბილო დაუმოკლდება და ბუმბული გაუხუნდება. ასე, რომ ხორცთან და რძესთან ერთად, სამწუხაროდ, ადამიანები ჭარბ ჰორმონებს იღებენ. ამიტომ, ონკოლოგიურ დაავადებათა ზრდა გასაკვირი სულაც არ არის, ასევე სექსუალური ფუნქციების დასუსტება, ქალთა უნაყოფობა და მამაკაცთა ფემინიზაცია.

**– რამდენად უსაფრთხოა ენერგეტიკული სასმელები, რასაც ახალგაზრდობა ძალიან ეტანება მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძვირი ღირს.**

– საფრანგეთსა და დანიაში აკრძალეს ენერგეტიკული სასმელი „რედ ბული“, რასაც საქართველოში ძალიან აქტიურად მოიხმარენ. იგი კოფეინთან, ტაურინთან და ვიტამინურ კომპონენტებთან ერთად გლუკურონლაქტონს შეიცავს, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოყენებული იყო ვიეტნამში განლაგებული ჯარის მორალური და საბრძოლო სულისკვეთების სტიმულაციისათვის, რადგან იგი, სტრესულ პირობებში, როგორც ჰალუცინოგენი და დამამშვიდებელი ისე მოქმედებდა. თუმცა, ორგანიზმისთვის მისი ეფექტი იმდენად დამანგრეველი აღმოჩნდა, რომ ამ ნივთიერების გამოყენება აკრძალეს, რადგან ჯარისკაცებში, რომლებიც მას იყენებდნენ გაიზარდა თავის ტკივილის, თავის ტვინის და ღვიძლის კიბოს შემთხვევები. ენერგეტიკული სასმელი ასევე, შეიცავს სისხლის გამათხელებელ კომპონენტებს, სისხლმა ნაკლები ენერგია რომ დახარჯოს მისი გადატუმბისთვის. სასმელის მავნებლობა ბევრად იზრდება ალკოჰოლთან ერთად მიღებით. აღნიშნული სასმელი საფრანგეთში ადამიანის ნერვულ სისტემაზე მასში შემავალი ტაურინის მოქმედების გამო 12 წელია აკრძალულია. თუმცა, ფრანგი ექიმები იძულებული გახდნენ, ავსტრიაში წარმოებული საქონლის გაყიდვა დაეკანონებინათ, რადგანაც ევროკავშირის წესების თანახმად, ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული საქონლის აკრძალვა არ შეიძლება, თუ ჯანმრთელობაზე მისი მავნებლობა დამტკიცებული არ იქნა. თუმცა, საფრანგეთში მოსახლეობას აფრთხილებენ, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ამ სასმელის უზომოდ გამოყენებამ ადამიანს, განსაკუთრებით, ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებს.

**– წელან სტეროიდული ჰორმონებით გაჯერებულ ხორცზე ისაუბრეთ. კვლევებით მსგავსი პროდუქტების მავნებლობა დადასტურებულია, თუმცა ქვეყნებში მათი შეტანა და მოხმარება მაინც არ აკრძალულა. რა არის ამის მიზეზი?**

– დღემდე ღიად რჩება საკითხი რამდენად საშიშია გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტები. ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ გმ (გენეტიკურად მოდიფიცირებული) პროდუქტები უჯრედების პოტენციურ სიმსივნურ ზრდას, ტვინის, ღვიძლის მოცულობის შემცირებას, მამაკაცთა სასქესო ჯირკვლების ნაწილობრივ ატროფიას, იმუნიტეტის დასუსტებას, ცრუ ორსულობასა და სხვა ანომალიებს იწვევს, შესაბამისად, სიკვდილიანობის ზრდას. მიუხედავად ამისა, ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის მესვეურები ჯიუტად აცხადებენ, რომ გმ პროდუქტები ადამიანის ჯან-

მრთელობაზე უარყოფითად არ მოქმედებს. როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევები ადასტურებს, ეს მცდარი შეხედულებაა. მას შემდეგ, რაც დიდ ბრიტანეთში გენეტიკურად მოდიფიცირებული სოია შეიტანეს, მის მიმართ ალერგიის შემთხვევების რაოდენობა 50%-ით გაიზარდა. მოიმატა დაავადებათა საერთო რაოდენობამაც. აშშ-ში ჩატარებული კვლევების თანახმად, გმ პროდუქტების ფართოდ გამოყენება მასობრივ დაავადებათა მიზეზი გახდა. მხოლოდ გმ სოიოსგან მთელს მსოფლიოში 400-ზე მეტ კვების პროდუქტს აწარმოებენ. გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს ინგრედიენტებად იყენებენ მაიონეზების, ლუდის, სოუსების, კეტჩუპების, იოგურტების, შოკოლადებისა და სხვა პროდუქტების წარმოებაში. ასევე, ფართოდ იყენებენ ტრანსგენური სიმინდის, ლობიოს, პომიდორის, კარტოფილის, ვაშლის, ბანანისა და სხვა ხილ-ბოსტნეულის ნაწარმებს.



გენმოდიფიცირებული ორგანიზმების პირველი მსხვერპლი ტარაკნები აღმოჩდნენ. ისინი, ასეთ საკვებს ახლოსაც არ ეკარებიან, რაც შეიძლება ინდიკატორად გამოდგეს. ასევე, გენეტიკურად შეცვლილ პროდუქტებს არ ჭამენ თაგვები, სამაგიეროდ, ჩვენი კვების რაციონში ეს ყველაფერი ყოველდღიურად ხვდება.

— **განსაკუთრებით რომელი პროდუქტებია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველი?**

— გერმანიაში, რისკების შეფასების ინსტიტუტში მაღალი რისკის კვების პროდუქტთა სია შეადგინეს. პირველ ადგილზეა ჩიფსები და გაზიანი წყლები. ჩიფსები მრავალ კანცეროგენს შეიცავს. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურად რამდენიმე ქილა გაზიანი სასმელის მიღება სიცოცხლის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად ამცირებს. იგი იწვევს ძვლების დაშლას, თავის ტვინის პათოლოგიურ ცვლილებებს. მეორე ადგილზეა „ფასტ-ფუდი“, განსაკუთრებით, თუ კარტოფილის შესაწვავად ნახმარ ზეთს იყენებენ, რომელიც მდიდარია კანცეროგენებით. გრანადის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „ფასტ-ფუდის“ მუდმივ მომხმარებელს, სხვებთან შედარებით, ხშირად აღენიშნებოდათ დეპრესია და აგრესია. მათ როგორც წესი, ხშირად აწუხებთ შეშუპება, მარილების დაგროვება, თირკმლის პრობლემები, მაღალი წნევა. მესამეა ძეხვები, დაშაშხული პროდუქტები, რომლებიც შეიცავს გმ სოიას და დამუშავების პროცესში წარმოქმნილ ბენზპირენს. მეოთხე ადგილი ბოსტნეულსა და ხილს უჭირავს. ვიცით, რომ ეს პროდუქტები ცნობილია როგორც ყველაზე სასარგებლო ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ასეთი პროდუქტი შეიძლება შხამად იქცეს, თუ იგი ტრასის გასწვრივ ან ქარხნის მახლობლადაა მოყვანილი. მეხუთე ადგილზე კი არის პროდუქტი, რაზეც თქვენ საუბრის დასაწყისში დამისვით კითხვა და მასზე უკვე ვრცლად ვისაუბრეთ. ესაა მარგარინი — ცხიმის ყველაზე მავნე სახეობა. მისი შემცველი ყველა პროდუქტი მავნეა.

აქვე, მინდა თქვენი ყურადღება კიდევ ერთ საშიშროებაზე მივიქციო. წეღან, სტეროიდული ჰორმონებით გაჯერებული ხორცის მავნებლობაზე გესაუბრეთ. არანაკლებ საშიშია ანტიბიოტიკების შემცველი ქათმის ხორცი. იგი, განსაკუთრებით საშიში ბავშვებისთვისაა. მოგახსენებთ, თუ რატომ: ასეთი ხორცი ხელს უწყობს ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიების გამრავლებას. ინტენსიურმა ანტიბიოტიკურმა თერაპიამ, პრაქტიკულად, ყველა არსებული ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტულ მიკროორგანიზმთა შტამების წარმოქმნა გამოიწვია. ამიტომ, ახალი უფრო ძლიერი პრეპარატები იქმნება, რასაც უფრო და უფრო მდგრადი ბაქტერიების წარმოშობა მოჰყვება. მეფრინველეობაში ანტიბიოტიკების უზომო გამოყენება მთავარი მიზეზია იმისა, თუ რატომ არის ძირითადი სამკურნალო პრეპარატები ადამიანის დაავადებათა სამკურნალოდ არაეფექტური ან ნაკლებად ეფექტური. გარდა ამისა, ფრინველებს ხშირად კვებავენ გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვებით. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს კომბინირებული საკვებისა და ვეტერინარული პრეპარატების მაკონტროლებელი დამოუკიდებელი ლაბორატორიები. მრავალი შხამის დასახელებას ეტიკეტზეც ამოიკითხავთ: ნატრიუმის ნიტრატი, პროპილენგლიკოლი, საქარინი, ასპარტამი, ფოსფორმჟავა, ჰიდროგენიზირებული ცხიმები და ა.შ. პროდუქტებს მიმზიდველი ფერის მისაცემად უმატებენ საღებავებს, რომელთა უმრავლესობა საკმაოდ მავნეა. ასევე, მავნეა მადის მომგვრელი სხვადასხვა პრეპარატებიც. მაგალითად, გემური თვისებების გასაუმჯობესებლად იყენებენ ნატრიუმის გლუტამინატს, რომელიც სისხლის საშუალებით ორგანიზმში მოხვედრისას ადვილად იჭრება ტვინში, იწვევს საკვებით გამოწვეულ ტკბობას და მისი კვლავ მიღების სურვილს. ნატრიუმის გლუტამინატი, რომელსაც კვების პროდუქტებში ხშირად შეხვდებით, მოზარდის ტვინს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. იგი ნარკოტიკივით მოქმედებს. ბავშვი ასეთ საკვებზე დამოკიდებული ხდება და ხშირად, სახლში მომზადებულ კერძებზე უარს ამბობს. ნატრიუმის გლუტამინატი ზიანს აყენებს მხედველობასაც, რაც შეიძლება ერთჯერადი მიღებითაც გამომჟღავნდეს. მისი ხანგრძლივი მიღება თვალის ბადურის დაშლას იწვევს. ნატრიუმის გლუტამინატს დიდ რაოდენობით შეიცავს სწრაფი კვების პროდუქტები. მიუხედავად მავნე გავლენისა, მისი გამოყენება დღესდღეობით მაინც არ არის აკრძალული. აქვე, არ შემიძლია არ გამოვყო ჯანმრთელობისთვის საშიში პლასტმასის ბოთლები. მათში მოთავსებული სასმელი წყლის სინჯში 24 520 სხვასხვა ქიმიური ნივთიერება აღმოჩნდა. ერთ-ერთი მათგანია ბისფენოლ-ა. აშშ-ში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ გამოკვლეულ პირთა (ბავშვები და ფეხმძიმე ქალები) შარდის 95% ფენოლ-ა-ს შეიცავდა, რომელიც იწვევს ნაადრევ სექსუალურ მომწიფებას, ხოლო მამაკეცებში — სექსუალურ დარღვევებს. იგი, გარდა ამისა, აზიანებს რეპროდუქციულ სისტემას, ფარისებრ ჯირკვალს, ცენტრალურ ნერვულ სისტემას. მას შეუძლია სიმსუქნის, ჰიპერტონიის, დიაბეტის და ადრეული სქესობრივი მომწიფების გამოწვევაც.

(გაგრძელება იქნება)

თამარ შველიძე
555 23 28 24



მკითხველის ფოსტა

# რა უნდა ევროკავშირს საქართველოსგან?

სულ უფრო და უფრო გაუგებარი ხდება, რა უნდა ამ ღრმად პატივცემულ ევროკავშირს საქართველოსგან?“

მეტი რა უნდა ვქნათ, რა უნდა მოვიმოქმედოთ — რაც გვითხრეს და რაც გვთხოვეს, ყველაფერი შევასრულეთ, მაგრამ ვიზალიბერალიზაციის საკითხი ჯერჯერობით მაინც ვერ გადაწყდა.

მეტი რა უნდა ვქნათ, სხვა რა უნდა მოვიმოქმედოთ — ნაცარს ხომ არ დავიყრით, მთელი ერი ლგბტ თემის წევრებად ხომ არ გამოვაცხადებთ თავს და ყველანი ხომ ვერ გავცისფერდებით, ციხის კარებს ხომ ვერ გავხსნით და ნაციონალური ბანდის თავკაცებს გარეთ ხომ არ გამოვყრით?

არადა, ამას კი არ გვთხოვენ, პირდაპირ გვეუბნებიან, მაგრამ აშკარად მიგვანიშნებენ, რომ მერაბიშვილი და უგულავა ციხიდან გამოვუშვათ, სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიას „რუსთავი-2“-ს უბატონოდ ხმა არ გავცეთ, სანამ მთელ ქვეყნას ბოლომდე არ არევენ და ადამიანებს ერთმანეთს არ მიუქსევენ.

არჩევნები ახლოვდება და მალე შეიძლება ისიც შემოგვაპარონ: — თუ ევროპაში უვიზოდ გინდათ სეირნობა, მაშინ პირველ ადგილზე „ნაცმოძრაობა“ უნდა გავიდეს და პრეზიდენტად ისევ სააკაშვილი უნდა დავაბრუნოთო.

კი, მაგრამ, ამ სააკაშვილს და მის „ნაცმოძრაობას“ ამდენი დანაშაული რომ აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, ეს არაფერი?

იქნებ ქართველი ხალხი საერთოდ არ არის ანგარიშში ჩასაგდები და მის აზრს და პოზიციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რაც მთავარია, მან უსიტყვოდ შეასრულოს ყველა მითითება, რასაც „ზემოდან“ უკარნახებენ?

კი, მაგრამ, „ზემოდან“ კარნახი რომ არ გვინდოდა, იმიტომ ვიბრძოლეთ და იმიტომ ვღვარეთ სისხლი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, რომელიც ისევ ეჭვქვეშ დადგება, თუ ამგვარი პირდაპირი თუ ირიბი ზეწოლები გაგრძელდება.

ქართველმა ხალხმა საკუთარ ზურგზე იწვნია „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის მთელი სისასტიკე და ამ რეჟიმის მთავარი შემოქმედების, მთავარი ავტორების პოლიტპატიმრებად თუ პოლიტდევნილებად გამოცხადება, ეს არის ქართველი ხალხის აბუჩად აგდება, უკიდურესი შეურაცხყოფა.

მართლაც ძნელი გასაგებია, რა უნდა ევროკავშირს საქართველოსგან?

ნუთუ ის, რომ ამდენი შეურაცხყოფით თავმობეზრებული ქართველი ხალხი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდეს ხმამაღლა თქვას: — არც თქვენი კავშირი გვინდა, არც თქვენი უვიზო რეჟიმი, არც თქვენი მეგობრობა გვჭირდება, არც თქვენი ჭკუის სწავლება, სულ კარგად ბრძანდებოდეთ, თქვენ თქვენთვის, ჩვენ — ჩვენთვის. წაიყვანეთ თქვენი სააკაშვილები, თქვენი მერაბიშვილები, ადეიშვილები, კეზერაშვილები, ბოკერიები, უგულავები და კიდევ სხვანი მრავალნი, წაიყვანეთ და გინდ შუშის კოლბაში ჩასვით, რომ ცივი ნიავი არ მოხვდეთ, ჩვენ კი თავი დაგვანებეთ.



თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ის, რაც დღეს საქართველოსთან მიმართებაში ხდება ევროკავშირის მხრიდან, შეიძლება მართლაც მალე დადგეს ის დრო, როცა ქართველი ხალხი ზემოთნახსენებ იმ საბედისწერო სიტყვებს ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად იტყვის; იტყვის კი არა, იყვირებს...

ლევან არჩაია
(თბილისი)

# დღეს მაინც რატომ არავინ სთხოვს პასუხს დამნაშავეებს, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის დროს უდანაშაულო ადამიანები ციხეში გამოგვამწყვდიეს?

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი მსხვერპლი, ინჟინერი ალეკო ხარჩილავა, რომელიც მის წინააღმდეგ შეთითხნილი აბსურდული ბრალდებით ციხეში გამოკეტეს.***

- 2004 წელს „საქართველოს რკინიგზამ“ სხვადასხვა დასახელების საქონლის შეძენაზე ტენდერი გამოაცხადა. შპს „ოდაბადეს“ დირექტორმა ლაშა წურწუმიამ კომერციული წინადადებით მიმართა ხსენებული უწყების შესყიდვების სააგენტოს და სხვა საქონელთან ერთად შესთავაზა ორი სახის ტრანსფომატორი, ომს 4/6-1/0,23 კტპ-თი (ერთი ცალის ღირებულება – 2400 აშშ დოლარი) და ომს 10/10 კტპ-თი (ერთი ცალის ღირებულება – 2700 აშშ დოლარი) და ტენდერში გაიმარჯვა. მე ამ ფირმაში არავითარი ოფიციალური სტატუსი არ მქონდა, მაგრამ ლაშა წურწუმიას, რომელიც ჩემი ნათესავია, როგორც სპეციალისტი საქმის წარმოებაში ვეხმარებოდი. გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება, რომელსაც საქრკინიგზის მხრიდან ტექნიკური დარგის დირექტორი კონსტანტინე ნინიძე აწერს ხელს, ხოლო „ოდაბადეს“ მხრიდან ლაშა წურწუმია. 8-8 ცალი ტრანსფორმატორი უნდა მიგვეწოდებინა, რომელთა საერთო ღირებულება 40.800 დოლარს შეადგენდა. ყველა დოკუმენტში, იქნებოდა ეს სატენდერო განაცხადი, ხელშეკრულება თუ სხვა, ტრანსფორმატორების ღირებულება აშშ დოლარებში იყო დაფიქსირებული. როგორც კი შესყიდული საქონელი საქრკინიგზის ბაზაში შევიდოდა, თანხას გადმოგვირიცხავდნენ იმ დღეს არსებული ოფიციალური კურსით ეროვნულ ვალუტაში. ყველა ოპერაცია კანონის სრული დაცვით განხორციელდა, რისი შესაბამისი დოკუმენტაცია არსებობს და საქმის მასალებშიც დევს. წელიწადნახევარი ისე გავიდა, რომ საქრკინიგზას ჩვენს მიმართ არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს, რომ საქონელი დეფექტიანი იყო, ან მალე დაზიანდა და ა.შ., თუმცა წელიწადნახევრის მერე მე და ლაშა წურწუმია საფინანსო პოლიციაში დაგვიბარეს ხსენებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. იმ პერიოდში ამ უწყების ხელმძღვანელი დავით კეზერაშვილი გახლდათ. რა დოკუმენტაციაც გაგვაჩნდა, ყველაფერი ავიღეთ და ისე გამოვცხადდით უწყების სათავო ოფისში, სადაც პროკურორი ვახტანგ იაშვილი, საფინანსო პოლიციის უფროსი გამომძიებელი კოტე ყიფიანი და გამომძიებელი ვახტანგ ებიტაშვილი დაგვხვდნენ. დოკუმენტაცია წარვუდგინეთ და ყველაფერი მოვყევი, ებიტაშვილმა ერთი წუთითო, ოთახიდან გავიდა და ნიღბიანებთან ერთად დაბრუნდა, რომლებმაც მე და ლაშა წურწუმიას ხელბორკილები დაგვადეს, ბუნებრივია, დავინტერესდით რა ხდებოდა, მერე გაიგებთ ყველაფერსო, გადაგვიყვანეს „მოდულის“ შენობაში და ცალცალკე საკნებში მოგვათავსეს. მეორე დღეს გამომძიებელი ებიტაშვილი ჩვენს ადვოკატთან ერთად შემოვიდა საკანში და ბრალი წაგვიყენა. დადგენილების სამოტივაციო ნაწილში ეწერა, რომ თურმე მე, ჩემს ნათესავთან ერთად „საქართველოს რკინიგზაში“ წარვადგინეთ კომერციული წინადადება, რომ ხსენებულ ტრანსფორმატორებს 2400 და 2700 დოლარად კი არა, 2400 და 2700 ლარად მივაწვდიდით. ფასთა სხვაობამ 21402 ლარი შეადგინა და თურმე ეს თანხა მივითვისეთ. გამომძიებელს იმ დოკუმენტაციის წარმოდგენა მოვთხოვე, რომლის მიხედვითაც ფირმამ ტენდერში მიიღო მონაწილეობა, გაიმარჯვა და საქონლის მიწოდებაზე ხელშეკრულება გაფორმდა, საქრკინიგზაში ეგ დოკუმენტაცია ვერ მოიძებნა, დაკარგულიაო. ვერ მოიძებნა კი არა გადამალეს და გამოძიება სატენდერო კომისიის სხდომის თავის მიერვე გაყალბებულ ოქმს დაეყრდნო. როცა ტენდერი ტარდება და განაცხადები შედის, ეს კომისია თვეში ერთხელ იკრიბება, ტენდერში ჩვენს გარდა სხვა ფირმებიც მონაწილეობდნენ, რადგან საქრკინიგზა სხვადასხვა დასახელების საქონელს ყიდულობდა, მსჯელობს და დასკვნა გამოაქვს, გაუფორმოს თუ არა ხელშეკრულება კონკურსანტებს. სხვათა შორის, ეს კომისია ორჯერ შედგა, რადგან პირველად დაიწუნეს ჩვენს მიერ შეთავაზებული ფასი, ეს დოკუმენტებიც დევს საქმის მასალებში, სადაც წერია, რომ შპს „ოდაბადეს“ ფასი დაწუნებული იქნა სიძვირის გამო, მაგრამ შეთავაზებული ფასი მითითებული არ არის, მარტო ჩვენი ფირმის კი რა, იმ ოცზე მეტი კომპანიის საქონლისაც, რომელთა უმრავლესობამაც გაიმარჯვა და ხელშეკრულება გაუფორმეს. ასეთი რამ წარმოუდგენელია, ამიტომაც ვამბობ, რომ გამოძიებამ კომისიის სხდომის ოქმი შეცვალა. კომისიის წევრები ოქმის ბოლო ფურცელზე აწერენ ხელს, გამოძიებამ ეს ფურცელი დატოვა, დანარჩენი კი შეცვალეს. საქრკინიგზამ ფასი რომ დაიწუნა, ერთი თვის მერე ისევ შევიტანეთ განაცხადი და გაგვიფორმეს ხელშეკრულება. გამოძიებამ მეორე სხდომის ოქმშიც შეცვალა ის ფურცელი, სადაც საქონლის ფასები იყო მითითებული და დოლარის მაგივრად ლარი მიუთითა. აი, სწორედ ამ ოქმზე დაყრდნობით ააგეს ჩვენი ბრალი. დაკითხეს თუ არა საქრკინიგზის ის თანამშრომლები, რომლებიც შესყიდვებისთვის საჭირო დოკუმენტებს აწერდნენ ხელს, ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ისინი დაეშინებინათ, თუ მათთვის სასურველ ჩვენებას არ მისცემდნენ, დაიჭერდნენ. ერთი სიტყვით, დაგვაბრალეს, რომ საქრკინიგზას მნიშვნელოვანი ზარალი მივაყენეთ და სამთვიანი წინასწარი პატიმრობაც შეგვიფარდეს. ჩვენმა ადვოკატმა შესთავაზა, დღესვე გადავიხდით იმ 21.402 ლარს,ოღონდ პატიმრობაში ნუ დატოვებთო, მაგრამ უარი უთხრეს, მოწმეებზე ზეგავლენას მოახდენენო. ადვოკატს ვთხოვე საქრკინიგზის შესყიდვების სააგენტოდან გამოეთხოვა ჩვენი ფირმის განაცხადი, სადაც მითითებული იყო საქონლის ფასები, განაცხადი რომ ჩავაბარე, შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში მომაწერინეს ხელი და ამ ფურცლის ქსეროასლსაც ვითხოვდით. სააგენტოს წარმომადგენლებმა ადვოკატს განაცხადის ქსეროასლი გადასცეს, საფინანსო პოლიცია რომ შემოვარდა, დედანი მათ წაიღეს, მხოლოდ ქსეროასლი დაგვიტოვესო. ამ დოკუმენტში საქონლის ფასები დოლარებშია დაფიქსირებული, მაგრამ გამომძიებელმა არ მიიღო, ქსეროასლს იურიდიული ძალა არ აქვსო, მტკიცებულებად რომ მიეღოთ, ვეღარ დაგვიჭერდნენ, ამიტომაც თქვეს უარი. სხვათა შორის, კომისიის სხდომის ოქმი, ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარი დოკუმენტი ხელშეკრულებაა, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ დოლარის ექვივალენტ ლარებში გადმომირიცხეს მიწოდებული საქონლის ღირებულება, მაგრამ გამოძიებას რაც აწყობდა, ის ჩათვალა მტკიცებულებად“.

**- ბატონო ალეკო, საფინანსო პოლიცია რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული უდანაშაულო ადამიანის დაჭერით, რაღაც სხვა მიზანი ხომ არ ჰქონდათ?**

- ტენდერი რომ გამოცხადდა და გავიმარჯვეთ, იმ პერიოდში „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი გახლდათ და თურმე მას უმიზნებდნენ. საბრალდებო დასკვნა დაიწერა, წინასწარი პატიმრობის ვადაც ამოიწურა, მაგრამ სასამართლო პროცესი არ იმართებოდა, ხან პროკურორის „ავადმყოფობის“ გამო გადადეს, ხან მოსამართლე არ გამოცხადდა, მიზეზი არ ელეოდათ და ასე „დაგვასეირნებდნენ“ ორთაჭალასა და დიღომს შორის. ჩვენს უდანაშაულობაში დარწმუნებული ვიყავი და ვერ ვხვდებოდი რას გვერჩოდნენ. ერთ დღესაც ციხეში „გვესტუმრა“ გამომძიებელი ვახტანგ ებიტაშვილი, ამხელა თანხას საქრკინიგზის წარმომადგენლების გარეშე ხომ ვერ მიითვისებდითო. ამაში მართალი იყო, ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, მათ გარეშე ვერ მივითვისებდით. თურმე დავით ონოფრიშვილის ინტერესი ჰქონდათ, უკვე პატიმრობაში ვიყავით, როცა თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ადგილზე ირაკლი ეზუგბაია დანიშნეს. გამომძიებელმა პირდაპირ მითხრა, დავით ონოფრიშვილს დაადე ხელი, „აღიარე“, რომ შესყიდვების სააგენტოში ფული გროვდებოდა, თქვენც შეგქონდათ წილი და ეს ფული თენგიზ დონაძის (ტექნიკური დარგის დირექტორი) მეშვეობით ონოფრიშვილთან მიდიოდაო. მოკლედ, შემოთავაზება იყო, რომ „საქრკინიგზის“ ხელმძღვანელობისთვის „ატკატის“ დაბრუნებას თუ „ვაღიარებდი“, მეც და წურწუმიასაც გაგვათავისუფლებდნენ, რაზეც უარი ვუთხარი, არავითარი ფული არ შემიგროვებია, რა საქონელიც შევიტანე, იმის ფული გადმომირიცხეს, მეტი არაფერი ვიცი-თქო. მაშინ იჯექი აქო. რახან ვერ დამითანხმეს, გადაწყვიტეს ბრალი დაემძიმებინათ, 21402 ლარი არ იყო ის თანხა, რომლის მითვისებაც პატიმრობით ისჯება, იმ კატეგორიის საგადასახადო დარღვევად ითვლება, რომ ამ თანხას შეგატანინებენ ბიუჯეტში და გაგათავისუფლებენ. ამიტომ ჩვენს მიერ მიწოდებული საქონლის თაობაზე ექსპერტიზა დანიშნეს, უსაქონლო ოპერაცია ხომ არ არისო, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა. ტრანსფორმატორები ბაზაში ტყუილად ხომ არ ეწყობოდა, სხვადასხვა ობიექტზე დაამონტაჟეს, რომლებსაც ექსპერტმა ფოტოები გადაუღო. ჩვენმა ფირმამ ტრანსფორმატორები თავისი კარადებიანად შეიტანა, ასეთი იყო სატენდერო მოთხოვნა, მიღება-ჩაბარების აქტებიც ადასტურებს, რომ სრულ კომპლექტში მივაწოდეთ. ადგილზე თურმე ზოგი კარადის გარეშე მუშაობდა და აქედან გამომდინარე „დაუდგენია“ ექსპერტიზას, რომ კარადების გარეშე მივაწოდეთ. იქნებ კარადა არ ჭირდებოდა, შეიძლება თვითონ ტრანსფორმატორიც არ დაემონტაჟებინათ, რაც სულ არ ნიშნავს, რომ შპს „ოდაბადემ“ არ მიაწოდა. მიღება-ჩაბარების აქტის გარდა, არსებობს მინდობილობები, რომლითაც საქრკინიგზის ბაზიდან ტრანსფორმატორები კარადებიანად აქვთ გატანილი ობიექტებს, თუნდაც აგარას, რა





შპს "საქრკინიგზის"
შესყიდვის სააგენტოს უფროსს
ბატონ დ. დარჩუნდაშვილს

შპს "ოდაბადე" გაცნობებთ, რომ ჩვენ სურვილი გვაქვს ვითანამშრომლოთ თქვენს სააგენტოსთან. აღნიშნულიდან გამომდინარე გთავაზობთ, შესასყიდად ელექტრო-მასალებს.

აღნიშნული მასალები მოწოდებული იქნება სათანადო მარკირებისა და სიმძლავრის დაცვით.

გთხოვთ მიგვეღებინოთ მონაწილეობა სათანადო ტენდერში.

ინფორმაცია მასალებისა და ფასების შესახებ

1. ერთფაზა ზეთიანი ტრანსფორმატორი ომს კტპ-თი 4/6-1/0.23 – ღირებულება 2400 $
2. ერთფაზა ზეთიანი ტრანსფორმატორი ომს 10/10 – ღირებულება 2750 $
3. განმუხტველი რვე-6 – ღირებულება 100 ლარი
4. განმუხტველი რვო-10 – ღირებულება 120 ლარი
5. მცველი ПК-1-10 – ღირებულება 50 ლარი
6. მაღალი ძაბვის იზოლატორი შფ-20 – ღირებულება 9-60 ლარი
7. კაბელი 3X25-1 – ღირებულება 6-00 ლარი
8. კაბელი 3X50-1 – ღირებულება 9-00 ლარი
9. კაბელი 3X70-1 – ღირებულება 12-00 ლარი
10. კაბელი 2X6 – ღირებულება 2-40 ლარი

13.09.04.

შპს "ოდაბეს" დირექტორი ლ. წურწუმია

ტელ. 8(93) 327334

საქართველოს რკინიგზის
მ ე მ ე
შემოსვლის № 9328
13 05 2004 წ.

გამოდის, ყველა მოვისყიდე? თუ ჩვენ დაგვიჭირეს, მაშინ რატომ არ დადგა იმ ხალხის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თურმე ყალბ საბუთებზე მოგვიწერეს ხელი? ცხადია, ამ შემთხვევაშიც მიიღეს ფასთა სხვაობა, რაც „მითვისებულს" დაემატა. არც ეს იკმარეს და წელიწადნახევრის შემდეგ, დანადგარებს ცვეთის თანხა დაარიცხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თურმე ახალი კი არა, მეორადი, ანუ მანამდე ექსპლუატაციაში ნამყოფი ტრანსფორმატორები მივყიდეთ „საქართველოს რკინიგზას". თუ ახალი დანადგარები არ იყო, მაშინ რატომ მოაწერა ხელი სათანადო დოკუმენტს, ამ უწყების შვიდმა წარმომადგენელმა? რის საფუძველზე დაადგინა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა ტყეშელაშვილმა, რომ მეორადი ტრანსფორმატორები მივაწოდეთ, ფოტოს მიხედვით დაადგინა და დაარიცხა 40%-იანი ცვეთა? სხვათა შორის, მერე მინდოდა ამ ექსპერტთან შეხვედრა, მაგრამ ექსპერტიზის ბიუროში მითხრეს აქ აღარ მუშაობსო, მგონი, ეს ქალბატონი საქართველოდანაც წასულია. ბოლო ჯამში გამოიყვანეს, რომ თურმე 34.960 ლარის ზარალი მივაყენეთ საქრკინიგზას და ეს „დანაშაული" ჯგუფურად, არაერთგზის ჩავიდინეთ, არაერთგზის იმის გამო, რომ ორჯერ მოხდა საქონლის შეტანა. თავიდან ტრანსფორმატორები სრული რაოდენობით არ გვქონდა და რადგან მყიდველს ეჩქარებოდა, ორ პარტიად მივაწოდეთ. საბრალდებო დასკვნას რომ გადახედოთ, გაგეცინებათ, მართლზომიერად მოექცა რა ეს ფული ხარჩილავას მფლობელობაში, მან მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისაო. იქნებ ვინმემ ამიხსნას, მართლზომიერად ჩარიცხული ფულის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება რას ნიშნავს. ბოლოს იძულებული გავხდი „ბრალი მეღიარებინა", რადგან იმ პერიოდში ჩემი ძმა ძალიან ავად იყო და მომწერა, რომ საპროცესო გარიგებაზე დავთანხმებულიყავი, სახლი გავყიდოთ და „ზარალი" დავფაროთო, ასეც მოგვიწია. შემომბრძანდა ციხეში პროკურორი ვახტანგ იაშვილი და მეც და ლაშა წურწუმიასაც საპროცესო შეთანხმება გაგვიფორმა, 30.000-30.000 ლარი ამ კუთხით გადაგვახდევინეს, ხოლო 35.000 ლარი „მიყენებული ზარალის" საკომპენსაციოდ საქრკინიგზისთვის გადაგვარიცხვინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროცესოს არ გაგვიფორმებდნენ. სიტყვიერად დაგვპირდნენ, როგორც კი ბრალს აღიარებთ და თანხას გადაიხდით, გაგათავისუფლებთო, მაგრამ მოგვატყუეს, ერთი წელი ციხეში გვაყურყუტეს და 5-წლიანი პირობითი სასჯელით გამოგვიშვეს.

ციხიდან გამოსვლისთანავე დავიწყე ჩვენი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბრძოლა, მივმართე საქრკინიგზის შესყიდვების სააგენტოს, ხსენებული ტენდერის დროს ამ სააგენტოს უფროსი დავით დაბრუნდაშვილი იყო, მის სახელზე გვქონდა შეტანილი განაცხადი, მაგრამ ციხიდან გამოსულს თანამდებობიდან გადაყენებული დამხვდა. მოვითხოვე ეს განაცხადი და სარეგისტრაციო ჟურნალი, მომცეს ისევ ისეთი ქსეროასლი, რომელიც გამომძიებელმა არ მიიღო, დედანთან დამოწმება მოვითხოვე, მაგრამ დაბრუნდაშვილმა უარი მითხრა, დედანი გამოძიებამ ამოიღო და რასაც გატან, იმაზეც მადლობა მითხარიო. ვიცოდი ნაციონალების მმართველობისას ვერაფერს მივაღწევდი, მაგრამ ბრძოლა არ შემიწყვეტია, ვითხოვდი დოკუმენტაციას, ჩვენი ფირმის სარეგისტრაციო ნომერს, მაგრამ ოფიციალურად მპასუხობდნენ, რომ ეს დოკუმენტები არ იძებნებაო. შინაგანაწესის მიხედვით, რომელსაც დავით ონოფრიშვილი აწერდა ხელს, სატენდერო დოკუმენტაცია ერთად იკინძებოდა, სამი წელი შესყიდვების სააგენტოში უნდა ყოფილიყო და მერე გადასცემოდა არქივს, ვითომ არც სააგენტოში ჰქონდათ ეს დოკუმენტები და არც არქივში, მაშინ დავრწმუნდი, რომ პროკურატურა და საქრკინიგზა შეთანხმებულად მოქმედებდნენ. პროკურატურამ საქრკინიგზა დაზარალებულად რომ ცნო, ამ უწყების დირექტორთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ ირაკლი ეზუგბაიამ, ამ საქმეში თავის წარმომადგენლად გურგენიძე დანიშნა, რომელსაც მგონი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თანამდებობა ეკავა. ამ საქმის სამოქალაქო წესით განხილვა აღარ მომხდარა, რადგან, როგორც გითხარით, გამოძიებამ გვაიძულა საქრკინიგზისთვის „ზარალი" ყოველგვარი სასამართლო განხილვის გარეშე აგვენაზღაურებინა. როდესაც ჩვენ საპროცესო შეთანხმება გაგვიფორმეს, ეზუგბაიამ გურგენიძე შესყიდვების სააგენტოს უფროსად დანიშნა. მოგვიანებით გურგენიძე საქრკინიგზიდან რომ წავიდა, თავისი ბიძაშვილი თაკო გურგენიძე მოიყვანა და ის დატოვა სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე. სწორედ თაკო გურგენიძე მწერს, დოკუმენტები არ იძებნებაო, ეს ქალბატონი ჩვენს განაცხადს გამოაჩენს?!

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მაშინდელ მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს მივმართე, მომწერეს, თქვენს საქმეზე განაჩენი დამდგარია და ვერ გადავხედავთ, საკანონმდებლო ბაზა ჭირდება, პარლამენტმა უნდა მიიღოს შესაბამისი დადგენილებაო. ეს ვიცოდი, მაგრამ დავაფიქსირე, რომ გაჩერებას არ ვაპირებდი. ამის მერე მივწერე საპროკურორო ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე ახდენს რეაგირებას, რომ განაჩენის გადახედვას კი არა, იმ პროკურორისა და გამომძიებლების დასჯას ვითხოვდი, რომლებიც ჩვენს საქმეში ფიგურირებდნენ, კვლავ უარი მივიღე, საქმე არ გადაიხედებაო. როგორც კი პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი შეიქმნა, მივმართე მის ხელმძღვანელს ირაკლი ნადარეიშვილს, გადავუგზავნე ის საქრკინიგზის წერილები, ყველა ჩემს მოთხოვნას უარით რომ პასუხობდნენ. მივმართე საქრკინიგზის გენერალურ დირექტორს მამუკა ბაზბაძეს თხოვნით, რომ ჩემი წერილი შესასწავლად მონიტორინგისა და ინსპექტირების სამსახურისთვის გადაეცათ. მართლაც გადასცეს, ამ სამსახურის უფროსის მოადგილე ცაგარეიშვილი შემხვდა, ორი კვირა დავდიოდი დაკითხვაზე, ჩვენი საქმის გარშემო 60-ფურცლიანი მასალები წარვუდგინე, ცაგარეიშვილმა მითხრა, ყველაფრში მართალი ხართ, მაგრამ „საქართველოს რკინიგზამ" ფული როგორ დაგიბრუნოთო. მე ამ ეტაპზე ფულის დაბრუნებას კი არა,



გამართლებას ვითხოვ. ცაგარეიშვილს ვთხოვე თავისი უწყების შესყიდვების, იურიდიული, ტექნიკური და ფინანსური სამსახურებიდან 2005 წლის ყველა დოკუმენტაცია გამოეთხოვა, ყველა სამსახურმა დაწერა, რომ იმ პერიოდის ერთი ფურცელიც კი არ მოეძევებათ. აბა სად წავიდა, თუ განადგურდა, სად არის განადგურების ოქმი, რომელსაც შესაბამისი კომისიის წევრები აწერენ ხელს. ამაზე პასუხი ვეღარ გასცეს, მონიტორინგის სამსახურმა ჩემს 60 გვერდს თავისი 40-გვერდიანი მასალაც დაურთო და მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა, 2005 წლის შესყიდვებთან დაკავშირებით დოკუმენტები არ იძებნება და სამართლებრივ შეფასებას გთხოვთო. იმ პერიოდში მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი იყო, ეს მასალებიც ახლადშექმნილ დეპარტამენტს გადასცეს. საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით არის აღძრული. შევხვდი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს, ძალიან გულისხმიერი ადამიანია, ყურადღებით მომისმინა და მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს წერილობით მიმართა, ბოლომდე დროულად იყოს მიყვანილი ჩვენი საქმე, რომელზეც ახალი ზედამხედველი პროკურორი დანიშნეს, მან საქმის გასაცნობად გარკვეული ვადა ითხოვა. ის პროკურორი და გამომძიებლები, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანები გისოსებს მიღმა გამოგვამწყვდიეს და თავისუფლების სანაცვლოდ სახლ-კარი გაგვაყიდვინეს, აღარ მუშაობენ საგამოძიებო სტრუქტურებში. დავით ებიტაშვილი სადაზღვევო კომპანია „ალდაგში" ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსია, კოტე ყიფიანი „სამართლის სახლის" ადვოკატია, ხოლო პროკურორი ვახტანგ იაშვილი, ჩემი ინფორმაციით საქართველოდან გაქცეულია. ებიტაშვილს რამდენიმე ხნის წინ შევხვდი, საერთოდ არ დამელაპარაკა, კითხვებზე მხოლოდ პროკურატურას გავცემ პასუხსო. იქამდე არ გავჩერდები, სანამ ეს ადამიანები კანონის წინაშე საკადრისად არ აგებენ პასუხს. შევხვდი დავით ინოფრიშვილსაც, როდესაც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ბრძანდებოდა, ავუხსენი ყველაფერი, რაც გადაგვხდა, დახმარებას დამპირდა, მაგრამ ხელი არ გაუნძრევია. მოგვიანებით რომ შევხვდი, ბატონმა ონოფრიშვილმა ასეთი პასუხი გამცა, ოპოზიციაში გადავედი და ვერაფრით დაგეხმარებითო.

აი ასეთ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებ ათი წელია და სამართალი ვერა და ვერ ვიპოვე.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

**რედაქციისგან: ალეკო ხარჩილავას მიერ ამ ინტერვიუში მოთხრობილი ტრაგიკული ამბავი, რომელიც კოშმარულ სიზმარს უფრო ჰგავს, ბატონ ალეკოს სხვა დროსაც ბევჯერ აქვს მოყოლილი სხვადასხვა გაზეთების თუ ტელევიზიების საშუალებით, თუმცა შედეგი ჯერჯერობით ნულის ტოლია.**

**რატომ და რის გამო ხდება ასე, ამაზე პასუხი სათანადო სტრუქტურებმა უნდა გაგვცენ, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანებს თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცებაში დაეხმარონ, დამნაშავეებს კი პასუხი მოსთხოვონ.**

## დიდი დასტაქრის - ლადო ანდრონიკაშვილის გახსენება



**ცნობილ ქართველ მეან-გინეკოლოგს ლადო ანდრონიკაშვილს 86 წელი შეუსრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, ჩვენს გვერდით აღარ არის, იგი ახსოვთ, უყვართ, აფასებენ და პატივისცემით იგონებენ ახლობლები, მეგობრები, დედები, რომელთა შვილების ამქვეყნად მოვლინებას ბატონმა ლადომ დიდი ენერგია შეალია, რადგან 50 წელი ემსახურა მეან-გინეკოლოგის პროფესიას, 50 წელი იდგა ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე. იდგა და როგორ!**

**ბუნებრივია, იტყვით, რომ ეს ყველა ექიმის მოვალეობააო; გეთანხმებით, მაგრამ მათ შორისაც არიან გამორჩეულები! ლადო ანდრონიკაშვილი რჩეულთა შორის რჩეული ექიმი გახლდათ. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში იგი არაერთხელ აღმოჩენილა კრიტიკულ სიტუაციაში, როცა მცირე შეცდომაც კი დამღუპველი იქნებოდა, მაგრამ სწორედ საბედისწერო შემთხვევებში, ბატონი ლადო თავგანწირვის ფასადაც კი, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, მისი ხელით მოვლენილი ახალი სიცოცხლე ერთბაშად ავიწყებდა მას ყველა სირთულეს, ამიტომნ დაიმკვიდრა ლადო ანდრონიკაშვილმა მკვეთრად ინდივიდუალური ადგილი თავის პროფესიაში. უფრო მეტი, იგი იქცა ლეგენდარულ დასტაქრად.**

**1998 წლიდან ის საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია და მუშაობს სამშობიარო განყოფილებებისა და ქალთა კონსულტაციების ხელმძღვანელად დმანისში, თერჯოლაში, ასპინძაში, ხაშურში, გურჯაანში, სოხუმში, ზუგდიდში, თბილისში და ა.შ. ლამის სრულიად საქართველოს მოიცავს მისი მოღვაწეობის არეალი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იგი შორს იდგა ამბიციურობისგან, იყო იქ, სადაც მისი გამოცდილება სჭირდებოდათ, ამიტომ მოიპოვა ბატონმა ლადო ანდრონიკაშვილმა, როგორც ღირსეულმა დასტაქარმა, საერთო აღიარება მთელ საქართველოში და თავისი მაღალპროფესიული სიტყვაც თქვა მეან-გინეკოლოგიაში.**

**გარდაცვალებამდე თბილისის მე-5 საავადმყოფოს პოლიკლინიკური გაერთიანების სამეანო განყოფილებას ხელმძღვანელობდა, სადაც დღესაც სიყვარულითა და სითნოთი იხსენებენ ბატონ ლადოს დამსახურებასა და ამაგს.**

**პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი სწორედ ვლადიმერ (ლადო) ანდრონიკაშვილის სახელს ატარებს, რაც, ალბათ, სწორედ იმ სიკეთის წილი პასუხია ჩვენი საზოგადოებისაგან.**

მეგობართა ჯგუფი

# ძლიერი რეგიონები




## ხულო – შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე

14 ივნისს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ბაუჩაძემ, მოადგილე ნოდარ მიქელაძესა და გამგეობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ღურტაში მცხოვრები ოთარ ღორჯომელაძე მოინახულა და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა შშმ პირთა დასახმარებლად და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის უზრუნველსაყოფად სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროგრამებს ახორციელებს.

## ქედაში სახელფასო დანამატის ეკონომიით შეჭირვებულ ოჯახებს დაეხმარებიან

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 13 ივნისს უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებული თანამშრომლები 100-პროცენტიანი სახელფასო დანამატის ნაცვლად 50 პროცენტს მიიღებენ. საპრემიო ფონდიდან გამოთავისუფლებული 42 700 ლარით კი ადგილობრივი თვითმართველობა ქედაში მცხოვრები შეჭირვებული ოჯახებისთვის სახურავების გადასახურად თუნუქის ფურცლებს შეიძენს.

## შუახევი – საერთაშორისო კონტაქტები

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზვიად დიასამიძე 4-11 ივნისს, აჭარის არ მუნიციპალიტეტების სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ქვემო სილეზიაში იმყოფებოდა. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა სხვადასხვა ქალაქი დაათვალიერეს, გაეცნენ თვითმმართველი ორგანოების მუშაობის პირნციპს, მათ გამოცდილებას არასამთავრობო ორგანოებთან ურთიერთობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის საკითხებში და ა. შ.

## დუშეთში სასოფლო პროექტები წარადგინეს

დუშეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა ორგანიზაციების „სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს“ და „OXFAM საქართველოს“ ერთობლივი ინიციატივით განხორციელებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების წარდგენა. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა გოჩა ზეიკიძემ და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა მოინახულეს მუნიციპალიტეტში დაფინანსებული ახალი კოოპერატიული საწარმოები. სოფელ ბულაჩაურში კოოპერატივ „ჯორჯიან აგრო-ექსპორტ გრუპის“ ორი სასათბურე მეურნეობა, რომლებიც ბიოლოგიურად სუფთა მარწყვისა და პომიდვრის მოყვანას ითვალისწინებს, სოფელ ხანდოში კოოპერატივ “სომეჯი“-ს მიერ შექმნილი ხილისა და კენკრის შეგროვება - გაშრობა - გადამუშავების საწარმო, სოფელ მაღაროსკარში ახლადდაწყებული პროექტი კოოპერატიული საწარმო „ფუტკრის სახლი ფშავში“.




კოოპერატივების წევრებს საშუალება ჰქონდათ პირადად გასაუბრებოდნენ ხელმძღვანელ პირებს და ესაუბრათ მათი საწარმოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. პრობლემები ძირითადად ეხებოდა გაზიფიცირებისა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ხანგრძლივი ვადით იჯარით აღების საკითხებს. გუბერნატორმა გოჩა ზეიკიძემ და გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა მეწარმეებს მოკლე ვადებში მაქსიმალური მხარდაჭერის პირობა მისცეს.

შეხვედრა შედგა ადგილობრივ მოსახლეობასთანაც, სადაც არაერთი საჭირბოროტო საკითხი განიხილეს.

## საჩხერე – სამუსიკო სამხატვრო სკოლისა და ბიბლიოთეკის მშენებლობა

სამუსიკო სამხატვრო სკოლისა და საბავშვო ბიბლიოთეკის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია. სულ მალე საჩხერეს შეემატება კულტურული დაწესებულება, რომელიც მუსიკითა და წიგნით დაინტერესებული მოზარდი თაობისთვის სწავლისა და განვითარების კიდევ ერთ წარმატებულ კერად იქცევა.

სამუშაოებს საწარმოო გაერთიანება „იმერეთი“ ასრულებს.

## კონკურსი სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივის დაფუძნების მსურველთათვის

სათემო განვითარების ცენტრი და პოლონეთის რეგიონული განვითარების სააგენტო, ერთობლივი პროექტის - „სოციალური ეკონომიკა - კახეთის რეგიონის განვითარების შესაძლებლობის“ - ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის თაობაზე კონკურსს აცხადებს.

პროექტის ფარგლებში თელავისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მათი განვითარების ხელშეწყობა მოხდება საწყისი დაფინანსებით.

აპლიკაციების მიღება 30 ივნისამდეა შესაძლებელი. დამატებითი ინფორმაციისთვის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სათემო განვითარების ცენტრის ვებგვერდს: www. Satemo.ge

## „ნატოობა“ – სახალხო დღესასწაული გურჯაანში

სოფელ გურჯაანში, ნატო ვაჩნაძის მუზეუმში სახალხო დღესასწაული „ნატოობა“ აღინიშნა. დღესასწაულს ნატო ვაჩნაძის ვაჟი, რეჟისორი ელდარ შენგელაია, ნატო ვაჩნაძის ძმისშვილი მერაბ ანდრონიკაშვილი და მსახიობი იმედა კახიანი დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში ხალხური სიმღერები შეასრულეს: „ხარებამ“, „გურჯაანმა“ და ბიჭუნათა ანსამბლმა „გურჯაანმა. კახური ფერხული შეასრულა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ცერული 1“-მა.

მუზეუმში უჩვენეს ფილმი ნატო ვაჩნაძის ცხოვრების შესახებ. წელს ნატო ვაჩნაძის დაბადებიდან 112 და გარდაცვალებიდან 63 წელი შესრულდა.




## სოფ. იორმუღანლოში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა სოფელ იორმუღანლოში გახსნეს რიგით 34-ე საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია და მნიშვნელოვნად ზოგავს ადგილობრივთა დროსა და ფინანსებს. სოფლის მოსახლეობას ის ორასზე მეტ სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისს სთავაზობს. საზოგადოებრივ ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. აქვე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა. საზოგადოებრივი ცენტრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლებათ.

გარდა სახელმწიფო სერვისებისა, სოფლის მკვიდრნი საზოგადოებრივ ცენტრში ისარგებლებენ „ლიბერთი ბანკისა“ და „მაგთიკომის“ მომსახურებითაც.

იორმუღანლოს საზოგადოებრივი ცენტრი არა მარტო ამ სოფელში მცხოვრებ ექვს ათასამდე მომხმარებელს მოემსახურება, არამედ მიმდებარე სოფლების - დუზაგრამის, ზემო და ქვემო ლამბალოს, თულარისა და კაზლარის მცხოვრებთაც.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა აღნიშნა, რომ ეს დღე მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რადგან მათ აღარ დასჭირდებათ 35 კილომეტის გავლა ქ. საგარეჯომდე სახელმწიფო სერვისების მისაღებად და ისინი უკვე იორმუღანლოში შეძლებენ საჭირო პროცედურების განხორციელებას.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნას იორმუღანლოში იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

## მესტიის მუნიციპალიტეტში დევნილ და ეკომიგრანტ ოჯახებს ჰუმანიტარული დახმარება გადაეცათ

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილ და ეკომიგრანტ ოჯახებს შეხვდა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

დევნილებსა და ეკომიგრანტებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ჰუმანიტარული ტვირთი (გასაშლელი საწოლები) და კერძო კომპანიისგან სპორტული ფეხსაცმელები გადაეცათ. მინისტრმა ის სახლებიც დაათვალიერა, რომლებსაც სამინისტრო, მონიტორინგის დასრულების შემდგომ, სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის შეისყიდის.

სოზარ სუბარი სოფელ ჭუბერში აფხაზეთიდან დევნილ ცინდელიანების ოჯახსაც ესტუმრა. დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან ურთიერთპარტნიორობის ფარგლებში, სამედიცინო კლინიკა „გორმედმა“ ცინდელიანების ექვსსულიან, სოციალურად დაუცველ ოჯახს ავტოსატრანსპორტო საშუალება გადასცა, რაც მათ შემოსავლის წყაროს გაჩენაშიც დაეხმარება.

მერაბ ცინდელიანი მეუღლესთან ერთად აფხაზეთში ცხოვრობდა, ომის დაწყების შემდგომ კი საცხოვრებლად ჭუბერში გადმოვიდა. აფხაზეთის ომის დროს, კოდორის ხეობით წამოსულ დევნილებს ჭუბერში პირველი სწორედ ცინდელიანების სახლი ხვდებოდათ. მერაბ ცინდელიანმა და მისმა ოჯახმა ასობით დევნილს გაუწიეს დახმარება.

## წნორი–სიღნაღის გზის რეაბილიტაცია

საავტომობილო გზების დეპარტამენტი სიღნაღში ერთ-ერთ დიდ პროექტს ახორციელებს. კერძოდ, სიღნაღიდან წნორის მიმართულებით, ქვაფენილის და 5,6 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოებს „კავკას ავტო მაგისტრალი“ ასრულებს. პროექტი ქვაფენილის

# ძლიერი საქართველოსთვის



ფნორი

განახლებას, მიმღები ჭების, ღია სანიაღვრეების მოწყობასა და გზის მოასფალტებას ითვალისწინებს. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 25 ადამიანია დასაქმებული. პროექტი მაისში დაიწყო და სექტემბერში დასრულდება.

### ფოთში რკინიგზის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ქალაქ ფოთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედნისა და ხიდის ასფალტირების სამუშაოები იმდინარეობს, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „პირამიდა-ფ.რ.-ს“ ფილიალი ახორციელებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 250 ათსი ლარი იხარჯება. სამუშაოები ივლისის თვეში დასრულდება.

### ადიგენი – ინფრასტრუქტურული პროექტები

გზის 3,5-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ სოფლებში: დიდი ზანავი, პატარა ზანავი, ჭულეს მიმართულებით. გზის მოასფალტებასთან ერთად მონტაჟდება გაბიონები და სანიაღვრე არხები. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება და პირველ ეტაპზე სამუშაოების შესრულებას 520 ათასი ლარი მოხმარდება.

გარდა ამისა, სოფლების: ენთელი- ფხერო-ოყა-ოქროს ციხის მიმართულებით, გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ასფალტ-ბეტონის საფარი 3,2-კილომეტრიან მონაკვეთზე იგება, ეწყობა სანიაღვრე ქსელი, წყალგამტარი მილებითა და რკინა-ბეტონის ღარებით. აღნიშნულ სოფლებში ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა და აქაურებს გრუნტის გზით სარგებლობა უწევდათ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით წელს მიმდინარე სამუშაოებს 658 ათასი ლარი მოხმარდება.

### ახალციხე – სოფელ წნისში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დაიწყო

სოფელ წნისში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დაიწყო. ამ ეტაპზე შეიცვალა ამორტიზებული კარ-ფანჯარა. პროექტით გათვალისწინებულია შენობის კაპიტალური შეკეთება და ეზოს კეთილმოწყობა, ოთახებში ლამინირებული პარკეტის დაგება.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით ხორციელდება. საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „პერსპექტივა“ ახორციელებს.

წნისის ბაღი 50 ბავშვზეა გათვლილი, სადაც ორი ჯგუფი იფუნქციონირებს. დაწესებულებაში ადგილობრივები დასაქმდებიან.

### ბორჯომის გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ბორჯომში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურად მიმდინარეობს. კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის პროცესს ადგილზე გაეცნო ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი დიმიტრი ყიფიანი და გამგებლის მოადგილე ვახტანგ ოჩხიკიძე.

გამგებლის განმარტებით, აღნიშნულ ქუჩაზე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, მოხდა ძველი საფარის აფრეზვა, ამ ეტაპზე იგება ასფალტი. საავტომობილო გზაზე ასფალტოვანი საფარის პარალელურად ეწყობა ასევე ქვაფენილი.

კოსტავას ქუჩაზე უკვე დასრულებულია ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია, ამჟამად კი სამუშაოები ტარდება საფეხმავლო ბილიკის გამყოლ კედელზე, რომელიც გრანიტის ფილებით მოპირკეთდება.

ასფალტის დაგების პროცესი დაიწყება 9 აპრილისა და ერეკლეს ქუჩებზე. გამგებლის განმარტებით, აღნიშნული ქუჩები ტურისტულ ზონას განეკუთვნება და მათი კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია. სამუშაოები თვის ბოლოს დასრულდება.



ბორჯომი

### ბოლნისი – აფხაზეთიდან დევნილს სახლი შეუძინეს

ჟუჟუნა ჩხეტიანის ოცნება რეალობად იქცა - დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ქალაქ ბოლნისში, თამარ მეფის ქუჩაზე სახლი შეუძინა. ჩხეტიანების ხუთსულიან ოჯახს მინისტრი სოზარ სუბარი მოადგილე შოთა რეხვიაშვილთან, ქვემო ქართლის გუბერნატორის პირველ მოადგილე კახაბერ გუგეშაშვილთან და მუნიციპალიტეტის გამგებელ გოგი მეშველიანთან ერთად სტუმრობდა. სამინისტრომ მათ 21 ათას ლარად შეუსყიდა საცხოვრებელი ფართი, რომელიც დევნილმა ოჯახმა თავისი სურვილით შეარჩია



ბოლნისი

„თხუთმეტი წელი ამ დღეზე ვოცნებობდი. ძალიან რთული გზა გამოვიარეთ, უსახლკაროდ დარჩენილები სად აღარ ვაფარებდით თავს, შვიდი სახლი გამოვიცვალეთ, დავიღალეთ... ბოლოს გაგვიმართლა - სამინისტრომ სახლი შეგვიძინა. ამ დიდი სიხარულისთვის მინდა მადლობა გადავუხადო მათ, დამიბრუნდნენ შვილები, რომლებიც საზღვარგარეთ ლუკმაპურის საძებნელად იყვნენ წასულები“, - აღნიშნა დიასახლისმა ჟუჟუნა ჩხეტიანმა.

„სოფლად სახლი“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელიც მესამე წელია ხორციელდება. ქვემო ქართლში 146 დევნილს გაუჩნდა სახლი საკარმიდამო ნაკვეთით. მოვინახულეთ ეს ოჯახები, ძალიან გახარებული ვართ, რადგან ყველა ოჯახში მატება დაგვხვდა. ხალხმა გაიხარა და ამოისუნთქა. ძნელია დაგეგმო მომავალი, როცა არ გაქვს თავშესაფარი. ამ პროგრამით კი ისინი იწყობენ საკუთარ ცხოვრებას. პროგრამა გრძელდება და კიდევ არაერთი ოჯახის გახარებას მოვახერხეთ“, - აღნიშნა დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა.

### მარნეულში მცხოვრები დევნილებისთვის სამინისტრომ 50 ბინა შეიძინა

მარნეულის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, რომელმაც მუნიციპალიტეტის გამგებელ მერაბ თოფჩიშვილთან, საკრებულოს თავჯდომარე ნაბი აბდულაევთან, თვითმმართველობის სხვა თანამშრომლებთან და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილესთან კახაბერ გუგეშაშვილთან ერთად მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი ოჯახებისთვის „მენაშენეების პროექტის“ ფარგლებში შესყიდული მშენებარე ბინების მშენებლობის პროცესი დაათვალიერა. დევნილთა და განსახლების სამინისტრომ , შპს „ნოვოსაგან“ 50 ბინა იყიდა. 2016 წელს, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ეს ბინები მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ დევნილ ოჯახებს გადაეცემათ, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ.

### ქობულეთში მცენარეთა ინვენტარიზაცია იწყება

ქობულეთის გამგებელმა სულხან ევგენიძემ და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ქსელის გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორმა რეზო გეთიაშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.



ქობულეთი

ურთიერთშეთანხმება მუნიციპალიტეტში მწვანე საფარის გაუმჯობესებას, მათ ინვენტარიზაციასა და სხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას ისახავს მიზნად. პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქობულეთის, როგორც საკურორტო ქალაქის განვითარებისთვის.

„მწვანე საფარის გაუმჯობესებისა და მცენარეთა ინვენტარიზაციის“ პროექტის განხორციელების მიზნით მოწვეულია ინვენტარიზაციის ექსპერტი, რომელიც გამწვანების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ჩაატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. პროექტის განხორციელება ერთ კვირაში დაიწყება.

შეხვედრას აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს, სატყეო სააგენტოს, ავსტრიის განვითარების სააგენტოს, პროფესიონალთა გაერთიანება „ხის მოვლისათვის საქართველოში“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი პროექტ „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში გაფორმდა. პროექტი ორგანიზაცია „ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის“ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

განიხილეს აგრეთვე ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბეშუმის საკურორტო ტყეების აღდგენისა და მართვის ღონისძიებების პაკეტი, რომელსაც CENN ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად განახორციელებს. კერძოდ, საუბარია, ბეშუმის ტყეებიდან ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი მყარი ნარჩენების გატანისა და საკურორტო ტყეების მართვის გეგმის მომზადების სამუშაოებზე, რომელიც 2016 წელს ჩატარდება.

# სად მიედინება „შავი ფულის“ მდინარე?

1999 წელს „ჭიათურმანგანუმის“ საწესდებო კაპიტალი 111 მილიონი დოლარი იყო და აქციათა 73% სახელმწიფო ფლობდა. მიშა სააკაშვილის დახმარებით ინვესტორის სახით „ჭიათურმანგანუმში“ ჩეხური ფირმა „საგაპრინტი“ შევიდა რომლის საწესდებო კაპიტალი სულ 3000 დოლარი გახლდათ და სამთო ბიზნესშიც არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ. გენერალური დირექტორის პოსტი ფორმალურად ჩეხური ფირმის ხელმძღვანელმა მიჰალ ჰალკომ დაიკავა. დანარჩენ ხელმძღვანელებად კი სააკაშვილის ფინანსური კლანის წევრები დაინიშნენ. ახალმა ფინანსურმა ჯგუფმა პროდუქციის რეალიზაციის და მარკეტინგული სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნა შპს „ჭიათურმანგუნთრენინგი.“ რომლის მიზანიც, ფინანსური მაქინაციების გზით „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრება და ხელში ჩაგდება იყო. სააკაშვილი ამ დროს საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიდა და „ქვეყნის დამაქცევარ“ ოლიგარქებს „უკომპრომისო ბრძოლას“ უცხადებდა. წარმატებით იყენებდა „გალმით შეედავეს“ პრინციპს. მისივე სანათესაოსა თუ ფინანსური კლანის ნამოქმედარის სხვაზე გადაბრალებით გარკვეულ ალიბს უქმნიდა მათ და ლობირებას უწევდა ქართული წარმოების ამ ფლაგმანის წინააღმდეგ განხორციელებულ ანგარებით შეთქმულებას. აღნიშნულ პერიოდში სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად წინააღმდეგი იყო ჭიათურმანგანუმისა და ზესტაფონის ფეროს გაერთიანების, რადგან მის მიერ ლობირებული „საგაპრინტი“ იძულებული გახდებოდა ჭიათურა დაეტოვებინა. სამთო მექანიკის ინსტიტუტის დასკვნის მიხედვით კი, ამ ორი საწარმოს გაერთიანება მრეწველობის გადარჩენის ერთ-ერთი წინაპირობა იქნებოდა. ხელს შეუწყობდა გასაღების ბაზრის პრობლემის გადაჭრას, შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს ევროპის, ამერიკისა და იაპონიის მსხვილი კომპანიებიდან ინვესტიციების მოსაზიდად. ამ ფინანსურ მაქინაციებში „ღრმად“ იყო შეჭრილი დავით ბეჟუაშვილი. “ იტერას“ მეშვეობით რუსული ინვესტიცია შედიოდა „საქგაზში“ ,საიდანაც „საგაპრონტში“ ირიცხებოდა და ინვესტიციის სახით“ „ჭიათურმანგანუმში“ მიედინებოდა. მიზერულ თანხებში მითვისებული მარგანეცის კონცენტრატის გაყიდვით, ამონაგები თანხები საგაპრინტის გავლით ხვდებოდა სააკაშვილის ნათელ-მირონ დავით ბეჟუაშვილთან და აფინანსებდა მაშინდელ მის საარჩევნო კამპანიას და არა მარტო... “ საგაპრინტი“ მიჰალ ჰალკოსთან ერთად შემდგომში მიშას მტრებად იქცნენ... რა ვერ გაიყვეს არ ვიცი, მაგრამ მიშამ ვარდების რევოლუციის შემდგომ ზუსტად იცოდა როგორ გაეყიდა ეროვნული სიმდიდრე და როგორ გაენადგურებინა ქვეყანა თავის ხროვის დახმარებითა და თანადგომით. ვიდრე უკრაინელი მილიარდელი დაეპატრონებოდა,“ ფეროს“ ჭიათურმანგანუმს“ და „ვარციხეჰესს“ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ბიზნესმენ გიორგი კაპანაძის (20014 წლის)ინტერვიუს მოვიშველიებ.

„... თავიდან ბენდუქიძემ დაგვიძახა, რათა ჩვენი წინადადებები განგვეხილა „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზაციასთან დაკავშირებით. იქ კი აღმოჩნდა, რომ პინჩუკის (კუჩმას სიძე) „ინტერპაიპისთვის“ უნდა მიგვეყიდა ფერო 14 მილიონ 800 ათასად, სრულად 96 პროცენტი. ეს ის თანხაა, რაც მისი ყიდვის დროს გადავიხადეთ. იმ დროისთვის კი ამ კომპანიის საბაზრო ღირებულება 60 მილიონი დოლარი იყო. ჩემი პარტნიორის, კოკაიას დამსახურებით ეს საუბარი გადაწყდა ჩვენს სასარგებლოდ. ილიამ იკითხა, რას იხდიდა პინჩუკის კომპანია ისეთს, რასაც ჩვენ ვერ გადავიხდიდით. გვითხრეს, რომ ამ თანხას ჩვენ ვერ შეწვდებოდით. 50 მილიონზე იყო საუბარი. კოკაიამ თქვა,შევძლებთ, პარტნიორი მყავს და მაქვს საშუალება, ეს თანხები მოვიძიოო. ამიტომ, თუ შანსს მოგვცემთ, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას ტენდერშიო. ებენდუქიძე დაგვთანხმდა, თუმცა ამაზე ოქრუაშვილი გადაირია. მართლაც მივიღეთ მონაწილეობა ტენდერში, უზარმაზარ კომპანია „ევრაზჰოლდინგთან“ ერთად. უფრო მეტი თანხები რომ მიეღოთ, აუქციონზე გამოიტანეს“ ვარციხეჰესიც“. საბოლოოდ 132 მილიონად შევიძინეთ ეს ორი ობიექტი. თუმცა, ამის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე ფეროშენადნობის ფასების მკვეთრი ვარდნა დაიწყო. ამიტომ“ ევრაზჰოლდინგმა“ თავი შეიკავა, ვინაიდან 132 მილიონი იმ პერიოდისთვის არარეალური ღირებულება იყო. ეკონომიკის ახალი მინისტრმა ჩოგოვაძე და ბენდუქიძეც, რომელიც მაშინ მრჩეველი იყო სააკაშვილს მოახსენეს, რომ ქართველმა აქციონერებმა შეაშინეს ინვესტორები და გააქციესო. მანაც გადმოყარა დორბლები და დაქუხა – არ დავინახო მათი კავშირის ხსენება ფეროშენადნობ ქარხანასთანო. რა თქმა უნდა, ამ ბრძანების შესასრულებლად ისევ ჩაერთო სახელმწიფო მანქანა და ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა შემატყობინა, რომ ჩვენს საწარმოს თავს უნდა დასხმოდა ფინანსური პოლიცია, ჩვენ კი უნდა ჯირითი. ინფორმაცია კოკაიამ ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან, კახა დამენიასთან გადაამოწმა. მან ცოტა ხანში დაგვირეკა და გვითხრა, – თქვენს ახალ ქარხანას „გახევენო“. შევთავაზე ჩემს პარტნიორებს, საქართველოდან წავსულიყავით. მივაღწიეთ ლონდონამდე, სადაც შევხვდით ჩვენს პარტნიორებს, კომპანია „სტემკორს“ , რომელთა მიმართ 3 მილიონი გვქონდა დავალიანება. ცხადია, ისინი შეშფოთდნენ. ამასობაში კი ფინანსურმა პოლიციამ ერთ კვირაში 40 მილიონი ჯარიმა დაგვარიცხა. ამ თანხის გადასახდელად კანონმდებლობით 40 დღე გვეძლეოდა. მალევე, 2006 წლის იანვარში, დამირეკა ჩემი და კეზერაშვილის საერთო ნაცნობმა და მითხრა, რომ კეზერაშვილს, რომელიც იმ დროს ფინანსურ პოლიციას ხელმძღვანელობდა, ჩემთან უნდოდა შეხვედრა. ეს შეხვედრა შედგა ისრაელში, სასტუმრო „ჰილტონში“. მან განმიცხადა, რომ ის ჩამოსული იყო პრეზიდენტის დავალებით, რათა ჩვენი აქციები კომპანია „დცმ“ -ისთვის გადაგვეფორმებინა. ამ კომპანიას თავის დროზე გივი თარგამაძის უახლოესი მეგობარი, გიგა ბედინეიშვილი შეეკრა. ეს იყო ადამიანი, რომელიც პრივატიზაციის პროცესის დროს ხელისუფლებამ ფინანსურიდოკუმენტაციის მოსაგვარებლად ჩაგვისვა და მან ხელფასის სახით 660 ათასი დოლარი გამოგვძალა. ანუ თვეში 60 ათასს ვუხდიდით. რეალურად მან ყველა ინფორმაცია მიიღო და შემდეგ ეს სათავისოდ გამოიყენა. ჩვენი საქართველოდან წასვლის შემდეგ „სპეცნაზით“ შევიდა საწარმოში და თანამშრომლებს განუცხადა, რომ ამიერიდან ქარხანას „დცმ“ მართავდა.

2006 წლის ზამთრისკენ გამოჩნდა უკრაინული კომპანია, „პრივატგრუპი“. ეს იყო ცნობილი მილიარდერის, კალამოისკის კომპანია. ის დაინტერესდა ჩვენი შეთავაზებით იგივე პირობებით, რაც თავის დროზე გვქონდა „ევრაზჰოლდინგთან“. ოღონდ, რაკი არსებობდა გაურკვეველი დავები, კვიპროსში დაფუძნდა სრულიად ახალი კომპანია, რომელმაც, თავის მხრივ, საქართველოში დააფუძნა შვილობილი კომპანია. გადაწყდა, რომ თანხებს ჩავურიცხავდით ამ შვილობილ კომპანიას, ის კი შეიძენდა ფეროშენადნობი ქარხნისა და „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების მმართველებიდან ამ საწარმოების აქტივებს, ხოლო“ ვარციხჰესიდან“ – აქციებს. მოკლედ, რიგი მიზეზების გამო ქართველების ჯგუფი საქართველოში ბიზნესის განსახორციელებლად მიუღებლები იყვნენ. კუჩმას სიძე იქნებოდა აღნიშნული ჰოლდინგის მფლობელი თუ კალამოისკი არსებითი მნიშვნელობა ალბათ მიშასთვის არ ჰქონდა, მთავარი იყო ქართველები უცხოელების მონებად ეხილა. (რა დაამთავრა ასეთი აშშ-ში?) ვინ ურჩია კალამოისკის უცნობია, მაგრამ დნეპროპეტროვსკის მეტალურგებისგან განსხვავებით მნიშვნელოვნად მიზერული თანხები დაუნიშნა მუშებს. ჭიათურაშიც და ზესტაფონშიც, რამაც არაერთგზის მათი სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაც უცხოელებისთვის გასული საუკუნიდან მოყოლებული თანმდევი პროცესია. ჭიათურაში ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის საბაგირო, რომლითაც დღემდე გადაადგილდებიან როგორც მაღაროს თანამშრომლები ასევე მოსახლეობაც. არაერთხელ მიმართეს თხოვნით „ჯორჯიან მანგანეზის“ ხელმძღვანელობას შეეკეთებიათ ან უკეთეს ვარიანტში შეეცვალათ საბაგირო ხაზის ინფრასტრუქტრა, მაგრამ დაპირების მეტი ვერაფერი მიიღეს ჭიათურელებმა. ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მალხაზ წერეთელმა 2014 წელს განაცხადა, რომ საქართველოში გარემოს 327,5 მილიონი ლარის ზარალი მიადგა, აქედან 324 მილიონი ანუ ზიანის 98% მხოლოდ ჭიათურის მუნიციპალიტეტზე მოდის. მისი თქმით, მას შემდეგ რაც გარემოს ზედამხედველობის სამსახურმა 2013 წლის 15 ივნისს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული ზარალი 2 790000 ლარად შეაფასა, საქმე პროკურატურას გადაეცა,თუმცა საქმე გამოძიებული დღემდე არ არის. “ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მოსწრებაზე არიან და ცდილობენ, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების და კანონის დარღვევით, რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე გაიტანონ“ ვფიქრობ, მალხაზ წერეთლის აღნიშნულ მოსაზრებას ყველა ჭიათურელი ეთანხმება... არანაკლები პრობლემაა ის, რომ კომპანია ნიადაგის აღდგენაზე თანხას ზოგავს. კომპანია ვალდებულია, მადნის ამოღების შემდეგ ტერიტორია მოასწოროს და იქ ხეები დარგოს. ეს არის ნიადაგის რეკულტივაცია — აღდგენა და ის საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია. მიუხედავად სირთულისა და სიძვირისა, საბჭოთა პერიოდში ამ საქმეს მაინც აკეთებდნენ.

კომპანია, მადნეულის მოპოვების წესს თანხის დაზოგვის მიზნით არღვევს: რა ტექნოლოგიური წესების დაცვით უნდა ხდებოდეს წიაღისეული საბადოს დამუშავება, ეს ყველამ იცის, მაგრამ ამ წესების დაცვა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ფულის ხარჯვას ყველა გაურბის.

„წლების წინ „ჭიათურმარგანეცი“ მარგანეცის გაცილებით დიდ რაოდენობას მოიპოვებდა, მაგრამ მაშინ მოპოვებული მადნის გადაზიდვა ძირითადად საბაგირო გზით ხდებოდა. „ჯორჯიან მანგანეზში“ აცხადებენ, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათ ქალაქის გზით სარგებლობა არ სჭირდებათ. არსებობს შემოვლითი გზა. კეთილი ინებონ, შეაკეთონ ეს გზა და მოპოვებული წიაღისეული მისი მეშვეობით ადგილობრივების განცხადებით, მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო მოსახლეობა რაიონს ტოვებს. ჭიათურის მუნიციპალიტეტში 64 სოფელი ირიცხება, მაგრამ მათი უმრავლესობა უკვე სანახევროდ დაცლილია. მაღაროს მუშებს მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა, ანაზღაურება კი მიზერული აქვთ. ხშირია საწარმოო ტრამვის შემთხვევებიც. ათიოდე დღის წინ პირადად გახლდით ჭიათურაში და ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, მაღაროებთან ახლოს მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. საშინელი გზების გამო რთულია გადაადგილება. საცხოვრებელი კორპუსები საჰაერო დაბომბვის შემდგომ შთაბეჭდილებას ტოვებენ. 21 საუკუნეში არა აქვთ გაზი და ზამთარში კორპუსის ტიპის ბინას შეშით ათბობენ. წყალიც კი დაბინძურებულია.

**„ჯორჯიან ემერიქენ ელოის“** – მსხვილი ჰოლდინგია, რომელიც აერთიანებს „ჯორჯიან მანგანეზს“ ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურსა და კლინიკა ფერომედს. კომპანიის სათაო ოფისი შეერთებულ შტატებში, მაიამიში მდებარეობს. კალამოისკის „პრივატგრუპი“ სამიოდე წლის წინ აღნიშნულმა ჰოლდინგმა ჩაანაცვლა, თუმცა კალამოისკის თანამემამულეები და თანამოაზრეები დღემდე აგრძელებენ წამყვან თანამდებობებზე მოღვაწეობას. ძველ მეგობარ სააკაშვილთან დაძაბული







ურთიერთობა, რომ აქვს კალამოისკის „ვიკილიქსის“ ჩანაწერებიდანაც მკაფიოდ ჩანს. ჭიათურაში და ზესტაფონში მაღაროში თუ ფეროში მომსახურეები პირდაპირ აცხადებენ, რომ კალამოისკის ხალხი, რომლებიც ძირითადად დნეპროპეტროვსკში მცხოვრები, ებრაელები არიან არსად წასულან, ძველ გუნდს უკრაინელების ახალი გუნდიც დაემატა 2012 წელს გენერალური დირექტორის ადგილი“ ჯორჯიან მანგანეზში“ ვოლოდიმირ „ველველ“ ლოზინსკმა დაიკავა, კონსტანტინე დემიანენკო საქართველოს განყოფილების კომერციული დირექტორის პოზიციაზეა. ვასილ გერეგა - ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორია...

ზესტაფონის ფეროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა რომელიც ათეული წლებია იქ მუშაობს, გულისტკივილით მიამბო, რომ მუშები გაუსაძლის პირობებში არიან ბანკის ვალების გამო უწევთ შეეგუონ იმ კაბალურ პირობებს რომელიც ფეროშენადნობთა ქარხანაში სუფევს. აღნიშნული დაადასტურა არაერთმა მუშამ, ჩემთან პრივატულ საუბარში. ქარხანაში ყველგან ვიდეოთვალია და წუთით სკამზე ჩამოჯდომის გამო, შეუძლიათ სამსახურიდან გაგათავისუფლონ. ავტობუსები რომლებიც მუშებს ემსახურება თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის. არაერთგზის, მუშების საპროტესტო გამოსვლების მიუხედავად, არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც ქარხნის ხელმძღვანელობა მათ დაემუქრა, რომ ყველას გაათავისუფლებდნენ. უკრაინელმა ხელმძღვანელობამ, ვფიქრობ კარგად იცის როგორი ხელფასები აქვთ მათ ქვეყანაში მაღაროში მომუშავე თუ ღუმელთან მდგარ მუშებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მათი მიზანი თანამშრომლების მინიმუმამდე დაყვანაა,“ წყარომ“ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა- ფერო ამჟამად მხოლოდ სილიკო- მარგანეცს აწარმოებს, კომუნისტების პერიოდში ნედლეული მხოლოდ ჭიათურიდან შემოდიოდა, ეხლა აფრიკიდან შემოდის რადგან ჭიათურის მარგანეცს უკვე ძალიან დაბალი მანგანუმის შემცველობა აქვს! 2006 წელში ახალმა მეპატრონეებმა, ფეროს ქარხნის პირველი და მეოთხე საამქრო ჩაიბარეს მეხუთე საამქრო 75 მეგავატიანი ორი ღუმელი კი დაანგრიეს და გაანადგურეს. ივლისში, წყაროს ინფორმაციით დიდი შანსია, მხოლოდ ერთმა ან ორმა ღუმელმა იმუშაოს მეოთხე საამქროში პირველში სამმა. აღნიშნული ფაქტიც მუშების უკმაყოფილებას გამოიწვევს, რადგან უხელფასო შვებულებაში მოუწევთ იძულებით გასვლა. საგულისხმოა ის ფაქტიც რომ ჰოლდინგს, ვარციხე ჰესიდან მიწოდებული ელექტრო ენერგია, კილოვატი საათი ერთი თეთრი უჯდება. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოელებს ხელშეკრულების პირობების დარღვევასაც პატიობენ, ბუნებრივი რესურსების განადგურებასაც და მოქალაქეების უფლების აყრასაც.



ვოლოდიმირ ლოზინსკი



კონსტანტინ დემიანენკო

მიშა სააკაშვილი საქართველოს შემდეგ, უკრაინის განადგურებითაა დაკავებული. მასზე გამწარებული უკრაინელები, რომლებსაც სავარაუდოდ არცთუ კანონიერად, სახელმწიფოს და ხალხის კუთვნილი ქონება მიშამ, მიზერულ თანხაში „დაუთმო“ ,არც ქართველ ხალხს უწევენ ანგარიშს და არც მათ ქვეყანას. საინტერესოა რა გეგმები აქვთ მიშას და ოლიგარქი უკრაინელების უკან მდგომ „უფროს ძმებს. “ რატომ ცდილობენ შეამცირონ თანამშრომლები, რატომ არ ასრულებენ ხელშეკრულებით დადებულ ვალდებულებებს!, სად მიდის ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიურად დაბინძურების და მუშახელის ფიზიკურად თუ მორალურად განადგურების ხარჯზე მოხვეჭილი მილიონები. რამდენი ათეული წელი დასჭირდება საქართველოს სააკაშვილის განიავებულ-გაპარტახებული ქვეყანა ფეხზე დააყენოს და მის მიერ შეგნებულად დაშვებული შეცდომები, მცირედით მაინც გამოასწოროს...

**ქეთევან ზარნაძე**

599 52 60 30

მკითხველის ფოსტა

# ქარიშხლისა და შეტევის სტუდენტობა

აი, ის ორი კითხვა, რომელიც საზოგადოებას აღელვებს: საქართველოში განათლება და მეცნიერება მკვდარია? შესაბამისი სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და კომკავშირის მემკვიდრე სტუდენტური თვითმმართველობისადმი სიბრალულმა მოჰკლა ისინი? ამისდა კვალად, ნომოთეტურად მოაზროვნე „აუდიტორია-115“-ის სტუდენტთა პრობლემები ხდება მათი ქმედებების განმსაზღვრელი, ხოლო უპრინციპო ჩინოვნიკთა ქვეშქვეშობა ვერ შეზღუდავს წამოყენებულ მოთხოვნებს. ადმინისტრაციის ბიუროკრატიული შეფერილობის მსოფლაღქმა საამდღეო განათლებისა და მეცნიერების უღრმესი კრიზისის გამოხატულებაა.

ქვეყნის მავან უმაღლეს სასწავლებლებს თუ შევუდარებთ ერთმანეთს, დავინახავთ ვითარებას, რასაც ცენტრიდან რეგიონისკენ, ან პირიქით, რეგიონიდან ცენტრისკენ მიმავალი პროცესი შეიძლება ეწოდოს.

არიან პედაგოგები, რომლებიც თავიანთ ყოფიერებას აკავშირებენ მხოლოდ ვერცხლის მოყვარე წარსულთან. საკუთარი ყოფიერება ვერც მომავალში გადააქვთ იმიტომ, რომ არასოდეს უცხოვრიათ სრულფასოვანთან მიახლოებული სულისკვეთებით.

სამინისტრო დაპირისპირებულ მხარეებს ვერ არიგებს. სტუდენტობისა და ბიუროკრატიის მწვავე ურთიერთმიმართება არ არის ახალი ამბავი საუნივერსიტეტო სივრცეში. მათი ურთიერთმოწყვეტა მოასწავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სამინისტროს მაღალჩინოსანთა თანამდებობრივ დევალვირებულობას. რეტროგრადებისგან განსხვავებით, რომელთა „ეთიკური არჩევანი“ მოხვეჭა-გამორჩენაზე ჩერდება, სიამეთა მოყვარული კვაზიპროფესორებისგან გაყვლეფილი სტუდენტების ერთ-ერთი ამოცანა არსებობის საზრისის ძიებაა, მაგრამ დღეს ეს ძველთაძველი პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა იმის გამო, რომ მოთმინება ყოველთვის არ არის სამოთხის გასაღები.

იმორალიზმის წყარო უცხოეთის კულტურის სნობისტური თაყვანისცემაა. პატრიოტულ ძალებდაშრეტილ, ინტეგრირებულ ჩინოვნიკებში საგანმანათლებლო ნება ინიღბება, „სუბლიმირდება“ და იგი ცრუ ფასეულობების მაფეძნებელი ხდება. ნამდვილი მეცნიერი კი საზღვარგარეთის „მეტაფიზიკის“ ნიჰილისტური არსის დაძლევა-გადალახვას ცდილობს.

ისევე, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ვერც სამინისტრომ შესძლო განათლება-მეცნიერებაში არსებული კრიტიკული მდგომარეობის დასაძლევად რაიმე ქმედითი ღონისძიების მიღება (აქ არ იგულისხმება ჰიპოთეტური ტექნოლოგიური ინსტიტუტი). ამ ზონზე სრულებითაც არაა შემთხვევითი სტუდენტთა პრეტენზიები.

ქართული მეცნიერება ყოველთვის არ ყოფილა დაკნინებული. ის მუდამ ახდენდა ძველ ღირებულებათა გადაფასებას და ახალთა დაფუძნებას. მაგრამ არასოდეს, არც ერთ პერიოდში, დღემდე, მეცნიერი არ ყოფილა მოკლებული თავის მიზანმიმართულებას. მხოლოდ დღევანდელი განათლებისა და მეცნიერებისთვისაა ნიშანდობლივი ამგვარი აქსიოლოგიური სიბერწე. ამის მიზეზია ღირებულებათა წყაროს დაშრობის ტენდენცია. აუცილებელია, ამ საშიშროების გადალახვა თავად საგანმანათლებლო-სამეცნიერო პრობლემების თვისებრივი გარდაქმნა-მეტამორფოზის გზით. უნდა მოინახოს გარდაქმნისთვის საჭირო რესურსები. არანაკლებ მნიშვნელობას იძენს პოზიტიური ცოდნის საფეხურზე



ზოგადადმინისტრაციული ცნობიერების ამაღლების საკითხი. შესაბამისად, მეცნიერი იმოქმედებს საკუთარი არჩევანისა და გადაწყვეტილებების მიხედვით, ტექნიკური პერსონალის დიქტატის გარეშე. დაუშვებელია სწავლულის „გასაგნება“, „განივთება“. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერის მოწოდება, დანიშნულება უნდა შეესატყვისებოდეს ქვეყნისა და საზოგადოების ფუნდამენტურ ინტერესს.

ერთი სიტყვით, დეკადანსი დაღმავალი სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის სენია. პრაქტიკული გარემოს შინაარსიდან გამომდინარე, კრიზისი ნიადაგს ამზადებს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემის ახალი, უფრო სრული და ნამდვილი სახით გამოვლენისთვის.

**ნუგზარ გულორდავა,**
ფილოლოგიის
მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი
555 672 818

# სოფი ლორენი საქართველოს ეწვია



დღეს, გამთენიისას, თბილისში იტალიელი კინოვარსკვლავი სოფი ლორენი ჩამოვიდა. მსახიობი თბილისს საოპერო მომღერალ ნინო სურგულაძის მოწვევით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, სოფი ლორენი საქართველოს პრემიერ-მინსიტრსა და კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდება, ხოლო 15 ივნისს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საპატიო სტუმრის რანგში მსოფლიო პრემიერას დაესწრება, რომელიც ნინო სურგულაძის ფონდის „ნატვრის ხის“ ორგანიზებით გაიმართება და საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

საპრემიერო დღეები 15, 17 და 19 ივნისს არის ჩანიშნული. სპექტაკლი 21:00 საათზე დაიწყება.

# ჭრელი გვერდი



## მსოფლიოში მოქმედი ყველაზე ძველი სკოლა 2000 წელზე მეტი ხნისაა

მსოფლიოს უძველესი საშუალო სკოლა ჩვ. წ. აღ-მდე 142 წელს გაიხსნა სეჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენდუში, ჩინეთში.

ეს სკოლა პირველი იყო, სადაც უბრალო ადამიანების – გლეხების და ხელოსნების შვილები სწავლობდნენ. აქ ისწავლებოდა ჩინური ენა, დამწერლობა და სხვა დისციპლინები. სკოლას „შიში" ეწოდება, რაც ჩინურ ენაზე „ქვის სახლს" ნიშნავს. ეს სახელწოდება სკოლას იმის გამო დაერქვა, რომ ის ქვით არის ნაშენი.

ამჟამად სკოლა ჩინეთის 100 საუკეთესო საშუალო სკოლას შორის არის დასახელებული. ბევრი ბავშვისთვის აქ მოხვედრა უნივერსიტეტში ჩაბარების ტოლფასია. ასეც უნდა იყოს, სკოლა ხომ 2155 წლისაა!

## მატარებლის უდიდესი ძარცვა

1963 წელს, ბრიტანეთში ბანდიტებმა გაძარცვეს საფოსტო მატარებელი, რომელსაც ფული გადაჰქონდა. ბანდიტების ხელში აღმოჩნდა თანხა, რომელიც დღეისათვის 46 მლნ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

მძარცველთა ჯგუფი 17 კაცისგან შედგებოდა და თავდასხმას დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა. ძარცვა ლონდონიდან გლაზგოს მიმართულებით მოძრავ საფოსტო ექსპრესზე განხორციელდა. მატარებლის გასაჩერებლად ბანდიტებმა სემაფორი გამოიყენეს, მატარებლის გაჩერების შემდეგ მემანქანე გათიშეს და შემადგენლობა სარკინიგზო ხიდზე გადაიყვანეს.

ძარცვის მსვლელობისას ფოსტის თანამშრომლებს ბანდიტებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. „ოპერაციამ" მატარებლის გაჩერებიდან სატვირთო მანქანის ძარაზე ფულის ბოლო ტომრის დადებამდე ნახევარ საათს გასტანა. მძარცველებმა წაიღეს 128 ტომარა ფული საერთო წონით 2, 5 ტ.

ბოროტმოქმედები რამდენიმე ხნის განმავლობაში ბუკინგემშირში, ფერმაში აფარებდნენ თავს, მერე კი ნაძარცვი გაიყვეს და ყველა თავისი გზით წავიდა. თითოეულ ბანდიტს 150 000 გირვანქა სტერლინგი (დღევანდელი ეკვივალენტით 2, 7 მლნ გირვანქა) შეხვდა. ბანდიტური დაჯგუფების ბევრი წევრი მოგვიანებით პოლიციამ დააპატიმრა და თითოეულ მათგანს 25-30 წელი პატიმრობა მიესაჯა. მხოლოდ ბანდის ორგანიზატორი გადაურჩა დაპატიმრებას.

მოპარული ფულის კვალს კი ვერ მიაგნეს...



## ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში 68% ალბათობით უფრო მაღალი კანდიდატი იმარჯვებს

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები საპასუხისმგებლო საქმეა. ამომრჩევლები ეცნობიან წინასაარჩევნო პროგრამებს, აფასებენ, რომელ კანდიდატს უფრო კარგად უჭირავს თავი საზოგადოების წინაშე და როგორ ეპაექრება ოპონენტებს.

მაგრამ, უცნაურია, რომ 1928 წლიდან მოყოლებული, ამერიკის პრეზიდენტი ხდება არა უფრო პრაგმატული ან დემოკრატიული კანდიდატი, არამედ... უფრო მაღალი.

რომ შევადაროთ ბოლო 22 საარჩევნო კამპანიის დროს ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატების სიმაღლე, საინტერესო განსხვავებას შევამჩნევთ. 22-დან 15 შემთხვევაში გამარჯვება უფრო მაღალმა კანდიდატმა მოიპოვა. ბოლო 85 წლის განმავლობაში უფრო დაბალმა კანდიდატმა მხოლოდ 5-ჯერ გაიმარჯვა, ორ შემთხვევაში კი დემოკრატებისა და რესპუბლიკელების კანდიდატების თანაბარი სიმაღლის იყვნენ.

ამგვარად, უფრო მაღალი კანდიდატის გამარჯვების შანსი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში 68 პროცენტს შეადგენს.

## როგორ ებრძოდა შვედეთის მეფე ყავას

შვეციაში ყავა 1674 წელს შეიტანეს, მაგრამ ეს სასმელი ქვეყანაში მხოლოდ მე-18 საუკუნეში გავრცელდა, რადგან ყავის პოპულარობა აშფოთებდა შვეციის მეფეს და მისი დალევა აკრძალა. მეფის ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამნაშავეს დიდი ფულადი ჯარიმა და ყავის ჭურჭლის ჩამორთმევა ელოდა.

შვედები ჯიუტი ხალხია და ისინი მაინც აგრძელებდნენ ყავის სმას. მეფე გუსტავ III გადაწყვიტა, ხელქვეითებისთვის ეჩვენებინა, რა ზიანის მოტანა შეეძლო ყავას. მან ორ სიკვდილმისჯილს სასჯელის ზომა შეუცვალა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა და ერთ მათგანს დღეში სამი ფინჯანი ჩაის, ხოლო მეორეს ამდენივე ყავის დალევა დააკისრა. მათზე ყოველდღიური ზედამხედველობა ექიმს უნდა განეხორციელებინა.

ექსპერიმენტების შედეგების შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ პატიმრებმა მეფე გუსტავ III-ზე (რომელიც შეთქმულებმა მოკლეს) და ექიმზე დიდხანს იცოცხლეს და პირველად ის პატიმარი გარდაიცვალა, რომელიც ჩაის სვამდა. მისი ასაკი 83 წელი იყო.

შვეციაში ყავაზე აკრძალვა კიდევ 28 წელი გაგრძელდა. ამჟამად კი ეს ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე ყავის გამოყენების ლიდერია მსოფლიოში.

## ადამიანი, რომელსაც 77 წელი ერთი როლს-როისი ჰყავდა

ალენ სვიფტმა ეს როლს-როისი 1929 წელს შეიძინა, უცვლელად ჰყავდა ეს მანქანა 77 წლის განმავლობაში და არც აპირებდა მის გამოცვლას.

ალენი ერთადერთი ადამიანი გახლდათ, ვინც ყველაზე დიდხანს ფლობდა როლს-როისის ავტომანქანას. კომპანიამ სვიფტი საპატიო ბროლის ნიშნით „ექსტაზის სულით" დააჯილდოვა. ეს გახლავთ ქანდაკი, რომელიც როლს-როისის კაპოტზე მაგრდება.



როდესაც სვიფტი 99 წლის გახდა, მან თავისი ავტომანქანა სპრინგფილდის მუზეუმს გადასცა (XX-ის 20-იან წლებში სწორედ სპრინგფილდში იყო განლაგებული როლს-როისის ამწყობი ქარხანა), დამატებით გადასცა ერთი მლნ დოლარი როლს-როისისა და სხვა ძველებური მანქანების ექსპოზიციის მოსაწყობად.

ალენ სვიფტი 2005 წელს 102 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## მეტეოსადგური „კურტი"

1943 წელს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ნიუფაუნდლენდში (აშშ) დააყენა ავტომატური მეტეოსადგური „კურტი". მისი აღმოჩენა ამერიკელებმამხოლოდ 1977 წელს შეძლეს.

მსოფლიოში ამინდის მონაცემების შესაკრებად გერმანიის ჯარებმა ავტომატური მეტეოსადგურები განათავსეს. 26 მათგანი კომპანია „სიმენსმა" დააყენა.

ამ სადგურებს წყალქვეშა ნავებიდან აყენებდნენ.

გერმანელებმა 14 სადგური განათავსეს არქტიკაში, გრენლანდიასა და შპიცბერგენზე, 5 – ბარენცის ზღვაში, 2 კი აშშ-ის ტერიტორიაზე განსათავსებლად იყო განკუთვნილი.

1943 წლის 22 ოქტომბერს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა U-537-მა ნიუფაუნდლენდის ნაპირებთან კუნძულზე დააყენა ავტომატური მეტეოსადგურები.

კვალის მოსპობის მიზნით სადგურის მოწყობილობებზე ეწერა: „კანადის მეტეოროლოგიური სააგენტო", ხოლო კვალის არევის მიზნით, გარშემო ამერიკული სიგარეტების ყუთები იყო მიმობნეული.

სადგური „კურტი" 1977 წელს აღმოაჩინეს. რას წარმოადგენდა აღმოჩენილი მოწყობილობა, ამის დადგენაში „სიმენსის" ინჟინერი დაეხმარათ, რომელსაც წაკითხული ჰქონდა კურტ ზომერმაიერის მოგონებები ნიუფაუნდლენდში სადგურის განთავსების შესახებ, რომელსაც მის პატივსაცემად უწოდეს ეს სახელი. მეტეოსადგური „კურტი" ამჟამად ოტავის მუზეუმშია გადატანილი.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22






# „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული „ნაციონალები“

„ნაცმოძრაობის“ წევრების პორტირება „ქართულ ოცნებაში“ ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე დაიწყო. დღეს ამის თქმის საფუძველს განვლილი 4 წელი გვაძლევს. სხვას ვერაფერს იფიქრებ ადამიანი, რადგან კოალიციაში შემავალმა ზოგიერთმა პარტიამ იმთავითვე გააჩინა ეჭვები, რომ ისინი ნაცებთან მჭიდრო, ძმურ ურთიერთობაში იყვნენ. სამაგალითოდ გავიხსენოთ თუნდაც „რესპუბლიკელი“ პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის სიტყვები, როდესაც განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა შევინარჩუნოთო.

სხვა გასახსენებელი გამონათქვამებიც, იცოცხლეთ, ბევრი გვაქვს, მაგრამ ახლა ამით თავს არ შეგაწყენთ. ფაქტი ერთია, რომ არჩევნებიდან უკვე სამ თვეში ნაცები, მათი ბელადის, შლეგი სააკაშვილის მეთაურობით, შეეცადნენ პროვოკაციის მოწყობას...

2012 წლის არჩევნების შემდეგ სხვადასხვა საკვანძო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისინი, ვინც ერთ დროს ნაცების გულმხურვალე მხარდამჭერები იყვნენ და სააკაშვილის პორტრეტებით დარბოდნენ. ადგილებს სწორედ „თავისუფალი დემოკრატების“ და „რესპუბლიკელების“ მაღალჩინოსნები ანაწილებდნენ. ხალხი, რომელიც აქტიურად ებრძოდა ყოფილ რეჟიმს, საქმის კეთებაც იცოდა და შეეძლო, ჩამოიცილეს, საერთოდაც უმოქმედოდ დატოვეს.

„ქართულ ოცნებაში“ ნაცების პორტირება, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ. ნაცების კოორდინატორებზე ბევრი თქმულა, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც სკოლაში მასწავლებლად დღემდე მუშაობს, იმ დასაჭერ-დასაპატიმრებელთა სიას ადგენდა, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღდეგნი იყვნენ. ამბავი შეიძლება არც გახმაურებულიყო, ერთ-ერთ პოლიციელს აღნიშნული ნუსხა თავად ერთი „დასაჭერისთვის“ პირადად რომ არ ეჩვენებინა. ნაცების აღნიშნული უერთგულესი კოორდინატორი ქალბატონი ლ. ფ. პარტია „ქართული ოცნების“ წევრი გამხდარა! საინტერესოა, ვისი რეკომენდაციით ან რომელი გზით მოხვდა ადამიანი პარტიაში, რომელსაც, პირდაპირი მნიშვნელობით, ხმალამოღებული ებრძოდა.

„ნაცმოძრაობის“ წევრებმა კარგად უწყიან, რომ არჩევნებით არათუ ქვეყნის სათავეში, ვერ მოვლენ, არამედ, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ ვერ გადალახონ ბარიერი. ამიტომაც შექმნეს ბოლო პერიოდში თავიანთი შვილობილი პარტიები. ამის გარდა, მიმართეს ასეთ ვირ-ეშმაკობას – როგორმე ჩანერგონ „ქართულ ოცნებაში“ თავიანთი მხარდანჭერები, რათა შიგნიდან მოუწყონ არეულობა. თუმცა აქვე სათქმელია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ჯერ კიდევ ბევრია მათი მხარდამჭერი, რომლებიც უპრობლემოდ შეასრულებენ ნაცების ნებისმიერ დავალებას.

პორტირება ერთია, მაგრამ არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს ზოგიერთი ე. წ. არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია, რომლებიც მოიაზრებიან „ნაცმოძრაობასთან“. მათ შორის არიან ედპ, „ახალი მემარჯვენეები“, „ლეიბორისტები“... მათი და ნაცების განცხადებები ტყუპებივით ჰგავს ერთმანეთს.

არაფერს ვამბობთ საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობაზე, რომლებიც პირდაპირ იგივდებიან „ნაცმოძრაობასთან“. ელენე ხოშტარიაც არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენდა, ნაცებს აკრიტიკებდა და ვითომ ებრძოდა, მაგრამ მათი პარტიის საარჩევნო სიაში მოგვევლინა. ვფიქრობთ, მრავლისმთქმელი ფაქტია.

სულო ცოდვილო და, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტიც დღევანდელი ხელისუფლების ფაქტობრივი ოპოზიციონერია. თუ გადავხედავთ მის გარემოცვას, დავინახავთ, რომელი ხალხი შემოიკრიბა გარშემო. ძირითადად ისინი, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, სიმპათიით არიან ყოფილი რეჟიმის მიმართ განწყობილი. დიახ, მარგველაშვილმა გააგრძელა სააკაშვილის გზა, რომელმაც 2012 წელს განაცხადა, რომ იგი ოპოზიციონერი პრეზიდენტი იქნებოდა. გამოდის, რომ დღევანდელი ჩვენი პრეზიდენტიც, რომელიც თავისი მდიდარი სექსუალური ცხოვრებით გვეტრაბახება, პორტირებული ყოფილა!

პორტირებული ჩინოვნიკების და სულგაყიდული პოლიტიკოსების, იგივე „პოლიტტუტკების“ ერთადერთი მიზანია, როგორმე დაიკავონ თბილი სავარძლები. ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყნის ბედ-იღბალი ასეთ ხალხს სულაც არ აინტერესებთ, პირიქით, ცდილობენ, როგორმე აამღვრიონ წყალი შინ თუ გარეთ. ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელმა გაკვირვებულმა თქვა, პირველად ვხედავ, პოლიტიკოსები საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებდნენო. სადაც უცხოელ ადამიანს უკვირს ჩვენებურების ქცევა, ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას, რაღა გვესმის. ყოველივე ამას კი საბოტაჟი ჰქვია, საბოტაჟი ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთისთვის ცნებები სამშობლო, პატრიოტიზმი მიუღებელია. ასეთი კატეგორიის ადამიანებისთვის არაფერს წარმოადგენს, ზიანი მიაყენონ ქვეყანას, ოღონდ თავად იყვნენ დალხინებული. ამიტომას ისევ და ისევ ქართველმა ხალხმა, საზოგადოებამ უნდა თქვას თავისი სიტყვა და იზრუნოს ჩვენი სამშობლოს გადარჩენაზე. აქვე სათქმელია, რომ მართლაც მძიმე ბრძოლა გველის, რათა ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე ქვეყნის დანგრევისა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.**: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**– არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?**

– დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484– მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე–2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე–3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

**– განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?**

– დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობობს ორი პირობა: 1/ ორივენი თანახმა უნდა ოყოთ განქორწინებაზე და 2./ არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

* * *

**– სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ვინ უნდა აღასრულოს ანდერძი?**

– ანდერძის აღსრულების მოვალეობა, ჩვეულებრივ, ანდერძით მემკვიდრეებს ეკისრებათ, რომლებსაც შეუძლიათ ანდერძი ან ერთად აღასრულონ, ან მისი აღსრულება ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს მიანდონ. თუმცა, შესაძლოა, ანდერძში მითითებული იყოს სხვა პირიც /ან პირები/ანდერძის აღმსრულებლად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ამ პირმა ანდერძზე ან მასზე დართულ განცხადებაში წერილობით გამოხატოს თანხმობა. გარდა ამისა, ანდერძის აღმსრულებელს, შეუძლია, ნებისმიერ დროს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე, რის შესახებაც წინასწარ უნდა გააფრთხილოს მემკვიდრეები.

შესაძლოა, ასევე, ანდერძით განისაზღვროს ცალკე მესამე პირი, რომელსაც დაევალება ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა და მემკვიდრეთათვის აღნიშნულის შეტყობინება.

* * *

**– გააჩნია თუ არა სამოქალაქო კანონს უკუქცევითი ძალა?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

* * *

**– როდიდან შედის ძალაში სამოქალაქო კანონი?**

– მთლიანად მოგაწოდებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის შინაარსს, რომელიც ამომწურავად პასუხობს თქვენს შეკითხვას:

მუხლი 3.სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში

1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

# მსოფლიოში ყველაზე ცნობილი იარაღები

„მე მჯერა, რომ მას, ვინც ცეცხლსასროლი იარაღი გამოიგონა, ახლა ჯოჯოხეთში ეზღვება თავისი სატანისტური გამოგონების გამო, რადგან მისი წყალობით უნამუსო მშიშარა ადამიანს შეუძლია სიცოცხლე წაართვას კეთილშობილ კაბალიეროს“.

**მიგელ დე სერვანტეს საავედრა.**

## შულერის იარაღი

როცა იარაღის მწარმოებელი ფაბრიკის მეპატრონემ ჰენრი დერინჯერმა გადაწყვიტა, მძიმეწონიანი მუშკეტების გარდა ძალიან პატარა ჯიბის პისტოლეტები ეწარმოებინა, ვერავინ იფიქრებდა, რომ სწორედ ეს იარაღი მოუტანდა მას მსოფლიო აღიარებას.

ლოგიკა უბრალო იყო. ველურ დასავლეთს ამაოდ როდი ეწოდებოდა „ველური“, სწორედ ამიტომ ნებისმიერ ჯენტლმენს იარაღი მუდამ თან უნდა ჰქონოდა. ქალებისთვისაც როდი იყო იარაღი ზედმეტი. მერე რა, რომ ჯიბის პისტოლეტს მხოლოდ ერთი გასროლის განხორციელება შეეძლო, სწორედ ეს ერთი გასროლა ხშირად სიცოცხლეს უნარჩუნებს მის პატრონს. დიდი ზომის რევოლვერის ტარება ყოველთვის მოსახერხებელი როდია და თან გამომწვევად გამოიყურება. პატარა, შეუმჩნეველი, მაგრამ სასიკვდილო იარაღი კი ზედმეტი არასოდეს არის.

სწორედ ამგვარად, 1830 წელს, ამერიკაში დღის სინათლეზე გამოჩნდა პისტოლეტი სახელწოდებით „ფილადელფია დერინჯერი“ და მაშინვე მოიპოვა უდიდესი პოპულარობა. „დერინჯერს“ ყიდულობდა ყველა: შულერები, ბანკირები, ბიზნესმენები და პროსტიტუტკები. დახვეწილი პისტოლეტი, კაკლის ხისგან დამზადებული პოლირებული ტარით მოდურ საჩუქრად იქცა. მას ატარებდნენ პიჯაკის ჯიბეში, ქუდის სარჩულის ქვეშ, ჩექმაში, ქამარში გარჭობილს ან ქალის წინდის წვივსაკრავშიც კი.


ფილადელფია დერინჯერი

დერინჯერი მიხვდა, რომ ოქროს საბადოს მიაგნო და დაიწყო ნაკრების გამოშვება, რომელშიც ორი პისტოლეტი და მათი მოვლისთვის საჭირო ნივთები იდო.

მსოფლიო სახელი კი ამ იარაღმა 1865 წლის 14 აპრილს მოიპოვა, როცა სწორედ „ფილადელფია დერინჯერიდან“ გასროლით მსახიობმა ჯონ ბუტმა ამერიკის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი მოკლა თეატრში.

## ბრაუნინგი რეფორმების წინააღმდეგ

ბრაუნინგი M-1900 დერინჯერის შექმნიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ შეიქმნა დედამიწის მეორე ბოლოში — ავსტრიაში და მაშინვე გახდა პოპულარული


ბრაუნინგ მ-1900

არმიის ოფიცრებსა და ჟანდარმებს, ასევე ტერორისტებსა და მძარცველებს შორის, რადგან მას შეეძლო შვიდი გასროლის განხორციელება, იყო პრაქტიკულად შეუფერხებელი და, ამასთანავე, საკმაოდ კომპაქტურიც.

საბედისწერო სახელი პისტოლეტმა 1911 წლის აგვისტოში შეიძინა, როცა რუსმა ანარქისტმა დმიტრი ბოგროვმა ესროლა რუსეთის პრემიერ-მინისტრს, რეფორმატორ პიოტრ სტოლიპინს, რის შედეგადაც იგი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. სხვათა შორის, ეს თავდასხმაც თეატრში განხორციელდა.

## მანქილერ–კარაკანო ამერიკაში

როცა დუჩე მუსოლინიმ მეორე მსოფლიო ომი წააგო მოკავშირეებთან, ამერიკელებს დიდძალი უპატრონოდ მიტოვებული იარაღი დარჩათ. ომში დახარჯული თანხების კომპენსირების მიზნით, აშშ-ის მთავრობამ თავისი მოქალაქეებისთვის იარაღის ფართო გაყიდვა მოაწყო სხვადასხვა ფასდაკლებებითა და ბონუსებით. იტალიური იარაღის შეძენა დოლარად შეიძლებოდა. შესაძლებელი იყო მისი ფოსტით მიღებაც.

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამერიკისთვის საბედისწერო დღეს — 1963 წლის 22 იანვარს, ლი ჰარვი ოსვალდის — პრეზიდენტ ჯონ კენედის სავარაუდო მკვლელის — ხელში სწორედ ოპტიკურსამიზნიანი მანლიქერ-კარკანო M91/38 აღმოჩნდა ნომრით C-2766, რომელიც 1940 წელს ქ. ტერნის (იტალია) არსენალის მიერ იყო წარმოებული.

ჯონ კენედის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოცული, ეს იარაღი კი ნამდვილად პრეზიდენტის მკვლელობის მონაწილეა.

## „ეი, მისტერ ლენონ!“

ჩვენი გმირი კვლავ პატარა ჯიბის პისტოლეტია. ამჯერად რევოლვერი „ანდერკოვერი“, რაც ითარგმნება, როგორც „საიდუმლო“, „იდუმალი“. მისი მწარმოებელია ამერიკული ფირმა „ჩარტერ არმსი“, რომელიც ჯონ კენდდის მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ დაარსდა.

როგორც „ფილადელფია დერინჯერი“, „ანდერკოვერიც“ სიმსუბუქით, კომპაქტურობით, შეუფერხებლად მუშაობით და სიიაფით გამოირჩეოდა.

1980 წლის 8 დეკემბერს მარკ დევიდ ჩეპმენმა, 25 წლის ჰონოლულუელმა დარაჯმა, ამ რევოლვერიდან გასროლით ბრიტანელი როკ-მუსიკოსი ჯონ ლენონი მოკლა. მოგვიანებით ჩეპმენმა აღიარა, რომ თუ ლენონის მოკვლას ვერ მოახერხებდა, იგი დევიდ ბოუის ან ელიზაბეთ ტეილორის მოკლავდა.

ამჟამად ჩეპმენი უვადო პატიმრობაშია. მკვლელობის იარაღის ბედი უცნობია.

## იტალიელი – იტალიელის წინააღმდეგ

ნახევრად ავტომატური პისტოლეტი „Taurus PT92“, რომელსაც ბრაზილიური იარაღის მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა უშვებს, იტალიური „ბერეტას“ პრაქტიკულად ზუსტი ასლია. ბრაზილიელებმა ბევრი იმუშავეს, რათა თავიანთი პოლიციის საჭიროებებისთვის მაქსიმალურად მიეახლოებინათ და ამიტომ ამ იარაღს უკვე თავისად თვლიან. მაგრამ, მაინც, ყველაზე ცნობილი მსხვერპლი, რომელიც ამ იარაღიდან მოკლეს, იტალიელია.


TAURUS PT92

1997 წლის 14 ივლისს, თავისი ფეშენებელური სახლის ზღურბლზე, მაიამიში, პისტოლეტ „Taurus PT92“-იდან ორი გასროლით თავში მოკლეს მსოფლიოში ცნობილი მოდელიერი ჯანი ვერსაჩე.

ჯანი ვერსაჩეს სახე ტყვიებისგან იმდენად იყო დასახიჩრებული, რომ ბევრი ლეგენდის და ჭორის საბაბი გახდა, ერთი მათგანის მიხედვით, ცნობილი კუტიურიე ცოცხალია და ასე ორიგინალურად ჩამოშორდა საქმეებს...

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22




ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com